თბილისის მერობის კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამების ანალიზი

თბილისის მერობის კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამების ანალიზი

ავტორები
ეკონომიკური პოლიტიკა – გივი კორინთელი
სოციალური დანახარჯები – დავით ლეჟავა
ქალაქის მმართველობა / კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა – კოკა კიღურაძე
საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა / ურბანული მობილობა / საცხოვრებელი – ირაკლი ჟვანია
გარემოს დაცვა – CENN

რედაქტორი
ზვიად ბარქაია

ტექსტის რედაქტორი
ელზა ნაბახტეველი

დიზაინერი
მარიამ ზალდასტანიშვილი

პუბლიკაცია მომზადდა აღმოსავლეთ ევროპის მრავალპარტიული დემოკრატიის ცენტრის (EECMD) დაკვეთითა და საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. აღნიშნული პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან ტექსტის ავტორები და მასში წარმოდგენილი მოსაზრებები არ გამოხატავს EECMD-სა და ნიდერლანდების საელჩოს პოზიციას.

Kingdom of the Netherlands

EECMD
EASTERN EUROPEAN CENTRE
FOR MULTIPARTY DEMOCRACY

8
13
27
43
53
69
85
97
109

სარჩევი

შესავალი
ეკონომიკური პოლიტიკა
სოციალური დანახარჯები
ქალაქის მმართველობა
საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა
ურბანული მობილობა
საცხოვრებელი
გარემოს დაცვა
კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა

ძვირფასო მკითხველო,

წარმოგიდგენთ თბილისის მერობის კანდიდატთა წინასაარჩევნო პროგრამების ექსპერტულ ანალიზს. მათ, ვინც თვალს ადევნებს ჩვენს საქმიანობას, ეცოდინებათ, რომ წინასაარჩევნოდ კანდიდატთა პროგრამების ფინანსური რეიტინგიც შემოგთავაზეთ. წინამდებარე პუბლიკაცია კი ამ პროგრამების კიდევ უფრო სიღრმისეული შეფასებაა, რომელიც დარგის ექსპერტებმა მოამზადეს.

იმისათვის, რომ თქვენთვის მოსახერხებელი ფორმით მოგვეწოდებინა ინფორმაცია ტექნიკური და ფინანსური საკითხების შესახებ, რომლებიც ხშირად სხვადასხვა კანდიდატისა და პარტიების ცალკეულ დოკუმენტებში, პროგრამებსა თუ გამოსვლებშია გაფანტული, ჩვენი დედაქალაქისათვის მნიშვნელოვანი საკითხები რამდენიმე პირობით „კალათად“ დავყავით. ეს რვა „კალათა“ მოიცავს ქალაქისა და მოქალაქეებისათვის მნიშვნელოვან ისეთ თემებს, როგორიცაა: ეკონომიკური პოლიტიკა, სოციალური დანახარჯები, ქალაქის მმართველობა, საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა, ურბანული მობილობა, საცხოვრებელი, გარემოს დაცვა და კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა. სწორედ ეს თემებია გაანალიზებული ჩვენს პუბლიკაციაში, რომლის წყაროებად თავად თბილისის მერობის კანდიდატთა წინასაარჩევნო გამოსვლები და პროგრამებია გამოყენებული.

წინასაარჩევნო პროგრამების მნიშვნელობაზე საუბარი შორს წაგვიყვანს, მაგრამ აქ აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ თუკი პოლიტიკოსებს არ ექნებათ კონკრეტული და რაციონალური პოლიტიკური და ეკონომიკური ხედვები, მაშინ გაძნელდება მივაღწიოთ ჩვენი ქვეყნისა თუ ქალაქების მდგრად და სწრაფ განვითარებას და რთული იქნება შევაფასოთ, თუ რას შეიძლება ველოდეთ ამა თუ იმ პოლიტიკოსისათვის არჩევით თანამდებობაზე მხარდაჭერით.

რასაკვირველია, ქალაქისათვის საჭირო ყველა ამოცანის თანაბრად შესრულება შეუძლებელია. სწორედ ეს არის მმართველობის მთავარი დილემაც: მაქსიმალურად ეფექტიანად გამოიყენო შეზღუდული რესურსები და, რაც მთავარია, შექმნა ახალი შესაძლებლობები. ქალაქის მმართველობას უწევს პრიორიტეტების განსაზღვრა და იმგვარი გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც მეტად შეესაბამება ქალაქის განვითარების მათეულ ხედვას და იმ მანდატს, რომელიც მათ ამომრჩეველმა მიანიჭა. სწორედ ამ დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება წინასაარჩევნო პროგრამებს: ისინი ეხმარება ამომრჩეველს, უფრო მეტი გაიგოს პოლიტიკოსების ხედვის შესახებ და იცოდეს არა მხოლოდ ის, თუ ვის აძლევს ხმას, არამედ ისიც, თუ რას უჭერს მხარს.

წინასაარჩევნო პროგრამები თავად პოლიტიკოსებისათვის ერთგვარი კომპასიც არის. ის მათ იმ კურსის შენარჩუნებაში ეხმარება, რომლისკენ სვლასაც მოელის მათი ამომრჩეველი. გარდა ამისა, წინასაარჩევნო პროგრამები ღირებული რესურსია მოქალაქეების, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიისა და პოლიტიკური ოპოზიციისათვის, რათა თვალი ადევნონ, თუ რამდენად თანამიმდევრულია ესა თუ ის პოლიტიკოსი გაცემული დაპირებების შესრულებაში. ამ მხრივ ეს პუბლიკაცია, ისევე როგორც მთლიანად ვებგვერდები www.partiebi.ge და www.prezidenti.ge, წინასაარჩევნო პროგრამების ფინანსური რეიტინგი და სხვა ინფორმაცია, რომელსაც გთავაზობთ, უაღრესად ყურადსაღები რესურსია მთავრობის ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად.

საქართველოში წინასაარჩევნო რიტორიკა ხშირად უპასუხისმგებლო პოპულიზმითა და შეუსრულებადი დაპირებებით გამოირჩევა. კანდიდატები ხშირად ისეთ დაპირებებს იძლევიან, რომელთა შესრულება ან შეუძლებელია, ანდაც შესაძლებელია მხოლოდ გარკვეული ეკონომიკური და პოლიტიკური ფასის სანაცვლოდ. ეს დაპირებები ხშირად სულაც არ არის ნათელი ამომრჩევლისათვის ან შეგნებულად არის გადაფარული

მარკეტინგული ტექნიკითა თუ საარჩევნოდ მომზადებული ამაღელვებელი ლოზუნგებით. წინასაარჩევნო პროგრამების ეკონომიკური და პროგრამული ანალიზის მიზანიც ეს არის: უბიძგოს ქართულ პოლიტიკასა და პოლიტიკოსებს, მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ საქმეს და იმ დაპირებებს, რომელთაც ასე უხვად გასცემენ ხოლმე.

ეს პუბლიკაცია ამომრჩევლის ქცევის განვითარებასაც ემსახურება. გვსურს, მეტად დავაფიქროთ ჩვენი მოქალაქეები იმაზე, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს მათ არჩევანს. სწორედ ინფორმირებული და განათლებული ამომრჩეველია ეფექტიანი და მოქმედი დემოკრატიის საფუძველი; იგი თავადაც არის პასუხისმგებელი იმ პოლიტიკურ შედეგებზე, რომლებსაც მისი არჩევანი განაპირობებს. დრო, როდესაც ჩვენს წილ პასუხისმგებლობას იმით ვირიდებდით, რომ პოლიტიკა ჩვენი კი არა, პოლიტიკოსების საქმეა, წარსულს უნდა ჩაჰბარდეს. სხვა თუ არაფერი, იმან მაინც უნდა დაგვაფიქროს, რომ თბილისის მომწამლავ ჰაერს ყველანი ვსუნთქავთ. ამას კი იმის მოლოდინით ვერ გავექცევით, რომ ოდესმე რომელიღაც პოლიტიკოსი ამ პრობლემას მოგვიგვარებს. ცნობილი გამოთქმის პერიფრაზა რომ გამოვიყენოთ, პოლიტიკა ძალიან მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ მხოლოდ პოლიტიკოსებს მივანდოთ.

განვლილი წლების განმავლობაში თბილისს უამრავი მწვავე პრობლემა დაუგროვდა და ჩვენ ხშირად ვფიქრობთ, რომ აქედან გამოსავალი აღარ არსებობს, რომ უკვე ძალიან გვიანია, ქალაქის ჰაერის დაბინძურების ხარისხი და მწვანე სივრცეების ნაკლებობა დიდი ხანია კრიტიკულ ზღვარს გადასცდა; ხმაური, მტვერი, ქაოსური საგზაო მოძრაობა და უკონტროლო მშენებლობები ყოველდღიურად წამლავს ჩვენს ჯანმრთელობას, ამახინჯებს ჩვენს ერთ დროს ლამაზ და ჯანსაღ ქალაქს. ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპები, მოუწესრიგებელი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, ალტერნატიული მობილობის მცირე შესაძლებლობები და მძიმე სოციალური თუ ეკონომიკური ფონი, ერთი მხრივ, იმ საერთო პრობლემებითაც არის გამოწვეული, რომლებიც ქვეყანაში არსებობს; მეორე მხრივ კი, აშკარაა იმის საჭიროება, რომ თბილისში, რომელიც ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძრავს წარმოადგენს, ქალაქის მმართველობა იყოს უფრო ეფექტიანი, კომპეტენტური და სადაც საჭიროა - ამბიციური და გაბედული. დასაკარგი დრო თბილისსა და თბილისელებს აღარ აქვთ.

თანამედროვე პერიოდი დემოკრატიის ერთგვარი კრიზისით, პოლიტიკისა და პოლიტიკოსებისადმი უნდობლობით ხასიათდება. უპასუხისმგებლო პოპულიზმი, ნიჰილიზმი და აპათია პოლიტიკური ცხოვრების თანამდევი გახდა. მიუხედავად ამისა, ამას არ უნდა შევეგუოთ, თითქოს ჩვენს ქალაქებში ცხოვრების ხარისხის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება შეუძლებელია. ქვეყნებმა და ქალაქებმა ბევრად უფრო მწვავე პრობლემებს დააღწიეს თავი. მათ ეს მოახერხეს მოქალაქეთა მონდომებით, პასუხისმგებლობითა და თანამშრომლობით, ქალაქის კარგი მმართველობით, საერთო საქმის სიყვარულით, პროფესიონალიზმითა და გონიერი პოლიტიკით.

ჩვენც იმედი გვაქვს, რომ ამ პუბლიკაციით სწორედ ასეთი დამოკიდებულებისა და პოლიტიკის ფორმირებას ვუწყობთ ხელს თბილისში და მთლიანად საქართველოშიც.

პატივისცემით,

ლევან ცუცქირიძე
აღმასრულებელი დირექტორი

აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი
მრავალპარტიული დემოკრატიისათვის

ეკონომიკური
პოლიტიკა

ზოგადი შეფასება 1

1.1. პროგრამის პრიორიტეტები

ქალაქ თბილისის ეკონომიკური პოლიტიკის გაანალიზებისას კანდიდატთა წინასაარჩევნო პროგრამებში იკვეთება სამი ძირითადი პრიორიტეტი:

- თბილისის მუნიციპალიტეტის ხარჯების შემცირება;
- თბილისის მუნიციპალიტეტის შემოსავლების ზრდა;
- თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ეფექტიანად მართვა.

პრიორიტეტების ასე დაჯგუფება განსხვავებული სტრატეგიების მქონე ეკონომიკური პროგრამების ერთ ჩარჩოში მოქცევის საშუალებას იძლევა, რაც, თავის მხრივ, ანალიზს თანამიმდევრულს ხდის.

1.2. პროგრამის მიზანი

ეკონომიკური „კალათის" მიზანია აღწეროს პროგრამების ეკონომიკური საფუძველი, რომელიც რეალობად აქცევს ქალაქის განვითარებისთვის აუცილებელი ისეთი მიმართულებებით გათვალისწინებულ გეგმებს, როგორიცაა: ინფრასტრუქტურა, სოციალური სერვისები, საცხოვრებელი სივრცეების შექმნა, გარემოს დაცვა და სხვა. ზემოთ აღნიშნულ ამოცანებზე დაყრდნობით კანდიდატები გვთავაზობენ მოდელებს, თუ როგორ შეიძლება მიაღწიონ დასახულ ამოცანებს. „კალათის" მიზანია პროგრამების შიდაჰარმონიულობის ჩვენება. ეკონომიკური პროგრამის ანალიზი მნიშვნელოვანია, ვინაიდან ის სწორედ იმგვარი მატერიალური ფუნდამენტია, რომელმაც შეიძლება უზრუნველყოს სხვა პროგრამების განხორციელება. ეკონომიკური „კალათა" ერთგვარი ინდიკატორიცაა, თუ რამდენად რეალისტურია წარმოდგენილი პროგრამა და თემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე იძლევა პროგრამების რეალურობის გაზომვის საშუალებას. „კალათის" კიდევ ერთ მიზნად შეიძლება მივიჩნიოთ კანდიდატებს შორის არსებული განმასხვავებელი ფაქტორების ჩვენება, მათი სტრატეგიების ანალიზის შედეგად სასარგებლო დასკვნებისა და რეკომენდაციების შეთავაზება.

1.3. შედეგების შეფასების გაზომვადი ინდიკატორების არსებობა

ეკონომიკური პროგრამების ანალიზი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ის იძლევა საშუალებას, ჩავწვდეთ პროგრამის შინაარსს, მიზნებს, პრიორიტეტებს და მათი განხორციელებისთვის საჭირო სტრატეგიების არსს. იმისთვის, რომ ამომრჩეველმა უკეთ გაიგოს მიზნების მისაღწევად გადადგმული ნაბიჯებისა და შედეგების ურთიერთდამოკიდებულება, მნიშვნელოვანია არსებობდეს ხელშესახები ინდიკატორები.

ძირითადი სურათი, რომელიც ეკონომიკური პროგრამის ანალიზისას გამოჩნდა, შემდეგია:

ხარჯების შემცირება - ხარჯების შემცირების მიმართულებით გაზომვად ინდიკატორს წარმოადგენს ადმინისტრაციული და ბიუროკრატიული ხარჯების შემცირება. ბიუჯეტის ზრდის არგუმენტისგან განსხვავებით, ნეპოტიზმისა და არალეგალური გარიგებების აღკვეთის საფუძველზე დანახარჯების შემცირება შეიძლება გაიზომოს. თუმცა კანდიდატთა პროგრამების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ მერობის კანდიდატთა უმრავლესობას საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს, რა უნდა მოიმოქმედონ ბიუროკრატიული ხარჯების შესამცირებლად. პროექტები, რომელთა საფუძველზეც კანდიდატები საბიუჯეტო სახსრების გამოთავისუფლებას გეგმავენ, არ ეფუძნება კომპლექსურ მიზეზშედეგობრივ ანალიზს. შესაბამისად, მათი განცხადებები უფრო მეტად ლოზუნგებს ემსგავსება, ვიდრე რეალურ გათვლებს. პროგრამების ანალიზისას გამოვლინდა, რომ კანდიდატებს არ გააჩნიათ რეალური მონაცემები, მთლიანი ბიუჯეტის რა პროცენტს შეადგენს ნეპოტიზმით გამოწვეული და ბიუროკრატიული დანახარჯები. უნდა აღინიშნოს, რომ საკრებულოს და ქალაქის მერიაში წარმოდგენილი ოპოზიციური პარტიები ეკონომიკური პოლიტიკის აღწერის პროცესში ისეთსავე ბუნდოვანებას ავლენენ, როგორსაც ოპოზიციის ის სპექტრი, რომელიც არ არის ქალაქის მმართველობაში წარმოდგენილი. აქვე უნდა ითქვას, რომ მმართველი პარტიის ეკონომიკურ პოლიტიკასაც, მიუხედავად ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის წვდომისა, აკლია კონკრეტიკა და ზოგადი ტერმინებით არის განმარტებული.

შემოსავლების ზრდა - შემოსავლების ზრდის ინდიკატორების ანალიზი პრინციპულად არ განსხვავდება ხარჯების შემცირების ანალიზისგან და მერობის კანდიდატები ამჯერადაც არ იძლევიან ამომწურავ კონცეფციას. რთულია კონკრეტული პროექტების შესრულების რეალისტურობის შეფასება დათვლადი ინდიკატორების არარსებობის გამო. შემოსავლების ზრდის კუთხით კანდიდატთა ერთი ნაწილი გადასახადების შემცირებასა და ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას გეგმავს. მიუხედავად მინიმალური ჩარევის პოლიტიკისა, რთულია ითქვას, რომ ამ იდეის მომხრე კანდიდატები ბოლომდე აანალიზებენ ზემოთ ხსენებული პოლიტიკის შედეგებს. კანდიდატების მეორე ბლოკი უფრო პრორეგულაციების იდეას უჭერს მხარს, რის საფუძველზეც საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას ვარაუდობს. უნდა ითქვას, რომ ამჯერადაც პროგრამებს ხარჯისა და სარგებლის ანალიზი აკლია. აღნიშვნის ღირსია პროექტები, რომლებიც, ერთი მხრივ, შეიცავს ისეთ დათვლად ინდიკატორებს, როგორიცაა: რეკლამის გადასახადის ზრდა, გარე ვაჭრობის მოსაკრებლის დაწესება (თენგიზ შერგელაშვილი), შემოვლითი რკინიგზის პროექტი (ზაალ უდუმაშვილი); მეორე მხრივ, მოიცავს გამოწვევებს, პრობლემებს, რომელთა მოგვარების გზებზე კანდიდატები პროგრამაში არაფერს წერენ.

ბიუჯეტის ეფექტიანი მენეჯმენტი - ბიუჯეტის მენეჯმენტი თვისებრივად მოიცავს მისი ზრდის, ოპტიმიზაციისა და დანახარჯების შემცირების პოლიტიკას. ეფექტიანი მართვის მთავარი არგუმენტია ზედმეტი ტვირთისგან გათავისუფლება.

კანდიდატთა საარჩევნო პროგრამების პრიორიტეტები და მათი შეფასება 2

მერობის კანდიდატები ასახელებენ სამოქმედო გეგმის შესასრულებლად აუცილებელ ღონისძიებებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს ხარჯების შემცირება, შემოსავლების ზრდა და ბიუჯეტის ეფექტიანი მართვა. ასეთი ღონისძიებებია:

- მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა;
- ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება;
- ბიუროკრატიისა და ნეპოტიზმის შემცირების ხარჯზე დამატებითი რესურსის გამოთავისუფლება;
- მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლების ზრდა;
- სახელმწიფო ტრანსფერების ზრდა;
- ბიზნესისთვის გადასახადების შემცირება;
- ბიზნესის საწარმოებლად მიმზიდველი გარემოს შეთავაზება;
- ბლოკჩეინი და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა;
- ცოდნაზე დაფუძნებული ბიზნესკლიმატის შექმნა;
- ტურიზმის განვითარება;
- ქალაქის ქონების ათვისება, ლეგალიზაცია და მისი ეფექტიანი მართვა;
- საერთო სახელმწიფო გადასახადების თბილისის ბიუჯეტში ჩარიცხვა.

კახა კუკავა - კანდიდატის ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს თბილისის მუნიციპალიტეტის ხარჯების შემცირება და მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება. მათ შესასრულებლად კანდიდატი ასახელებს ადმინისტრაციის ხარჯების შემცირებას, რის შედეგადაც წლიურად 50 მილიონ ლარზე მეტს გამოათავისუფლებს. თუმცა ადმინისტრაციული ხარჯების რომელი მუხლების შემცირება/გაუქმების შედეგად მიაღწევს ამას, არ აკონკრეტებს. კანდიდატის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ აღარ დააფინანსებს რამდენიმე პროექტს, ტრენინგებსა და კვლევებს, ბუნდოვანს ხდის მის მიდგომას, როგორ შეძლებს იგი მერიის მუშაობის სისტემატიზაციას. რთულია განისაზღვროს, რამდენად მიზანშეწონილი და საზოგადოებრივი ეფექტის მომტანი იქნება ჩამოთვლილ პროექტებზე უარის თქმა. კანდიდატი ბიუჯეტში გამოთავისუფლებული სახსრების საშუალებით მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობას გეგმავს, თუმცა როგორ აპირებს ამის მიღწევას და რა რაოდენობის ბენეფიციარს შეეხება ეს გეგმა, ამის დადგენა შეუძლებელია. კანდიდატის ამოცანებისა და ქმედებების რეალისტურობა, დათვლის ინდიკატორების არარსებობიდან გამომდინარე, შეიძლება შეფასდეს როგორც რთულად შესასრულებელი ან არარეალისტური. კანდიდატის პროგრამის ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილში კონკრეტული მაჩვენებლები არ არის, შესაბამისად, ჩამოთვლილი აქტუალური პრობლემების მოგვარების გზები და კონკრეტული შედეგები სრულიად ბუნდოვანია. მსგავსად უმრავლესობა კანდიდატებისა, კახა კუკავა ყურადღებას ამახვილებს ბიუროკრატიის შემცირების შედეგად კონკრეტული თანხების გამოთავისუფლებაზე, მაგრამ არ აქვს წარმოდგენილი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდის კონკრეტული ამოცანები და ქმედებები, რაც მერიას მისცემდა მეტი სახსრების მობილიზების საშუალებას სხვადასხვა პროექტის განსახორციელებლად.

ალექსანდრე ელისაშვილი - ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებით კანდიდატის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს თბილისის მერიის ბიუჯეტის შემოსავლების ზრდა და ბიუროკრატიული ხარჯის შემცირება. ბიუჯეტის ზრდასთან დაკავშირებით კანდიდატს აქვს მოლოდინი, რომ ზოგადად ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ხარჯზე (რომელიც განსაზღვრულია 4,5 პროცენტით), თბილისის ბიუჯეტი 4 წლის განმავლობაში გაიზრდება 500 მილიონი ლარით. აღსანიშნავია, რომ მოცემული კორელაცია ბუნდოვანია და არ ეყრდნობა ზუსტ ეკონომიკურ გათვლებს. კანდიდატის მოსაზრება ბიუროკრატიული ხარჯების შემცირებასთან დაკავშირებით ასევე არ ეყრდნობა კონკრეტულ ინდიკატორებს და ბუნდოვანს ხდის კანდიდატის წარმოდგენას მერიის სტრუქტურების მუშაობასა და მათ ეფექტიან, პროექტებზე ორიენტირებულ მართებულ ქმედებებზე. რთულია ბიუროკრატიული ხარჯების გამოთვლა კონკრეტული ინდიკატორების მიუთითებლად. კანდიდატი ბიუროკრატიის შემცირების ხარჯზე გამოთავისუფლებული თანხის ოდენობად ასახელებს 75 მილიონ ლარს, მაგრამ არ გვთავაზობს არც წარსულში არსებულ პრეცედენტს და არც კონკრეტულ გათვლებს ამ მოსაზრების დასადასტურებლად. კანდიდატის წარმოდგენა ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილის ზრდასთან და ხარჯების ოპტიმიზაციასთან დაკავშირებითაც არ ეყრდნობა კონკრეტულ ინდიკატორებს, რაც მოგვცემს საშუალებას, შევაფასოთ რამდენად რეალისტურია ეს გათვლები. ბიუჯეტის შემოსავლების ზრდის თვალსაზრისით კანდიდატის პროგრამაში არაფერია ნათქვამი, თუ რა კონკრეტული ქმედებებია საჭირო ბიუჯეტის შემოსავლების წყაროების გასაზრდელად (მოსაკრებლები, ცენტრალური გადასახადების ნაწილის მოზიდვა მერიის ბიუჯეტში, ახალი გადასახადები, ბიზნესის ხელშეწყობიდან მიღებული გრძლევადიანი ეფექტი და სხვა).

ელენე ხოშტარია - ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებით კანდიდატის ძირითადი ამოცანებია თბილისის მუნიციპალიტეტის ხარჯების შემცირება და გადასახადების დაწევა იმისთვის, რომ მეტი ეკონომიკური თავისუფლება მიეცეს კერძო სექტორს. ხარჯების შემცირების ინიციატივა, სხვა კანდიდატების მსგავსად, გამომდინარეობს ბიუროკრატიის, ნეპოტიზმისა და კორუფციის შემცირების ხარჯზე. ქონების გადასახადის 10 პროცენტით შემცირებამ და კერძო ბიზნესის საგადასახადო ტვირთისგან გათავისუფლებამ უნდა უზრუნველყოს ეკონომიკური ზრდა და სამუშაო ადგილების შექმნა. უმრავლესობა კანდიდატების მსგავსად, ელენე ხოშტარიას მოსაზრებები არ ეყრდნობა რეალურ გათვლებს - არ არის წარმოდგენილი ბიუროკრატიის, ნეპოტიზმისა და კორუფციის მაჩვენებელი თბილისის მერიაში და არც ამის ხარჯზე გამოთავისუფლებული თანხა, რომელიც მოხმარდება სხვადასხვა მიმართულებას. ბუნდოვანია ასევე 10 პროცენტით ქონების გადასახადის დაწევის შედეგად რა ვადაში და რა მასშტაბის საგადასახადო ტვირთისგან გათავისუფლდება ბიზნესი ან რამდენ სამუშაო ადგილს შექმნის. გაურკვეველია ისიც, როგორი იქნება მთლიანად ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი.

ზაალ უდუმაშვილი - ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებით კანდიდატის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს: ტურიზმის განვითარება; ბიზნეს-ეკონომიკური სივრცეების შექმნა; ბიუროკრატიის შემცირება და ამის ხარჯზე მერიის თანხების დაზოგვა; შეღავათიანი რეგულაციებით მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა. კანდიდატის მოსაზრებით, ტურიზმი უნდა განვითარდეს ახალი ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნით, თბილისის ინტენსიური და სწორად გათვლილი რეკლამირებით. კანდიდატის ეკონომიკურ პოლიტიკაში არ არის განხილული, თუ რა დრო და დანახარჯები სჭირდება ახალი ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნას, არც ის, რა მასშტაბის და როგორი ინფრასტრუქტურის შექმნაზეა საუბარი. უდავოდ, ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა ყველა დიდი თუ პატარა ქალაქის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა, მაგრამ მისი (ინფრასტრუქტურის) სიმრავლის გამო დასაკონკრეტებელია, რა მასშტაბებს გულისხმობს კანდიდატი.

ზაალ უდუმაშვილის მოსაზრება თბილისში ბიზნეს-ეკონომიკური სივრცეების შექმნის შესახებ ძირითადად ეფუძნება შემოვლითი რკინიგზის შედეგად 700 ჰექტრამდე ტერიტორიის გამოთავისუფლებას. ეს ინიციატივა ყველაზე რეალური და დათვლადია უმრავლესობა კანდიდატების ინიციატივებს შორის მისი პირველი ეტაპის განხილვისას, რადგან არსებობს შემოვლითი რკინიგზის ბიუჯეტი და სამუშაოების ნაწილიც უკვე შესრულებულია; თუმცა ინიციატივის მეორე ეტაპი, რომელიც გულისხმობს 700 ჰექტარ გამოთავისუფლებულ ტერიტორიაზე ბიზნეს-ეკონომიკური ზონების შექმნას, ბუნდოვანია და მოკლებულია ინდიკატორებს, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იქნებოდა ან იმის დათვლა, თუ რა დაუჯდება ქალაქის მუნიციპალიტეტს აღნიშნული ინიციატივა, ან რა ვადაში შეიძლება მიიღოს ქალაქმა პირდაპირი სარგებელი. დასაზუსტებელია სარგებლის ოდენობაც.

თბილისის მუნიციპალიტეტის ხარჯების დაზოგვასთან დაკავშირებით, ზაალ უდუმაშვილი, ისევე როგორც უმრავლესობა კანდიდატებისა, მერიაში ბიუროკრატიის შემცირების ხარჯზე ყოველწლიურად 100 მილიონი ლარის დაზოგვის და ამ თანხით სხვადასხვა პროექტის დაფინანსების ინიციატივით გამოდის. კანდიდატების წარმოდგენილ მაჩვენებლებს შორის ეს ყველაზე დიდი თანხაა, თუმცა ბუნდოვანია მერიის ბიუროკრატიის მაჩვენებელი და ისიც, კანდიდატი ინიციატივის განხილვისას რა გათვლებსა თუ სტატისტიკას ეყრდნობა. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ჭრილში კანდიდატი ყურადღებას ამახვილებს ზედმეტი რეგულაციების გაუქმებაზე და ზოგადად ბიზნესის ხელშეწყობაზე. პროგრამაში არ არის ნახსენები არც ზედმეტი რეგულაციების ჩამონათვალი, არც მათი ნეგატიური ზეგავლენა ბიზნესზე და, შესაბამისად, არც ის კონკრეტული ეფექტი, რომლის მიღწევაც შეიძლება მათი გაუქმებისას.

კახა კალაძე - ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებით კახა კალაძის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს მუნიციპალური ბიუჯეტის ზრდა (ერთ მილიარდს უნდა გადააჭარბოს) და სტრატეგიის შემუშავება მუნიციპალიტეტის ხარჯების ოპტიმიზაციისთვის. ბუნდოვანია, თუ რა სახის შემოსავლებმა უნდა უზრუნველყოს თბილისის ბიუჯეტის ზრდა. უფრო მეტიც, არ არის განხილული, რის ხარჯზე იგეგმება ეს - ახალი გადასახადების შემოღებით, არსებული გადასახადების ზრდით თუ კერძო ბიზნესის ხელშეწყობით. კახა კალაძე მმართველი პარტიის კანდიდატია და ამიტომაც ამ შემთხვევაში შეიძლება დავუშვათ, რომ მას უფრო გაუადვილდება მერიის შემოსავლების ზრდა სახელმწიფო ტრანსფერების ხარჯზე, როგორც ეს მის წინასაარჩევნო პროგრამაშია აღნიშნული, მაგრამ რა სახის ტრანსფერებზე, რა ოდენობითა და რა ვადაში აპირებს კანდიდატი სახელმწიფოსგან თანხების მოზიდვას, ბუნდოვანია და ეყრდნობა ასეთი ტიპის ტრანსფერების განხორციელებისას მისი, როგორც მმართველი პარტიის კანდიდატის შესაძლებლობას.

გიორგი ვაშაძე - ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებით მის ძირითად ამოცანას წარმოადგენს, ინდუსტრიული რევოლუციის ფარგლებში, თბილისი (და ზოგადად საქართველო) იქცეს ბლოკჩეინ ეკონომიკის გლობალურ ლიდერად. კანდიდატის წინასაარჩევნო პროგრამის ეკონომიკური ნაწილი მთლიანად აგებულია ზემოთ აღნიშნულ ინიციატივაზე. რთულია, 2017 წელს შეაფასო კანდიდატის თვალთახედვა, გამომდინარე იქიდან, რომ ბლოკჩეინი არის უახლესი ტენდენცია თანამედროვე მსოფლიოში. იგი უმეტესწილად არ რეგულირდება, არ ეყრდნობა სტატისტიკურ თუ მეცნიერულ გათვლებს და რთული შესაფასებელია ის ეფექტი, რომელიც ქვეყანამ ცალკე, და კერძოდ დედაქალაქმა, შეიძლება მიიღოს. კანდიდატის ერთ-ერთი ინიციატივა, დაკავშირებული კერძო სექტორის მიერ ყველა საჯარო სერვისის განხორციელებასთან, არის საფუძვლიანი და სიღრმისეული განხილვის საგანი, რომელსაც შეიძლება ჰყავდეს

როგორც მომხრეები, ისე მოწინააღმდეგეები. არსებული ინიციატივები სიახლე არ არის - არსებობს ამის გამოცდილება სხვა ქვეყნებში, სრულიად სხვაგვარ გეოგრაფიულ არეალში და განსხვავებული რეგიონალური რისკების მქონე ადგილებში, ასევე, საქართველოსგან განსხვავებული ეკონომიკური მოდელის მქონე სახელმწიფოებში. ბლოკჩეინის ჭრილში ეს ინიციატივა კიდევ უფრო ბუნდოვანია და შეუძლებელია მისი დათვლა კონკრეტული ინდიკატორების არარსებობის გამო.

თენგიზ შერგელაშვილი - ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებით კანდიდატის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს თბილისის ბიუჯეტის შემოსავლების ზრდა, ბიუჯეტის მონაცემების გამჭირვალობა და ბიზნესის სტიმულირება. აღსანიშნავია, რომ კანდიდატს, სხვა კანდიდატებისგან განსხვავებით, წინასაარჩევნო პროგრამების ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილში ყველაზე მეტად აქვს გაშლილი და მოცული თბილისის მერიის სამომავლო განვითარების გეგმა, როგორც დამატებითი ფულადი რესურსების მოზიდვის, ისე მათი ოპტიმალურად განაწილების მხრივ.

თბილისის შემოსავლების ზრდა კანდიდატს დაყოფილი აქვს რამდენიმე ქვეამოცანად. პირველი ქვეამოცანაა დედაქალაქის ტერიტორიაზე დაქირავებით მომუშავეთა მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადის 30 პროცენტის თბილისის ბიუჯეტში „დატოვება“. ეს ინიციატივა უდავოდ ყურადღებას იმსახურებს და შეიძლება შეფასდეს როგორც პროგრესული, თუმცა, საქართველოში მოქმედ პოლიტიკურ ძალთა განაწილებისა და ზოგადი კონიუნქტურიდან გამომდინარე, სრულიად წარმოუდგენელია კანდიდატმა, რომელიც არ წარმოადგენს მმართველ ძალას, მისი მერად არჩევის შემთხვევაში, ცენტრალური ხელისუფლება ასეთ ინიციატივაზე დაითანხმოს; მით უმეტეს, რომ საშემოსავლო გადასახადი დამატებით გადასახადთან ერთად ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი ხერხემალია და მისი სწორად განაწილება - პოლიტიკურ ძალთა გადანაწილების ძირითადი ასპექტიც. კანდიდატის ზემოთ აღნიშნული ინიციატივა იმსახურებს ყურადღებას, მაგრამ დიდი ალბათობით მისი განხორციელება შეუძლებელია.

თენგიზ შერგელაშვილი თავის საარჩევნო პროგრამაში მერიის შემოსავლების ზრდის ერთ-ერთ ქვეამოცანად და ინიციატივად ასახელებს გარე რეკლამების (ბანერებისა და ბილბორდების) მოსაკრებლის გადახედვას და მის გაზრდას. კანდიდატის აზრით, დამოუკიდებელი აუდიტორების მიერ ჩატარებული კვლევა და მოსაკრებლის ობიექტური სიდიდის დადგენა წაადგება მოსაკრებლის ოდენობის გაზრდას. კანდიდატის ეს მოსაზრება მცდარია, რადგან გარე რეკლამის საბოლოო მომხმარებელი არ იხდის მხოლოდ მოსაკრებლის თანხას - იგი შუამავალ კომპანიებს უხდის გარე რეკლამის გამოყენების ყოველთვიურ იჯარას, რომელიც საბოლოო ჯამში აისახება გარე რეკლამის განთავსების მთლიან ღირებულებაზე და ამას ბაზარი არეგულირებს. ინიციატივა აშკარად შეიცავს რისკს - თუ მერია გაზრდის მოსაკრებლის ოდენობას, გარე რეკლამის ბანერების გამქირავებელი შუამავალი კომპანიებიც მოუმატებენ იჯარის ფასს. ყოველივე ეს ნეგატიურ გავლენას მოახდენს ზოგადად ამ სარეკლამო პროდუქტის მიმზიდველობაზე, მით უმეტეს, რომ სარეკლამო ბაზარი სულ უფრო მეტ პოპულარობას იხვეჭს სოციალურ ქსელებში - რეკლამის ეს ველი გაცილებით იაფია ძველ, მარკეტინგულ სტრატეგიებთან შედარებით.

თენგიზ შერგელაშვილი მერიის შემოსავლების ზრდის ერთ-ერთ წყაროდ ასახელებს გარე ვაჭრობის მოსაკრებლის დაწესებას. კანდიდატის ეს მოსაზრებაც შეიძლება შეფასდეს როგორც სარისკო, ბიუჯეტისთვის უფრო ხარჯების გაზრდის საშუალებად, ვიდრე გონივრული შემოსავლის მიღების წყაროდ. საქმე ის არის, რომ მოსაკრებლის შემოღება გულისხმობს გარე ვაჭრობის ადგილების

შექმნას და საამისოდ სპეციალური ადგილების გამოყოფას; აგრეთვე მერიის სტრუქტურაში შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების არსებობას, რომლებიც დაარეგულირებენ, ზედამხედველობას გაუწევენ და გააკონტროლებენ ასეთ ადგილებს. დამატებითი რეგულაციების შემოღება ყოველთვის არაადეკვატურად ზრდის ხარჯებს. გარე ვაჭრობის მოსაკრებლიდან შემოსული თანხა კი ან არ ეყოფა ამ ხარჯების დაფარვას, ან უმნიშვნელოდ გაზრდის შემოსავლებს. კანდიდატის პროგრამაში არ არის აღწერილი, თუ რა ინდიკატორებს ეყრდნობა მისი ინიციატივა; არც მონაცემებია, თუ რა ფინანსური შედეგი შეიძლება დადგეს ამ ინიციატივის განხორციელების შედეგად.

კანდიდატის ინიციატივა მერიის შემოსავლების ზრდასთან დაკავშირებით ეყრდნობა კიდევ ერთ ამოცანას, რომელიც გულისხმობს 4 წლის განმავლობაში თბილისის ბიუჯეტიდან 200 მილიონი ლარის გამოყოფას ბიზნესის სტიმულირების ფონდის ჩამოსაყალიბებლად. კანდიდატი დეტალურად აღწერს ამ ფონდის მუშაობას და მისი სარგებლობის წესებს. ინიციატივა, ერთი შეხედვით, შეიძლება შეფასდეს როგორც პროგრესული, მაგრამ შეუძლებელი შესასრულებლად და/ან არაეფექტიანი. საყურადღებოა, რომ ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე, და არა მხოლოდ მუნიციპალურ დონეზე, იქმნებოდა, მოქმედებდა და დღესაც მოქმედებს მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირების ბევრი ფონდი. მათი არსებობა ფასდება როგორც მეტად მნიშვნელოვანი და სასარგებლო კერძო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობისთვის. ასეთი ფონდების საქმიანობა შეიძლებოდა გამხდარიყო ერთ-ერთი გადამწყვეტი კომპონენტი კერძო ბიზნესის განვითარებისთვის, რომ არა უაღრესად საყურადღებო გარემოება - ფონდების დაფინანსების პროცესი, რომელსაც მეტწილად (თუ მთლიანად არა) განსაზღვრავს კომერციული ბანკების მხრიდან კონკრეტული დასაფინანსებელი ბიზნესის რისკების შეფასება, არაფრით არ განსხვავდება ბანკებში სესხის მისაღებად მისული ბიზნესსუბიექტთა რისკების განხილვის პროცესისგან. მაშინაც კი, როდესაც სახელმწიფო აფინანსებს ბიზნესსესხზე გადასახდელი საპროცენტო ხარჯების უდიდეს ნაწილს, კომერციული ბანკები (მათ მთავრობა სახელმწიფო თანხების „გამტარის“ ფუნქციას აკისრებს) არ ამცირებენ რისკის შეფასების კრიტერიუმებს და ხშირად, პირიქით, ზრდიან კიდეც. ამრიგად, კანდიდატის ინიციატივა ფონდის შექმნასთან დაკავშირებით არის პროგრესული და ეხმიანება მსოფლიო გამოცდილებას, მაგრამ ჩვენნაირი ქვეყნის ფინანსური რესურსების განაწილებისა და პოლიტიკური კონიუნქტურის ჭრილში უტოპიურია.

3 საარჩევნო პროგრამების მსგავსი პრიორიტეტები და ძირითადი განსხვავებები

3.1. ამოცანებისა და პრიორიტეტების მსგავსება

როგორც მეორე ქვეთავის ანალიზიდან გამოჩნდა, კანდიდატთა ეკონომიკური პროგრამა პრიორიტეტების კუთხით ბევრი პარამეტრით ერთმანეთს ჰგავს. პრაქტიკულად ყველა კანდიდატისთვის ბიუჯეტის ადმინისტრაციული დანახარჯების შემცირება ქალაქში ეკონომიკური ზრდის წინაპირობას წარმოადგენს.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ კანდიდატთა უმრავლესობა მნიშვნელოვნად მიიჩნევს კერძო სექტორთან კოლაბორაციას სტაბილური ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად. კანდიდატთა ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი ნაწილი, რომელიც ბიუჯეტის ზრდას ეხება, შეიძლება ითქვას, საერთო და უაღრესად მნიშვნელოვანია პოტენციური ეკონომიკური პროგრამებისთვის (და არა მხოლოდ ამისთვის). ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები, ისევე როგორც სახელისუფლებო გუნდის კანდიდატი, თანხმდებიან, რომ მართვის ეფექტიანი მოდელის შემუშავება სასიცოცხლოდ აუცილებელია, რამდენადაც ხელს შეუწყობს ფინანსების ოპტიმალურად განკარგვას.

3.2. ამოცანებისა და პრიორიტეტების განსხვავებები

მიუხედავად იმისა, რომ ძირითად პრინციპებსა და მიზნებზე კანდიდატები თანხმდებიან, ამ მიზნებამდე მისაღწევი გზები მათ განსხვავებულად ესახებათ. განმასხვავებელი ფაქტორები, ერთი მხრივ, განპირობებულია იდეოლოგიური პოზიციით, მეორე მხრივ, ამა თუ იმ პარტიის პოზიცია დამოკიდებულია ხელისუფლებაში რაიმე ფორმით ყოფნის დონეზე.

კახა კალაძეს და მის პარტიას რესურსების მოზიდვა ავტომატურად ეფექტიანი პოლიტიკის წინაპირობად მიაჩნიათ. მმართველი პარტიის წარმომადგენელი შედარებით მეტ ინფორმაციას ფლობს ფინანსური ნაკადების შესახებ და ასევე სარგებლობს უმაღლესი ხელისუფლების სრული მხარდაჭერით, რაც ბუნებრივად ახდენს საარჩევნო ეკონომიკური პროგრამის ფორმულირებას. განსხვავებული პოზიცია აქვს **ელენე ხოშტარიას**, რომელიც, შეზღუდული რეგულაციებისა და ბიზნესგარემოს გაუმჯობესების პრინციპიდან გამომდინარე, ეკონომიკური ზრდის პროცესში მეტ ვალდებულებას კერძო სექტორს აკისრებს. აღნიშვნის ღირსია **გიორგი ვაშაძის** პოზიცია - მას ეკონომიკური ზრდის წყაროდ მიაჩნია ტექნოლოგიური ინოვაციები, დეცენტრალიზებული, განაწილებული საინფორმაციო სივრცის შექმნა საბიუჯეტო დანახარჯების კლებისა და ინოვაციური ბიზნესჯგუფებისთვის დამატებითი მოტივაციის შექმნის გზით. განსხვავებული თვალთახედვა აქვს **ზაალ უდუმაშვილს**, რომლის ეკონომიკური ზრდის მოდელი ეფუძნება რკინიგზის დედაქალაქიდან გადატანის პროექტის მაღალ პოტენციალს. ზაალ უდუმაშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ტურიზმის განვითარებას და, შესაბამისად, ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნასა და ქალაქის რეკლამირების ზრდას. თვისებრივად განსვავებულია **თენგიზ შერგელაშვილის** პოზიცია, რომლის დღის წესიგი მოიცავს როგორც რეგულაციების ზრდას, ისე კონკრეტული პროექტებით კერძო სექტორის მხარდაჭერას.

კანდიდატთა პრიორიტეტები მნიშვნელოვანწილად ასახავს არსებულ პრობლემებს, თუმცა ამჯერადაც უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამები მოკლებულია კონკრეტიკას. საჭიროა, რომ მერობის კანდიდატებმა თავიანთ პროგრამებში ყურადღება გაამახვილონ არა მხოლოდ პოპულარულ ეკონომიკურ პრობლემებზე, არამედ კომპლექსურად გაიაზრონ ეკონომიკური მიზეზშედეგობრიობა და გააანალიზონ პოტენციური გამოწვევები.

პროგრამული პრიორიტეტები და მათი გავლენა სხვადასხვა სფეროებზე 4

ეკონომიკის პროგრამული პრიორიტეტების გავლენა სხვა სფეროებზე ხელშესახებია. ამ კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალური პროექტები, ვინაიდან ეს სექტორი პოლიტიკის იმ სივრცეს წარმოადგენს, რომელზეც უშუალოდ აისახება ეკონომიკური ცვლილებები. კანდიდატთა პროგრამების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე აშკარა ინტერაქცია, რომლებიც ყველა პარტიისთვის დამახასიათებელია:

- ბიუჯეტი ვერ შემცირდება სოციალური დანახარჯების ფასად;
- ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანობა კანდიდატთა უმრავლესობისთვის პირდაპირ პოზიტიურ კორელაციაშია გარემოს დაცვასთან;
- ბიუჯეტის დანახარჯების შემცირების პრიორიტეტი ნეგატიურ კორელაციაშია ქალაქის მმართველობის სექტორთან. პარტიების სრული უმრავლესობა თავის პროგრამაში დიდ ადგილს უთმობს ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებას;
- ბიუჯეტის ზრდის პრიორიტეტი პოზიტიურად არის დაკავშირებული ინფრასტრუქტურულ ინიციატივებთან.

აღნიშნული ტენდენციების გარდა ყურადღება უნდა გამახვილდეს ინდივიდუალურ პროექტებზე, რომლებიც ყველა კანდიდატს როდი აქვს წარმოდგენილი. მაგალითად, კახა კუკავას პროგრამაში აღნიშნულია, რომ ბიუჯეტიდან თანხები გამოთავისუფლდება ისეთი პროექტების ხარჯზე, როგორიც არის „იურიდიული კლინიკა“, „ვერტიკალური ბაღები“, „უწყვეტი განათლების სისტემის განვითარებისთვის“, რაც ნეგატიურად აისახება სოციალურ და გარემოს დაცვის სექტორებზეც.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხშირ შემთხვევაში ეკონომიკური დაპირებები ლოზუნგურ ხასიათს ატარებს და ჰარმონიულად არ ერწყმის სხვა სფეროში კანდიდატის გეგმებს. პროგრამები ძირითადად შედგენილია ზოგადი ტერმინებით, ინიციატივებს აკლია კონკრეტიკა და ამიტომაც რთულია სექტორთაშორისი ანალიზის მცდელობა.

5 საარჩევნო პროგრამის ზეგავლენის შედარებითი შეფასება დროში

სოციალურ მეცნიერებებს შორის ეკონომიკა ყველაზე უფრო ახლოსაა ზუსტ მეცნიერებებთან. თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების ძირითადი ტენდენცია - იყოს უფრო მეტად ობიექტური - გულისხმობს მისი თეორიული წიაღსვლების მათემატიკური დამტკიცებისკენ სწრაფვას. მიუხედავად ამისა, აღნიშნულ პროგრამებში შეინიშნება რაოდენობრივი ელემენტის საგრძნობი დეფიციტი, რაც პირდაპირ აისახება პროგრამის შედეგების გაზომვის დროით კომპონენტზე. ანალიზიდან ნათლად გამოჩნდა, რომ კანდიდატები მხოლოდ ზოგადი წინადადებებით შემოიფარგლებიან და რაოდენობრივად ან ხარისხობრივად გაზომვის რაიმე ინდიკატორს არ ასახელებენ. შესაბამისად, ვიღებთ 4-წლიანი პოლიტიკის ისეთ ბუნდოვან აღწერას, როგორიც არის, მაგალითად, მერობის კანდიდატ ალექსანდრე ელისაშვილის ვარაუდი ბიუროკრატიის ხარჯების შემცირების გზით ოთხ წელიწადში 700-800-მილიონიანი ბიუჯეტის შესახებ. ამავე კონტექსტში შეიძლება განვიხილოთ თენგიზ შერგელაშვილის იდეა მცირე ბიზნესის განვითარების ფონდის შესახებ, რომლის კაპიტალი ოთხი წლის განმავლობაში ბიუჯეტიდან ბიზნესის სტიმულირებისთვის გამოყოფილ 200 მლნ ლარს შეადგენს. აღნიშნული სახსრების ათვისება რა შედეგებს მოიტანს, ამის ანალიზისთვის ინფორმაცია პროგრამაში არ მოიპოვება. კონკრეტულ დროში არ არის გაწერილი მმართველი პარტიის კანდიდატის, კახა კალაძის ვარაუდი, რომ ქალაქის ბიუჯეტი ერთ მილიარდ ლარს გადააჭარბებს.

მიუხედავად იმისა, რომ თემების შესავსებ ინსტრუქციაში ცხადად იყო მითითებული კონკრეტული პროექტებისა თუ ინიციატივების განხორციელებისთვის საჭირო ფინანსური რესურსისა და ვადების დასახელების აუცილებლობა, კანდიდატთა დიდმა ნაწილმა ეს მოთხოვნა ეკონომიკურ „კალათასთან“ მიმართებით არ გაითვალისწინა.

6 ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

- არსებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე აშკარაა, რომ ეკონომიკური პოლიტიკის დაგეგმვა კანდიდატთა უმრავლესობისთვის მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. როგორც შესავალ ნაწილში აღვნიშნეთ, კანდიდატთა უმრავლესობა გამოყოფს სამ უმთავრეს პრიორიტეტს: ხარჯების შემცირებას, შემოსავლების ზრდას და ბიუჯეტის ეფექტიან მართვას. თუმცა პროგრამებს საკითხის სისტემური და კომპლექსური ანალიზი აკლია.

- მისასალმებელია, რომ კანდიდატებს ესმით ეკონომიკური პოლიტიკის როლი, თუმცა რეკომენდაციის სახით უნდა აღინიშნოს შემდეგი: მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ზოგადი აღწერილობა, არამედ დანახარჯისა და შემოსავლიანობის ანალიზის საფუძველზე როგორც მოკლევადიანი ქმედებების, ისე გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავება.
- საბოლოოდ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არცერთი კანდიდატის ეკონომიკური პროგრამა არ მოიცავს რაოდენობრივად დათვლის ელემენტებს. ხარისხობრივი შეფასების კუთხით კი პროგრამაში აღწერილი ინიციატივების დათვლა შეუძლებელია.
- რეზიუმეს სახით უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატთა ეკონომიკური პროგრამა უმეტესწილად ეფუძნება პოპულისტურ განაცხადებსა და საზოგადოებისთვის მეტად სენსიტიურ თემებს, რომლებიც უფრო საერთო სოციალურ პრობლემებს მოიცავს. ეკონომიკური პროგრამის განსაზღვრისას კანდიდატები ეყრდნობიან სურვილებს და არა სტატისტიკურ მაჩვენებლებს, ასევე საზოგადოებაში და მედიით გავრცელებულ პოპულარულ თემებს და არა კონკრეტულ ფაქტებს, რომელთა გამოყენებამაც შესაძლებელია განსაზღვროს ეკონომიკური პოლიტიკა.

სოციალური დანახარჯები

ზოგადი შეფასება 1

1.1. პროგრამის პრიორიტეტები

შვიდი კანდიდატის წინასაარჩევნო პროგრამის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა შვიდი მთავარი თემა: სოციალური დაცვა, სკოლამდელი განათლების უზრუნველყოფა, განათლების საკითხები (ზოგადი განათლების ხელშეწყობა, უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, პროფესიული განათლება), ხელმისაწვდომობა ჯანდაცვაზე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე ორიენტირებული ჯანდაცვის, განათლებისა და სოციალური პროგრამების განხორციელება, საცხოვრისისა და დასაქმების საკითხები.

შვიდივე კანდიდატი საუბრობს სოციალურ დაცვაზე. სკოლამდელ განათლებასა და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობაზე - ექვსი კანდიდატი, უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობასა და შეზღუდული შესაძლებლობის პირთათვის შესაბამისი პროგრამების განხორციელებაზე - ოთხი კანდიდატი, ზოგადი განათლების ხელშეწყობას და პროფესიულ განათლებას ეხება სამი კანდიდატი, საცხოვრისის საკითხებსა და სამუშაო ადგილების შექმნაზე საუბრობს ორ-ორი კანდიდატი. მაღალი დონის მიზნის მიღწევა არ აქვს გამოკვეთილი კანდიდატთა უმრავლესობას, თუმცა სამი კანდიდატი საუბრობს ისეთ თემებზე, როგორიცაა ყველა მოქალაქისთვის შესაძლებლობების შექმნა, მერიის ხელთ არსებული რესურსებით თანაბარი სარგებლობა და თბილისის ინკლუზიურ ქალაქად ქცევა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა თაობისთვის. ამოცანების დასაძლევად 84 სხვადასხვა ქმედებაა დასახელებული.

კანდიდატთა საარჩევნო პროგრამების პრიორიტეტები და მათი შეფასება 2

2.1. „კალათის" ამოცანები, განხორციელების გზები

სოციალური დაცვა - შვიდივე კანდიდატი ყურადღებას ამახვილებს სოციალურ დაცვაზე.

ალექსანდრე ელისაშვილი აღნიშნავს, რომ თბილისის მოსახლეობის მესამედი სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა, ხოლო ყოველი მეშვიდე საკვებისთვის სესხს იღებს. მისი თქმით: სოციალურად დაუცველთა სიაში არის 100 000 თბილისელი; რომ არსებული სოციალური პოლიტიკა და კონკრეტულად მიზნობრივი სოციალური

დახმარების პროგრამა ხელს უწყობს სიღარიბის გაძლიერებას; რომ სოციალურად დაუცველთა სიაში ვინმეს ჩასმა და იქიდან ამოღება გაადვილებულია. ამ პრობლემის გადაჭრის გზად კანდიდატი გვთავაზობს მოსახლეობის მიზნობრივი სოციალური დაცვის პროგრამიდან მოქალაქეების ამოღების აკრძალვას და ამ პროგრამის ფარგლებში გაცემული 60 ლარის ოდენობის დახმარების 100 ლარამდე გაზრდას.

გიორგი ვაშაძის საარჩევნო პროგრამაში საუბარია ხალხის გაჭირვებიდან გამოყვანაზე, მათთვის შესაძლებლობების გაჩენაზე, რათა მიაღწიონ წარმატებას, დასაქმდნენ და გაიჩინონ შემოსავალი. სიღარიბის დაძლევისთვის კი გვთავაზობს სოციალურ ბიუჯეტს და ამ ბიუჯეტის განკარგვას წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებითა და მექანიზმებით.

ელენე ხოშტარია ასევე საუბრობს სიდუხჭირეზე და დიდ ყურადღებას აქცევს სურსათისა და მედიკამენტების გაძვირებას, რაც, მისი აზრით, განსაკუთრებით რთულ სიტუაციას უქმნის სოციალურად დაუცველებსა და პენსიონერებს. პრობლემის მოსაგვარებლად გვთავაზობს ორ გზას: თბილისში მცხოვრებ პენსიონერებზე 50-ლარიანი ყოველთვიური საპენსიო დანამატის შემოღებას და ერთ სოციალურად დაუცველზე თვეში მიზნობრივი სოციალური დახმარების მოცულობის 70 ლარით გაზრდას.

ზაალ უდუმაშვილი ფიქრობს, რომ თითოეულ ადამიანს უნდა მიეცეს მერიის ხელთ არსებული შესაბამისი რესურსით სარგებლობის თანაბარი შესაძლებლობა. სიღარიბესთან დაკავშირებით გვთავაზობს: 1. სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრირებული და 200 000-ზე ნაკლები ქულის მქონე მოქალაქეზე ყოველთვიურად 50-ლარიანი შემწეობის დაწესებას; 2. წელიწადში 40 000 ლარზე ნაკლები შემოსავლის მქონე ოჯახის 1000 ლარით დასაჩუქრებას ბავშვის გაჩენისას და ასეთი ოჯახის ბავშვებისთვის კულტურული, საგანმანათლებლო და სპორტული წრეების ვაუჩერების გადაცემას; 3. უფასო სასადილოების დაფინანსების სამჯერ გაზრდას.

თენგიზ შერგელაშვილი სოციალურ დაცვაზე პირდაპირ არ საუბრობს, თუმცა აღნიშნავს, რომ თბილისის მერია და გამგეობები ქაოსურად აფინანსებენ მოქალაქეთა სოციალურ საჭიროებებს და ამიტომ გვთავაზობს, ობიექტური კრიტერიუმებისა და რეგულაციების შემუშავებას სოციალური დახმარების გაწევისთვის.

კახა კალაძე აცხადებს, რომ სოციალური დაცვა მისი საქმიანობის პრიორიტეტი იქნება; შესაბამისად, მოსახლეობის სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად გააგრძელებს არსებულ პროგრამებს და კიდევ უფრო გააფართოებს მათ. ეს პროგრამებია: სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების 18-წლამდე ასაკის ბავშვებზე ყოველთვიური დახმარება; ასეთ ოჯახებში ერთჯერადად ახალშობილებზე დახმარების გაცემა; სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის განკუთვნილი დღის ცენტრის თანადაფინანსება; ზამთრის პერიოდში კომუნალური გადასახადების სუბსიდირების პროგრამა სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის; ხანდაზმულთა დღის ცენტრის დაფინანსება; შინმოვლის პროგრამა; უფასო სასადილოები; საკურორტო-გამაჯანსაღებელი საზაფხულო ბანაკები; 100 წელს მიღწეულ მოქალაქეთა ერთჯერადი დახმარების პროგრამა; ვეტერანთა და მარჩენალდაკარგულთა ოჯახების დახმარების პროგრამა.

კახა კუკავა თავის პროგრამაში პირდაპირ არ საუბრობს სიღარიბის დაძლევაზე, თუმცა სოციალური დაცვის თვალსაზრისით გვთავაზობს უფასო სასადილოებისთვის დაფინანსების გაზრდას. იგი იძლევა პირობას, რომ თვითმმართველობის სოციალური სამსახურები გადაამოწმებენ, სახელმწიფო

სააგენტომ რამდენად სამართლიანად მიანიჭა მოქალაქეებს მიზნობრივი სოციალური დახმარების სარეიტინგო ქულები.

სკოლამდელი განათლება - მეორე დიდი თემა, რომელზედაც კანდიდატები საუბრობენ, ეს არის სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობა. მოგეხსენებათ, სკოლამდელი განათლება ადგილობრივი ხელისუფლების ექსკლუზიური უფლებამოსილებაა და ამიტომაც ლოგიკურია, რომ ამ თემაზე ლაპარაკობს ყველა კანდიდატი, ერთის გარდა.

ალექსანდრე ელისაშვილისთვის მთავარი პრობლემაა პატარების რეგისტრაცია საბავშვო ბაღებში. მისი აზრით, კერძო ბაღები ფუფუნების საგანია და ასე რომ არ იყოს, აუცილებელია ვაუჩერული სისტემის შემოღება, ხოლო სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის უფრო მეტი ღირებულების ვაუჩერის შეთავაზება. კანდიდატის თქმით, ამგვარი მიდგომა საშუალებას მისცემს ოჯახს, თვითონ გადაწყვიტოს, სად მიიყვანოს ბავშვი - კერძო თუ საჯარო ბაღში. ვაუჩერულ სისტემაზე საუბრობენ ასევე **ელენე ხოშტარია** და **ზაალ უდუმაშვილი**. ხოშტარია, ისევე როგორც ელისაშვილი, ასახელებს საჯარო და კერძო ბაღებისთვის განკუთვნილი ვაუჩერების კონკრეტულ ოდენობას, ხოლო უდუმაშვილი ზოგადი დაპირებებით შემოიფარგლება. **გიორგი ვაშაძე** საუბრობს სკოლისა და ბაღის მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე. **კახა კალაძე** კი გვთავაზობს ბაგა-ბაღების ახალი მუნიციპალური სტანდარტების (აღმზრდელთა კვალიფიკაცია, ინფრასტრუქტურა, კვება, ჰიგიენა, ინკლუზია და უსაფრთხოება) დამტკიცებას და ბაღების რაოდენობის ზრდას. კერძოდ, მიმდინარე 13 ბაღის მშენებლობის დამთავრებასა და ახალი ბაღების აშენებას. ამ თემას ყველაზე მეტ ყურადღებას აქცევს **თენგიზ შერგელაშვილი**, რომლის საარჩევნო პროგრამა მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: სკოლამდელი განათლების ალტერნატიული და ინოვაციური მოდელების შემოღება, რესურსცენტრების დაარსება და პედაგოგთა პროფესიული განვითარება, სასწავლო პროცესში მშობლების ჩართულობა, ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებული სასწავლო მასალის შექმნა, ახალი საბავშვო ბაღების აშენება, ბაღების ვაუჩერიზაცია, რეგისტრაციის პროცესის გაუმჯობესება, ქალაქის ბიუჯეტიდან სკოლამდელი აღზრდისა და განათლებისთვის დაფინანსების გაზრდა.

ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა - ამ თემაზე საუბრობს ექვსი კანდიდატი.

ელენე ხოშტარია აცხადებს, რომ ქალაქს შეუძლია წვლილი შეიტანოს და გააუმჯობესოს ჯანდაცვის ინდიკატორები. ამიტომ სჯერა, რომ სოციალურ სფეროსთან დაკავშირებული მისი წინადადებების რეალიზაცია გავლენას მოახდენს ჯანდაცვის ხელმისაწვდომობაზეც. მაგალითად, ყოველთვიური დანამატი პენსიონერებსა და სოციალურად დაუცველებს მისცემს საშუალებას, შეიძინონ მედიკამენტები; დასაქმებაზე ორიენტირებული პოლიტიკის შედეგად ქალაქში გაჩნდება უფრო მეტი დასაქმებული და შესაბამისად, გაუმჯობესდება მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ყოველივე ეს კი გაზრდის მათ ფინანსურ ხელმისაწვდომობას ჯანდაცვაზე. იგივე შეიძლება ითქვას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზეც. ელენე ხოშტარია ფიქრობს, რომ ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამები უფრო ეფექტიანად უნდა მოერგოს მიზნობრივ ჯგუფებს.

გიორგი ვაშაძე ყურადღებას ამახვილებს ევროპული სტანდარტების სასწრაფო და გადაუდებელი დახმარების სისტემის ჩამოყალიბებაზე.

ზაალ უდუმაშვილი ამბობს, რომ ჯანდაცვაზე გაცემული დახმარებების მხრივ მერია თანამიმდევრული არ არის - ზოგიერთ მოქალაქეს 100-ლარიან დახმარებაზე ეუბნებიან უარს და ზოგს კი მერიის სადაზღვევო ფონდიდან 160 000 ლარით

აფინანსებენ. ამიტომ მისი მიზანია, უზრუნველყოს დაფინანსების გამჭვირვალე და სამართლიანი სისტემის დანერგვა, მეტი ყურადღება მიაქციოს დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე ოჯახებს. ამ საკითხების დასარეგულირებლად კი გვთავაზობს მედიკამენტური მკურნალობისა და პირველადი გამოკვლევების თანადაფინანსებას, 100 ახალი სასწრაფო დახმარების მანქანის შემოყვანას და 10 ახალი სადგურის აშენებას.

თენგიზ შერგელაშვილისთვის მნიშვნელოვანია მუნიციპალურ დონეზე საზოგადოებრივი და პირველადი ჯანდაცვის მიმართულებების გაძლიერება და ამ მიზნით რაიონებში „ჯანმრთელობის ცენტრების" მოწყობა. ცენტრები საშუალოდ 200 000-400 000-მდე ათასამდე მოსახლეს მოემსახურება და ხელს შეუწყობს დაავადებათა დროულ გამოვლენასა და პრევენციას. გარდა ამისა, განახორციელებს მუნიციპალურ ჯანდაცვით პროგრამებს და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სხვა არაერთ პროექტს. ამავდროულად, თენგიზ შერგელაშვილი საუბრობს სამედიცინო დაზღვევის მუნიციპალურ პროგრამაზე, რომელიც შეავსებს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით დაუფინანსებელ ამბულატორიულ თუ სტაციონარულ სერვისებს და იქნება დიფერენცირებული სხვადასხვა ჯგუფისთვის. მისივე აზრით, დღესდღეობით სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები მოკლებულია სტანდარტიზაციასა და სისტემურობას, რის გადასაჭრელადაც ის გვთავაზობს ინდივიდუალური სამედიცინო და სოციალური დახმარების გაწევის ობიექტური კრიტერიუმებისა თუ რეგულაციების შემოღებას.

კახა კუკავა საარჩევნო პროგრამაში გვპირდება, რომ მედიკამენტები საბაზრო ფასში გაიყიდება.

კახა კალაძე კი საუბრობს არსებული პროგრამების გაგრძელებაზე; კერძოდ, თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის გაძლიერებაზე, მათ შორის ავტოპარკის 70 ახალი სპეციალური ავტოსატრანსპორტო საშუალებით განახლებაზე, 100-მდე არსებული მანქანის აღჭურვილობის გაუმჯობესებასა და დისპეტჩერიზაციის ახალი პროტოკოლების დაგეგმვაზე. კახა კალაძის საარჩევნო დაპირებები მოიცავს ისეთ პროგრამებს, როგორიცაა: მოსახლეობის სამედიცინო გამოკვლევებისა და მკურნალობის თანადაფინანსება; აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვების რეაბილიტაციური თერაპია; C-ჰეპატიტის მკურნალობა; ონკოლოგიური დაავადებების თანადაფინანსება და ვაუჩერული დაფინანსება; ფსიქიკური ჯანმრთელობის კრიზისული ინტერვენცია და საყოველთაო ჯანდაცვის სერვისების თანადაფინანსება. კანდიდატი ასევე გვპირდება პაციენტთა ხანგრძლივი მოვლისა და პალიატიური მზრუნველობის სერვისების, ინსტიტუციური და შინმოვლის პროგრამების გაფართოებას. მომსახურების გაუმჯობესების თვალსაზრისით მას აუცილებლად მიაჩნია ჯანდაცვის პროგრამების ელექტრონულ მართვაზე გადაყვანა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე ორიენტირებული ჯანდაცვის, განათლებისა და სოციალური პროგრამები - შშმ პირთათვის უკეთესი გარემოს შექმნაზე საუბრობს ოთხი კანდიდატი.

კახა კალაძე საარჩევნო პროგრამაში გვპირდება თბილისის ინკლუზიურ ქალაქად გადაქცევას ყველა ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. ამის მისაღწევად კი ის აპირებს გააგრძელოს შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრირებისა და სოციალური დაცვის ხელშეწყობის პროექტების დაფინანსება, სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შშმ და 18 წელს ზემოთ მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარება და საკურორტო მომსახურების მუნიციპალური პროგრამები; ამ მიმართულებით აგრეთვე გეგმავს მუნიციპალიტეტის მმართველობაში არსებული ახალი და არსებული ავტობუსების

30 პროცენტის ადაპტირებას, გაჩერებებსა და საფეხმავლო გზებზე შესაბამისი პანდუსების მოწყობას, საზოგადოებრივ ტრანსპორტში ხმოვანი განცხადებების სისტემის დამონტაჟებას და მეტროპოლიტენის ადაპტაციას. კახა კალაძეს ასევე სურს შშმ პირთა საცხოვრებელი გარემოს ინდივიდუალური ადაპტირების პროგრამის გაფართოება, საზოგადოებრივი დანიშნულებისა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების, ასევე სხვადასხვა შენობა-ნაგებობის, კულტურული დაწესებულებების, პარკებისა და რეკრეაციული ობიექტების ადაპტირება და „სკოლამდელი ინკლუზიის“ თბილისის მოდელის დანერგვა.

თენგიზ შერგელაშვილი გვპირდება შშმ ბავშვების მხარდაჭერის კომპლექსური პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებას, ხოლო **ზაალ უდუმაშვილი** - შშმ პირთათვის ჯანდაცვის პროგრამის დაფინანსებას. **ელენე ხოშტარიას** აზრით, მუნიციპალიტეტს შეუძლია სახელმწიფო პროგრამების განხორციელება და გვთავაზობს ბაღებში ადრეული ინტერვენციის ოთახების მოწყობას, სკოლებში მუნიციპალური და სახელმწიფო პროგრამების ინტეგრაციას და 20 სკოლაში დღის ცენტრის მოწყობას.

განათლება (ზოგადი, უმაღლესი და პროფესიული) - კანდიდატები ასევე საუბრობენ განათლების ხელშეწყობაზე. ზოგად განათლებასთან დაკავშირებით **ზაალ უდუმაშვილი** თითოეულ სკოლას ჰპირდება 50 000-ლარიან დანამატს სასკოლო და სასწავლო ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად. ასევე აპირებს დააფინანსოს საგანმანათლებლო ბანაკები. სოციალურად დაუცველთა ბაზაში 200 000-ზე ნაკლები ქულის მქონე ყველა სტუდენტს უფინანსებს სწავლას და წარჩინებულ სოციალურად დაუცველ სტუდენტებს ჰპირდება სტაჟირებას მერიაში, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მხარდაჭერას. ზაალ უდუმაშვილი ზოგადად საუბრობს პროფესიული განათლების ხელშეწყობაზე.

კახა კალაძე აგრძელებს სოციალურად დაუცველი განსაკუთრებით ნიჭიერი სტუდენტების თანადაფინანსების პროგრამას, მოსახლეობას ჰპირდება 70-ზე მეტი საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას და 30 ახალი სკოლის აშენებას; პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობით, ყველა სკოლაში თანამედროვე ბიბლიოთეკისა და მედიათეკისთვის კომპიუტერული ტექნიკის შეძენას და წიგნის ფონდის შექმნას. პროფესიული განათლების კუთხით კი გააგრძელებს სოციალურად დაუცველი მოსწავლეების არაფორმალური განათლების დაფინანსებას.

კახა კუკავა გვპირდება, რომ ნიჭიერ სტუდენტებს, რომელთაც მიღებული აქვთ არანაკლებ 50-პროცენტიანი გრანტი, დაუნიშნავს სტიპენდიას და სრულად დაუფარავს განათლების საფასურს.

საცხოვრისი - საცხოვრისისა და დასაქმების საკითხები თითო-ოროლა კანდიდატს აღელვებს. **კახა კუკავა** წინასაარჩევნო პროგრამაში იძლევა დაპირებას, რომ შეაჩერებს ვალაუვალი მოქალაქეების გამოსახლებას საცხოვრებელი ბინებიდან. საამისოდ, აპირებს მუნიციპალური ბიუჯეტის კორექტირების შედეგად დაზოგილი სახსრებით რესტრუქტურიზაციის ფონდის შექმნას, აუქციონზე გამოტანილი უძრავი ქონების შეძენას და მოვალისთვის გადაცემას 10-წლიანი უპროცენტო გადახდის გრაფიკით და გამოსყიდვის უფლებით. ამავდროულად, ის საუბრობს უსახლკაროთათვის სოციალური სახლების მოწყობაზე და ოთხ და მეტშვილიანი ოჯახებისთვის უსასყიდლოდ საცხოვრებელი ფართის გადაცემაზე.

მეორე კანდიდატი, რომელიც საცხოვრისის საკითხს ეხება, **კახა კალაძეა**. ის, წინა შემთხვევების მსგავსად, აპირებს გააგრძელოს ისეთი მუნიციპალური პროგრამები, როგორიცაა: დანგრეული სახლების საკომპენსაციო თანხებითა და ბინის ქირით უზრუნველყოფა; შესაბამის სამინისტროსთან თანამშრომლობით

დევნილების ღირსეული საცხოვრებლით უზრუნველყოფა; დევნილთათვის ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა; დაუკანონებელი საცხოვრებელი ფართების საკითხის მოწესრიგება; სოციალურად დაუცველი ჯგუფების ღირსეულ საცხოვრისზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ლილოს მიუსაფართა თავშესაფრის დაფინანსება.

დასაქმება - ამ საკითხზე ორი კანდიდატი საუბრობს. **ელენე ხოშტარია** აპირებს დასაქმების გაზრდაზე ორიენტირებული პოლიტიკის გატარებას, რის შედეგადაც 35 000-ით მეტი ადამიანი დასაქმდება. **გიორგი ვაშაძე** კი საუბრობს ბლოკჩეინ/კრიპტო-ეკონომიკის შესაბამისი ბიზნესშესაძლებლობებისა და სტიმულის გაჩენაზე, მცირე და საშუალო ბიზნესის, ინვესტორების მხარდაჭერასა და ამ გზით ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე.

2.2. „კალათის" რეალისტურობა და ყოვლისმომცველობა

სოციალური დაცვის კუთხით კანდიდატების მიერ ჩამოთვლილი ქმედებების ნაწილი საკმაოდ კონკრეტულია, ნაწილი კი - ზოგადი. ხშირ შემთხვევაში კანდიდატები საუბრობენ მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის ცვლილებაზე, მათ შორის დახმარების ოდენობის გაზრდაზე ან ამ პროგრამაში რეგისტრირებული პირებისთვის სხვა, დამატებითი ფულადი დახმარებების გაწევაზე, პროგრამიდან მოსახლეობის ამოღების შეზღუდვაზე; ზოგადად - პროგრამაში გამოყენებული კრიტერიუმების ცვლილებაზე ან ახალი კრიტერიუმების შემოღებაზე და ა.შ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ამ პროგრამის მეშვეობით ვერც სიღარიბის დაძლევა მოხერხდება და ვერც სრულფასოვანი სოციალური დაცვა. მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამა - ეს არის ეროვნული მასშტაბის პროგრამა, რომლითაც მოსახლეობის ის ნაწილი სარგებლობს, რომელიც მატერიალურად შეჭირვებულია. იგი ქვეყანაში მცხოვრები ოჯახების 12 პროცენტს ფარავს. შესაბამისად, მხოლოდ ამ პროგრამაზე ყურადღების გამახვილებით კანდიდატებს გაუჭირდებათ თუნდაც მათ მიერვე დასახული ამოცანების შესრულება. გამოიკვეთა ჩვენი მოსახლეობის ორი დიდი კატეგორია - პენსიონერები (ელენე ხოშტარია) და 18 წლამდე ასაკის ბავშვები (ზაალ უდუმაშვილი, კახა კალაძე), რომელთაც კანდიდატი დამატებით ფულად სარგებელს ჰპირდება. ასევე წამოიწია უფასო სასადილოების თემამ (ზაალ უდუმაშვილი, კახა კალაძე, კახა კუკავა).

ალექსანდრე ელისაშვილის, ელენე ხოშტარიას და ზაალ უდუმაშვილის გეგმები შეიძლება შეფასდეს, როგორც ნაწილობრივ რეალისტური. მხოლოდ მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამაში მოქალაქეთა შენარჩუნებითა და დანამატის გაზრდით, რა თქმა უნდა, სიღარიბე ვერ დაიძლევა. უფრო მეტიც, სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, დაჟინებით იმის მოთხოვნა, რომ რომელიმე მოქალაქე არ ამოიღონ სიიდან, არ არის მართებული იდეა. ამასთან, ქალაქის მერს სამართლებრივად არც აქვს იმის უფლება, ეროვნულ დონეზე მომუშავე პროგრამიდან მოქალაქეების ამოღება-არამოღების საკითხი არეგულიროს ანდა დახმარების ოდენობა განსაზღვროს. პროგრამას გააჩნია კრიტერიუმები, რის მიხედვითაც ესა თუ ის მოქალაქე ამ პროგრამის ბენეფიციარი ხდება. ამ კრიტერიუმებს კი საქართველოს მთავრობა ადგენს კვლევის შედეგების საფუძველზე. რა თქმა უნდა, მერს შეუძლია მიზნობრივი სოციალური დახმარების ერთიანი ბაზის გამოყენება მუნიციპალური სოციალური პროგრამების გასანაწილებლად. თუმცა ეს ნიშნავს იმას, რომ თუ ვინმე სხვადასხვა მიზეზის გამო ბაზაში არ არის, ის ვერ ჩაერთვება მუნიციპალურ პროგრამებში. მუნიციპალიტეტს, საკუთარი სპეციფიკიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე, შესაძლოა ჰქონდეს თავისი პროგრამა, რომლისთვისაც ან გამოიყენებს მიზნობრივი სოციალური

დახმარების ერთიან ბაზას, ან არა. თითქმის ყველა კანდიდატი აპირებს ამ ბაზის გამოყენებას შემწეობის დასარიგებლად. მართალია, კანდიდატები საუბრობენ შემწეობის გაზრდაზე, მაგრამ ეს არარეალისტურია ჩამოთვლილი მიზეზების გამო. სინამდვილეში იგულისხმება ისეთი მუნიციპალური პროგრამები, რომელთა განხორციელებისთვის ბაზის გამოყენება და მოსახლეობის იდენტიფიცირება აუცილებელია. მათ მიერ შემოთავაზებული გზებიც მხოლოდ ნაწილობრივ პასუხობს სიღარიბის დაძლევისა და სოციალური დაცვის ამოცანებს. ამ მხრივ კანდიდატთა ქმედებები უფრო კონკრეტულია, თუმცა საკმარისი ნამდვილად არ არის. მართალია, რაოდენობრივად კახა კალაძის ქმედებები ყველას აჭარბებს, მაგრამ იგი მხოლოდ არსებული პროგრამების გაგრძელებას ეხება. ეს, ერთი მხრივ, კარგია, ვინაიდან მოქალაქეების იმ ნაწილს, ვინც ამ დახმარებებით სარგებლობს, ეცოდინება, რას უნდა ელოდოს მომავალში. თუმცა არსად ჩანს, რა ეფექტი გამოიღო ამ პროგრამებმა, ამიტომაც ძნელია იმის თქმაც, მომავალში რა შედეგს მოიტანს. რაც შეეხება გიორგი ვაშაძის, თენგიზ შერგელაშვილისა და კახა კუკავას პროგრამებს, ამ „კალათაში“ მათ მიერ შემოთავაზებული ქმედებები მეტად ზოგადი და ბუნდოვანია.

მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატთა აბსოლუტური უმრავლესობა ყურადღებას ამახვილებს ფულად გასაცემლებზე. არც ერთი კანდიდატი არ საუბრობს ქალაქის საჭიროებების შესწავლის აუცილებლობაზე და მათგან გამომდინარე სოციალური პროგრამების გადახედვაზე ან მუნიციპალური სოციალური დაცვის სტრატეგია/ხედვის შემუშავებაზე. გამართული სოციალური დაცვის სისტემა რომ არსებობდეს, აუცილებელია სისტემამ შეძლოს როგორც სიღარიბეში მყოფთა დახმარება, ისე სიღარიბეში ჩავარდნის პრევენცია, ღარიბი მოსახლეობის გააქტიურება და დახმარება, რათა ისინი დაუბრუნდნენ სამუშაო ბაზარს. სამწუხაროდ, კანდიდატთა ქმედებები უფრო პოპულისტურია, ვიდრე გააზრებული და დაგეგმილი.

სკოლამდელი განათლება - ამ თვალსაზრისით კანდიდატთა ქმედებების უმრავლესობა საკმაოდ კონკრეტულია, რადგან ძირითადად საუბარია ბაღების ვაუჩერიზაციასა და ახალი ბაღების მშენებლობაზე. კანდიდატები ეხებიან აღმზრდელების კვალიფიკაციისა და პროფესიული ზრდის საკითხებს, სხვადასხვა სტანდარტის შემოღებას და ბაღის ინკლუზიურობის უზრუნველყოფასაც. ორი კანდიდატი საუბრობს დაფინანსების გაზრდაზე. მაგალითად, გიორგი ვაშაძე აპირებს 30 მილიონის დახარჯვას მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე, ხოლო თენგიზ შერგელაშვილი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ბიუჯეტის 15 მილიონით ზრდას პირველივე წელს და ყოველ მომდევნო წელს - 10-15-პროცენტიან მატებას. ელენე ხოშტარია და ალექსანდრე ელისაშვილიც ასახელებენ კონკრეტულ თანხებს ვაუჩერიზაციისთვის. ამ უკანასკნელის პროგრამაში საუბარია ნებისმიერი ბავშვისთვის 2100-ლარიან ვაუჩერზე, ხოლო სოციალურად დაუცველი თითოეული ბავშვისთვის ეს თანხა 1500 ლარს შეადგენს. შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატთა გეგმები რეალისტურია (არ იგულისხმება ფინანსური თვალსაზრისით რეალისტურობა, ეს არც არის წინამდებარე განხილვის თემა), ხოლო პოლიტიკურად და კანონმდებლობის გათვალისწინებით მათი განხორციელება - შესაძლებელი. გარდა ამისა, სკოლამდელი აღზრდა და განათლება თვითმმართველობების ექსკლუზიური უფლებაა და მათ აკისრიათ ვალდებულება, იმოქმედონ მათ ხელთ არსებული ბიუჯეტის ფარგლებში. დეკლარირებული მიზანი, როგორც კანდიდატთა პროგრამებში იკვეთება, ეს არის ფიზიკური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რაც ნაწილობრივ შეიძლება განხორციელდეს მერობის მსურველთა დაგეგმილი ღონისძიებებით. თუმცა, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საკითხთან მიმართებით ბევრი სხვა პრობლემაც არსებობს, რომელთა შესახებაც კანდიდატები ან ძალიან ზოგადად, ან საერთოდ არ საუბრობენ. მაგალითისთვის შეგვიძლია დავასახელოთ

ზოგიერთი მათგანი: ბაღის აღმზრდელების კვალიფიკაცია, ბაღის სასწავლო გარემო, კვებისა და უსაფრთხოების საკითხები, სკოლისთვის მზაობა და ა.შ. აქედან გამომდინარე, კანდიდატები კომპლექსურად არ იაზრებენ საკითხს და მათი კონკრეტული ქმედებებიც მხოლოდ ნაწილობრივ უზრუნველყოფს სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდას.

ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა - აქ რამდენიმე თემა იკვეთება. ყველაზე მეტი კანდიდატი საუბრობს ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამების მიზნობრიობაზე, დახმარებების გაცემის კრიტერიუმების დახვეწასა და სტანდარტიზაციაზე, ჯანდაცვის დაფინანსების გამჭვირვალე და სამართლიანი სისტემის დანერგვაზე (ელენე ხოშტარია, ზაალ უდუმაშვილი, თენგიზ შერგელაშვილი). თუმცა, გარდა ზოგადად დეკლარირებული განაცხადისა, რომ დაინერგება ინდიკატორები, ამომრჩეველს კონკრეტულს არაფერს სთავაზობენ, არ განმარტავენ, რა ინფორმაციაზე დაყრდნობით და როგორ დანერგავენ ამ სისტემას. სასწრაფო გადაუდებელი სერვისის გაუმჯობესებაზე საუბრობს სამი კანდიდატი (გიორგი ვაშაძე, ზაალ უდუმაშვილი და კახა კალაძე). ერთ შემთხვევაში ზოგადად საუბარია ევროპული სტანდარტის სისტემის შექმნაზე, დანარჩენ შემთხვევებში კი აქცენტი უფრო დეტალურ ქმედებებზეა გადატანილი. კანდიდატები ასევე ეხებიან თანადაფინანსების საკითხებს, თუმცა ამ შემთხვევაშიც ზოგადი განაცხადებით შემოიფარგლებიან. ყველაზე მეტი დეტალიზაცია არის თენგიზ შერგელაშვილისა და კახა კალაძის პროგრამებში. ერთ შემთხვევაში საუბარია არაერთი კონკრეტული ქმედებით საზოგადოებრივი და პირველადი ჯანდაცვის მიმართულებების გაძლიერებაზე, ასევე მუნიციპალური სამედიცინო დაზღვევის პროგრამაზე, მეორე შემთხვევაში კი - არსებული პროგრამების გაგრძელება-გაფართოებაზე. ორივე შემთხვევაში დასახული გეგმები რეალისტურად ჩანს და მათი განხორციელება შესაძლებელია. ის, რაც ჯანდაცვის ხარჯების წამყვან კატეგორიას წარმოადგენს, მხოლოდ ორი კანდიდატის პროგრამაშია ნახსენები (კახა კუკავა, თენგიზ შერგელაშვილი). კახა კუკავას დაპირება საკმაოდ პოპულისტურად გამოიყურება, ხოლო კიდევ ერთი კანდიდატი (ელენე ხოშტარია) ფიქრობს, რომ სოციალური საკითხების მოსაგვარებლად გადადგმული მისი ნაბიჯები მოსახლეობას მედიკამენტების პრობლემის მოგვარებაშიც დაეხმარება.

რაც შეეხება **შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს**, ოთხი კანდიდატი ზოგადად ეხება ამ საკითხს. მართალია, შემოთავაზებული პროგრამების ნაწილი საკმაოდ კონკრეტულია, თუმცა არ არის კომპლექსური და, ამ საკითხის სირთულიდან გამომდინარე, მხოლოდ ნაწილობრივ ეხება არსებულ პრობლემებს. განხორციელების თვალსაზრისითაც, ქალაქის ინფრასტრუქტურისა და ტრანსპორტის ადაპტაცია საჭიროებს საკმაოდ დიდ თანხებს და კარგად გააზრებულ გეგმას. სერვისების მხრივ კი, მხოლოდ უკვე არსებულის გაგრძელებაზეა საუბარი და ზოგიერთ შემთხვევაში კი იმაზე, რომ მუნიციპალური პროგრამების ამოცანები სახელმწიფო პროგრამებმა შეასრულოს. ამ თვალსაზრისითაც, აშკარად იკვეთება საკითხისადმი ზედაპირული მიდგომა, ვინაიდან შესასწავლია ქალაქში არსებული საჭიროებები და სერვისებიც სწორედ მათზე დაყრდნობით უნდა განვითარდეს.

ზოგადი განათლება - კანდიდატები მოსახლეობას ჰპირდებიან სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, რაც შესაძლებელია. ასევე რეალისტური დაპირებაა **უმაღლესი განათლების** საფასურის თანადაფინანსებაც. გაცილებით ნაკლებს საუბრობენ **პროფესიულ განათლებაზე**, მიუხედავად იმისა, რომ სავარაუდოდ ამ მიმართულებით მდგომარეობის გაუმჯობესებაში ქალაქს საკმაოდ დიდი წვლილის შეტანა შეუძლია. ყველაზე ნაკლებად კანდიდატები **საცხოვრისისა და დასაქმების თემებს** ეხებიან. საცხოვრისზე მხოლოდ ორი კანდიდატი საუბრობს (კახა კუკავა, კახა კალაძე). შემოთავაზებული ქმედებები

საკმაოდ კონკრეტულია, თუმცა ზოგ შემთხვევაში - პოპულისტური. რაც შეეხება რესტრუქტურიზაციის ფონდის შექმნას და ბინების გამოსყიდვას, საეჭვოა, რამდენად სამართლიანი და გამართლებულია ამგვარი ქმედება და მისი მუნიციპალური ბიუჯეტიდან დაფინანსება. ასევე საუბარია უსახლკაროთათვის სოციალური სახლების მოწყობაზე, თავშესაფრებზე, რაც საკმაოდ კონკრეტულია და რამაც გარკვეულ ეტაპზე შესაძლოა პრობლემა დროებით მოაწესრიგოს კიდეც. არსებული პროგრამების გაგრძელებაც საკმაოდ კონკრეტული ქმედებაა, თუმცა საცხოვრისი კომპლექსური საკითხია და მას უფრო მასშტაბური მიდგომა სჭირდება.

დასაქმება - ამ საკითხზე მხოლოდ ორი კანდიდატი საუბრობს (ელენე ხოშტარია და გიორგი ვაშაძე) და მათი შემოთავაზებები ძალიან ზოგადია.

3 საარჩევნო პროგრამების მსგავსი პრიორიტეტები და ძირითადი განსხვავებები

3.1. ამოცანებისა და პრიორიტეტების მსგავსება

სოციალური პროგრამის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მსგავსება შეინიშნება ისეთ პრიორიტეტებს შორის, როგორიცაა: სოციალური დაცვა, ხელმისაწვდომობა სკოლამდელ განათლებაზე, ჯანდაცვასა და უმაღლეს განათლებაზე, აგრეთვე შშმ პირთათვის რელევანტური პროგრამების განხორციელება. ამოცანათა მსგავსებას ძირითადად მუნიციპალიტეტების ექსკლუზიური და დელეგირებული უფლებები განაპირობებს. პროგრამების სხვადასხვა სექტორის შედარებისას მკაფიოდ ჩანს, რომ კანდიდატებმა ყველაზე მეტი ყურადღება სოციალურ ბლოკს დაუთმეს: ერთი მხრივ, ქართულ პოლიტიკურ სივრცეში თემის პოპულარობის და, მეორე მხრივ, ქალაქში არსებული სოციალური პროგრამების დისფუნქციის გამო. უნდა აღინიშნოს, რომ პრიორიტეტების მსგავსება-განსხვავება დამოკიდებული არ აღმოჩნდა პარტიების იდეოლოგიაზე, რაც ქართული პარტიული სისტემისთვის დამახასიათებელია. მეორე თავში ნათლად გამოჩნდა, რომ ოპოზიციური და სახელისუფლებო კანდიდატები ძირითადად მსგავს ამოცანებზე ამახვილებდნენ ყურადღებას.

3.2. ამოცანებისა და პრიორიტეტების განსხვავებები

ამოცანებისა და პრიორიტეტების საგრძნობი მსგავსების მიუხედავად, პრობლემების გადაჭრის გზები ძირეულად განსხვავებულად ესახებათ მერობის კანდიდატებს. ეს განსაკუთრებით ეხება ისეთ საკითხებს, როგორიც არის: ზოგადი განათლების ხელშეწყობა, პროფესიული განათლება, საცხოვრისის საკითხები და სამუშაო ადგილების შექმნა.

როგორც მეორე თავში აღინიშნა, სოციალური დაცვის ნაწილში ძირითადი განმასხვავებლების არსებობას განაპირობებს კანდიდატთა მსოფლმხედველობა.

ალექსანდრე ელისაშვილის მოსაზრებით, სოციალური პრობლემის მოგვარება ლოკალურად, პროგრამის ფარგლებში გასაცემი დახმარების ზრდით შეიძლება. გიორგი ვაშაძის პოზიცია უფრო ზოგადი და გლობალურია. მას არ გააჩნია კონკრეტული სტრატეგია და ტაქტიკური ხედვა პრობლემების მოსაგვარებლად. სოციალური „კალათა“ ძირითადად განხილულია „ინოვაციებისა და ცოდნის ქალაქის“ კონტექსტში. კანდიდატის აზრით, სოციალური დაცვის პროგრამისთვის მნიშვნელოვანია იმგვარი შესაძლებლობების შექმნა, რომლის ფარგლებშიც მოქალაქე შეძლებს დასაქმებას და წარმატების მიღწევას. მიუხედავად იმისა, რომ ელენე ხოშტარიას ეკონომიკური „კალათა“, კანდიდატ გიორგი ვაშაძის მსგავსად, „ნაკლებ მთავრობასა და მეტ ეკონომიკურ თავისუფლებას“ ეფუძნება, სოციალური პროგრამა შემწეობათა ინიციატივებით არის გაჯერებული. ელენე ხოშტარია საპენსიო რეფორმის ფარგლებში შემწეობის გაზრდას ჰპირდება მოსახლეობას. იგივე ტენდენცია შეინიშნება ზაალ უდუმაშვილის პროგრამაში, თუმცა უფრო კონკრეტული ინიციატივებით: სოციალურად დაუცველებზე (200 000 ქულაზე ქვემოთ) 50-ლარიანი შემწეობა, 1000-ლარიანი დახმარება ახალშობილებს, რომლებიც 40 000 ლარზე ნაკლები შემოსავლის მქონე ოჯახებში გაჩნდნენ. მმართველი პარტიის კანდიდატის სოციალური ბლოკი ყველა სხვა სექტორს აღემატება.

პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული პრიორიტეტების მიღწევის გზები განსხვავებულია ჯანდაცვის და განათლების სფეროშიც. კანდიდატთა ნაწილი საკითხებს განიხილავს ლოკალურად. მაგალითად, ჯანდაცვის სფეროში ზაალ უდუმაშვილს პრობლემის მოგვარების გზად ესახება კონკრეტული რაოდენობის სასწრაფო გადაუდებელი სერვისისთვის ავტომობილების შეძენა და სადგურის აშენება. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, ამ მიდგომისგან განსხვავებით კანდიდატები ამომრჩეველს სთავაზობენ უფრო მეტად კომპლექსურ პროექტებს, როგორიც არის, მაგალითად, თენგიზ შერგელაშვილის სადაზღვევო ინიციატივა, რომელიც რამდენიმე კომპონენტს მოიცავს.

შეიძლება ითქვას, რომ სხვა „კალათებისგან“ განსხვავებით სოციალური პროგრამები საგრძნობი კონკრეტიკით გამოირჩევა. მიუხედავად იმისა, რომ კანდიდატთა ნაწილი ამომრჩეველს პოპულისტურ ინიციატივებს სთავაზობს, პროგრამების მეორე ნაწილში საუბარია რეალისტურ და განსახორციელებლად შესაძლებელ პროექტებზე.

4 პროგრამული პრიორიტეტები და მათი გავლენა სხვადასხვა სფეროებზე

სოციალური პროგრამების პრიორიტეტები ამომწურავად არის განხილული მეორე ქვეთავში, თუმცა მნიშვნელოვანია გაანალიზდეს აღნიშნული პროექტების გავლენა სხვა სფეროებზე. ერთ-ერთი საყურადღებო ასპექტი, რაზეც უშუალო გავლენას მოახდენს სოციალური „კალათა“, პარტიების ეკონომიკური პოლიტიკის სექტორია. მიუხედავად იმისა, რომ კანდიდატთა აბსოლუტური უმრავლესობა ეკონომიკურ პოლიტიკაში ბიუჯეტის დანახარჯების შემცირებაზე ამახვილებდა ყურადღებას, აღნიშნული ინიციატივა პრაქტიკულად არ შეხებია სოციალურ

დანახარჯებს. მეტიც, შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, რომ ეკონომიკური პოლიტიკის ფარგლებში განხორციელებული რეფორმები უშუალოდ ემსახურება სოციალურ ინიციატივებს.

სოციალურმა პროგრამამ ნაწილობრივ მოიცვა საცხოვრისით უზრუნველყოფის „კალათა“, მიუხედავად იმისა, რომ კანდიდატებისთვის სხვადასხვა თემის შესავსებად მიწოდებულ ინსტრუქციაში საცხოვრებელი ცალკე თავად მოიაზრებოდა. ანალიზიდან ნათლად გამოჩნდა, რომ სოციალური პროგრამის ზრდა (როგორც ხარისხობრივი, ისე ფინანსური) დადებით ინტერაქციაშია საცხოვრისით უზრუნველყოფის „კალათასთან“. მეტიც, როგორც ეს შესავალ ნაწილში აღვწერეთ, მერობის ორი კანდიდატი საარჩევნო პროგრამებში კონკრეტულად საუბრობს საცხოვრისით უზრუნველყოფის შესახებ.

5 საარჩევნო პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები და მათი განხორციელების ვადები

სოციალური „კალათა“ სხვა „კალათებისგან“ გამორჩეულია პროგრამის დროით დიაპაზონში შეფასების შესაძლებლობითაც. მიუხედავად იმისა, რომ ზოგადი სურათი არ განსხვავდება სხვა „კალათებისგან“, სოციალურ „კალათაში“ მაინც შეიმჩნევა რამდენიმე ინიციატივა, რომელთა შეფასებაც შესაძლებელია. მაგალითისთვის გამოდგება თენგიზ შერგელაშვილის ინიციატივა, რომელიც წელიწადში 10 საბავშვო ბაღის აშენებას, 4-წლიანი მმართველობის შემდეგ კი 40 საბავშვო ბაღის პროექტის დასრულებას და ამ მიმართულებით 40 მლნ ლარის ინვესტიციას გულისხმობს. კანდიდატის პროექტს 85 პროცენტით მერია დააფინანსებს, ხოლო 15 პროცენტი სესხით დაიფარება. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოპოზიციური კანდიდატისთვის პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება მთავრობასთან კოლაბორაციის გარეშე სესხის მიღება.

ჩამოთვლილი გამონაკლისი პროექტების გარდა, სოციალური „კალათის“ ძირითადი სურათი არ განხვავდება სხვა „კალათებისგან“. მიუხედავად იმისა, რომ თემების შესავსებ ინსტრუქციაში მკაფიოდ იყო მითითებული, დაესახელებინათ კონკრეტული პროექტებისა თუ ინიციატივების განხორციელებისთვის საჭირო ფინანსური რესურსის ოდენობა და ვადები, სოციალური „კალათის“ აღწერისას კანდიდატებმა მეტი ყურადღება მიაქციეს ფინანსურ რესურსს, ხოლო ვადების კომპონენტი არ გაითვალისწინეს.

6 ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

- მერობის კანდიდატებმა სოციალური პროგრამა სხვა პროგრამებისგან განსხვავებით უფრო სიღრმისეულად გაიაზრეს; შესაბამისად, მას უფრო დიდი ყურადღება ეთმობა.
- ძირითადი საკითხები, რომელთა ირგვლივაც კანდიდატები მსჯელობენ, შემდეგია: სოციალური დაცვა, სკოლამდელი განათლების უზრუნველყოფა, ზოგადი განათლების ხელშეწყობა, უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, პროფესიული განათლება, ხელმისაწვდომობა ჯანდაცვაზე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე ორიენტირებული ჯანდაცვის, განათლებისა და სოციალური პროგრამების განხორციელება, საცხოვრისისა და დასაქმების საკითხები.
- „კალათის“ სოციალური დაცვის კომპონენტი გამოირჩევა შედარებითი კონკრეტიკით და პრობლემის მოგვარებაზე ორიენტირებული ნაბიჯებით. რეკომენდაციის სახით უნდა ითქვას, რომ კონკრეტიკითა და საკითხის სიღრმისეული ცოდნით უნდა გამოირჩეოდეს არა მხოლოდ ერთი, არამედ პროგრამაში აღწერილი ყველა სხვა საკითხი (ჯანდაცვა, განათლება, დასაქმება, შშმ პირთათვის განკუთვნილი პროექტები).

ქალაქის მმართველობა

ზოგადი შეფასება 1

ალექსანდრე ელისაშვილის, გიორგი ვაშაძის, ზაალ უდუმაშვილის და **კახა კუკავას** საარჩევნო პროგრამებში არ არის წარმოდგენილი, რას ფიქრობენ ისინი ქალაქის მმართველობის საკითხზე, შესაბამისად, უცნობია მათი პრიორიტეტები ამ კონკრეტული მიმართულებით. ამიტომ, წინამდებარე დოკუმენტში გააანალიზებულია მხოლოდ **ელენე ხოშტარიას, თენგიზ შერგელაშვილისა** და **კახა კალაძის** საარჩევნო პროგრამების ეს მიმართულება.

ქალაქ თბილისის მმართველობის პოლიტიკის განსაზღვრაში კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამებში გამოკვეთილია რამდენიმე ძირითადი პრიორიტეტი:

- მუნიციპალიტეტის მმართველობის დეცენტრალიზაცია;
- ბიუროკრატიის შემცირება და მმართველობის ეფექტიანობის ზრდა;
- ბიუროკრატიის შენახვაზე გასაწევი ხარჯების შემცირება;
- მერიის საქმიანობისა და ადმინისტრაციული წარმოების გამჭვირვალე სისტემის ჩამოყალიბება;
- მმართველობის ელექტრონული პლატფორმის განვითარება და მოქალაქეებისთვის მუნიციპალური სერვისებით სარგებლობის გამარტივება;
- მართვის ავტომატიზებული სისტემების დანერგვა;
- შემცირებული კორუფციის რისკები, შიდა კონტროლისა და ანგარიშვალდებულების ძლიერი მექანიზმების დანერგვა;
- გადაწყვეტილებების მიღებაში, საბიუჯეტო დაგეგმვის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის მდგრადი სისტემის შექმნა;
- ფუნქციურ ანალიზზე დაფუძნებული ოპტიმიზებული ადმინისტრაცია.

წინამდებარე თავში განხილულია მერობის კანდიდატთა ზოგადი მოსაზრებები აღნიშნული ამოცანების მისაღწევად.

კანდიდატთა საარჩევნო პროგრამების პრიორიტეტები და მათი შეფასება 2

ელენე ხოშტარიას პროგრამის ამოცანები:

1. მუნიციპალიტეტის მმართველობის დეცენტრალიზაცია;
2. ბიუროკრატიის შემცირება და მმართველობის ეფექტიანობის ზრდა;
3. ბიუროკრატიის შენახვაზე გასაწევი ხარჯების შემცირება.

ელენე ხოშტარიას პროგრამული ამოცანების განხორციელების გზები: კანდიდატი მიიჩნევს, რომ დეცენტრალიზებული, მოქნილი, მცირე და ეფექტიანი მთავრობის შესაქმნელად საუკეთესო გზაა ბიუროკრატიის შეკვეცა და გამოთავისუფლებული თანხების მიმართვა პროგრამული დაფინანსებისკენ. უფრო მეტი კონკრეტული მონაცემები არ გაგვაჩნია, რითაც შეიძლებოდა შეგვეფასებინა კანდიდატის ხედვა, მისი ყოვლისმომცველობა ქალაქის მმართველობის მიმართულებით.

ელენე ხოშტარიას პროგრამის სრულყოფილებისა და რეალისტურობის შეფასება: კანდიდატის ხედვა შედარებით არარეალისტურია შემდეგი გარემოების გამო: ბიუროკრატიის შეკვეცა არ იწვევს ავტომატურად მისი მმართველობის ეფექტიანობის გაზრდას. ასევე არასრულყოფილია, რადგან არ მოიცავს მართვის სხვა მნიშვნელოვან ასპექტებს, როგორიცაა: მუნიციპალიტეტის მართვის სტრუქტურული და ადმინისტრაციული მოწყობა, მართვის სტილი, საშტატო რიცხოვნობა, მოქალაქეთა ჩართულობა, ადმინისტრაციული წარმოების სიმარტივე და ა.შ. პროგრამაში არ არის წარმოდგენილი დათვლადი ინდიკატორები, რომლებიც საშუალებას მოგვცემდა შეგვეფასებინა და გაგვეზომა ამ პროგრამის წარმატება.

თენგიზ შერგელაშვილის პროგრამის ამოცანები:

1. ბიუროკრატიული აპარატის რიცხოვნობის შემცირება;
2. მერიის ადმინისტრაციული რეფორმა და მოქალაქეებისთვის ადვილად ხელმისაწვდომი, მოქნილი ბიუროკრატიული სისტემის ჩამოყალიბება;
3. მერიის საქმიანობისა და ადმინისტრაციული წარმოების გამჭვირვალე სისტემის ჩამოყალიბება;
4. მმართველობის ელექტრონული პლატფორმის განვითარება და მოქალაქეებისთვის მუნიციპალური სერვისებით სარგებლობის გამარტივება, „ერთი ფანჯრის პრინციპით“;
5. თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმების დანერგვა.

თენგიზ შერგელაშვილის პროგრამული ამოცანების განხორციელების გზები: კანდიდატის მოსაზრებით, დასახული ამოცანების გადაჭრის მიზნით მომზადდება საკანონმდებლო ინიციატივა თბილისის რაიონების თვითმმართველობებად ფორმირებისა და მათი გამგებლების არჩევითობის შესახებ და წარედგინება საქართველოს პარლამენტს. საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებამდე კი თბილისი დღევანდელი 10-ის ნაცვლად დაიყოფა 25-მდე ერთეულად და ყოველ უბანს ეყოლება თავისი გამგებელი. მერიის ადმინისტრაციულ და სტრუქტურულ ერთეულებში დაინერგება „ერთი ფანჯრის“ პრინციპით მომუშავე სისტემა. ყველა გამგებელთან შეიქმნება საზოგადოებრივი საბჭო, რომელშიც შევლენ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მიერ არჩეული მოქალაქეები. მოქალაქის განცხადებაზე პასუხის გასაცემად დაწესებული ყველა ოფიციალური ვადა განახევრდება. მერიასა და გამგეობებში შესული განცხადებები განთავსდება სპეციალურ ვებგვერდზე და მოქალაქეებს მიეცემათ შესაძლებლობა, თვალყური ადევნონ თავიანთი განცხადებების მსვლელობას, გაეცნონ პასუხისმგებელი პირების შუალედურ დასკვნებს და ონლაინკომუნიკაციით დააზუსტონ დეტალები. შეიქმნება სპეციალური ვებგვერდი, რომლის დახმარებითაც მოქალაქეს ექნება კონკრეტული პრობლემის შესახებ ინფორმაციის განთავსების შესაძლებლობა (ინფორმაცია დაზიანებული ინფრასტრუქტურის შესახებ, ფოტოსურათები, ვიდეომასალა), ასევე იმუშავებს თბილისის უნივერსალური „ცხელი ხაზი“.

თენგიზ შერგელაშვილის პროგრამის სრულყოფილებისა და რეალისტურობის შეფასება: არსებული პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე, ნაკლებად რეალისტურია, რომ მერობის ოპოზიციონერმა კანდიდატმა მოახერხოს თბილისში ორდონიანი თვითმმართველობის ჩამოყალიბებაზე საკანონმდებლო ორგანოს

დათანხმება და რაიონულ დონეზე არჩევითი გამგებლების შემოყვანა. თუმცა შესაძლებელია ქალაქის ადმინისტრაციული მოწყობის შეცვლა და გამგეობების რიცხვის ზრდა, მოქალაქეთა მონაწილეობის საკანონმდებლო ინსტრუმენტების ამუშავება; ადმინისტრაციული პროცედურების დაჩქარებულად, მარტივად, უფრო ხელმისაწვდომად, გამჭვირვალედ წარმართვის უზრუნველყოფა. პროგრამა მეტ-ნაკლებად სრულყოფილია, თუმცა არ მოიცავს კანდიდატის ხედვას ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა: მერიის სტრუქტურული მოწყობა, საშტატო რიცხოვნობა, საჯარო ფუნქციების განხორციელებაში ბიუროკრატიისა და კერძო სექტორის ურთიერთმიმართება. შედარებით ნაკლებად არის წარმოდგენილი დათვლადი ინდიკატორები, რომლებითაც შეიძლებოდა შეგვეფასებინა და გაგვეზომა ამ პროგრამის წარმატება.

კახა კალაძის პროგრამის ამოცანები:

1. მართვის ავტომატიზებული სისტემების დანერგვა;
2. მოქალაქეებთან ურთიერთობის სიმარტივე;
3. შემცირებული კორუფციის რისკები, შიდა კონტროლისა და ანგარიშვალდებულების ძლიერი მექანიზმების დანერგვა;
4. ელექტრონულად ხელმისაწვდომი მთავრობა და მისი სერვისები;
5. გადაწყვეტილებების მიღებაში, საბიუჯეტო დაგეგმვის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის მდგრადი სისტემის შექმნა;
6. ფუნქციურ ანალიზზე დაყრდნობით ოპტიმიზებული ადმინისტრაცია.

კახა კალაძის პროგრამული ამოცანების განხორციელების გზები: კანდიდატის ხედვის მიხედვით დასახული ამოცანების გადაჭრის მიზნით განისაზღვრება მერიის თითოეული რგოლის ოპტიმალური სტრუქტურა და საშტატო განრიგი, შემუშავდება ფუნქციების განაწილების, კოორდინაციის, ანგარიშვალდებულებისა და კომუნიკაციის ქმედითი სისტემა. რეფორმის ფარგლებში შემუშავდება სამუშაოს აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები მერიის თითოეული მოხელისთვის. განისაზღვრება მერიის მოხელეთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ეფექტიანი პოლიტიკა. მერიაში შემუშავდება კორუფციის პრევენციის სტრატეგია და დაინერგება კონტროლისა და მონიტორინგის ქმედითი სისტემა. ასევე შეიქმნება მუნიციპალიტეტის ერთიანი მონაცემთა ბაზა და თბილისის ინტერაქტიური რუკა, ხოლო ყველაზე მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული პროცესებისთვის დაინერგება მართვის ავტომატიზებული სისტემები. ქალაქის თითოეულ რაიონში შეიქმნება თანამედროვე ინფრასტრუქტურითა და უახლესი ტექნიკით აღჭურვილი საზოგადოებრივი ცენტრები, სადაც უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობისთვის ათეულობით მომსახურების გაწევა „ერთი ფანჯრის“ პრინციპით. ჩამოყალიბდება თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის ინოვაციური მოდელი. კერძოდ, მოსახლეობის რაოდენობისა და სიმჭიდროვის შესაბამისად, თითოეული უბნისთვის განისაზღვრება ხარჯთაღრიცხვა, რომლის განკარგვის თაობაზე გადაწყვეტილებას უშუალოდ უბნის მოსახლეობა მიიღებს. შეიქმნება მოქალაქეთა მონაწილეობის ინოვაციური ონლაინპლატფორმები.

კახა კალაძის პროგრამის სრულყოფილებისა და რეალისტურობის შეფასება: კახა კალაძის პროგრამა რეალისტურია და ზუსტად პასუხობს თბილისის მერიის წინაშე არსებულ გამოწვევებს. ესენია: კორუფციის რისკების შემცირება, მოხელეთა გადამზადება, მათი ანგარიშვალდებულებისა და კონტროლის სისტემების დანერგვა, ელექტრონული სერვისების განვითარება, მოქალაქეებთან ურთიერთობის სიმარტივე, სანდო სტატისტიკური ინფორმაცია მმართველობის პროცესში, მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმები, სტრუქტურული ცვლილებები ფუნქციური ანალიზის საფუძველზე. ყველა ეს მიმართულება აქტუალურია და მისი მოგვარება არსებული საკანონმდებლო ჩარჩოების გათვალისწინებით შესაძლებელია. სრულყოფილების ნაწილში აკლია რამდენიმე მნიშვნელოვანი

კომპონენტი - მაგალითად, შეიძლებოდა ზოგადად თქმულიყო საშტატო რიცხოვნობაზე, აგრეთვე მერიის საჯარო ფუნქციების განხორციელების პროცესში კერძო სექტორის როლსა და მნიშვნელობაზე. შედარებით ნაკლებად არის წარმოდგენილი დათვლადი ინდიკატორები, რომლებიც საშუალებას მოგვცემდა შეგვეფასებინა და გაგვეზომა ამ პროგრამის წარმატება.

3 საარჩევნო პროგრამების მსგავსი პრიორიტეტები და ძირითადი განსხვავებები

3.1. ამოცანებისა და პრიორიტეტების მსგავსება

კანდიდატებს შორის მთავარი მსგავსება უკავშირდება ადმინისტრაციის და ადმინისტრაციული ხარჯების შეკვეცას, სტრუქტურული და ადმინისტრაციული მართვის ოპტიმიზაციას, ადმინისტრაციული წარმოების გამარტივებას და მოქალაქეებისთვის მუნიციპალური სერვისების ადვილად ხელმისაწვდომობას, ელექტრონული მთავრობისა და „ერთი ფანჯრის“ პრინციპის დანერგვას, მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმების გამოყენებას მართვის პროცესში.

3.2. ამოცანებისა და პრიორიტეტების განსხვავებები

სხვა კანდიდატებისგან განსხვავებით, კანდიდატ კახა კალაძის პროგრამაში ყურადღება გამახვილებულია კორუფციის რისკების შემცირებაზე, მერიის მოხელეთა ანგარიშვალდებულების, კონტროლისა და მათი გადამზადების სისტემის ჩამოყალიბებაზე.

4 პროგრამული პრიორიტეტები და მათი გავლენა სხვადასხვა სფეროებზე

ელენე ხოშტარიას პროგრამული ხედვის მიხედვით ადმინისტრაციის შეკვეცა გამოიწვევს ხარჯვის ეფექტიანობას პროგრამულ ნაწილში.

თენგიზ შერგელაშვილის პროგრამის მიზნებისა და ამოცანების განხორციელება ხელს შეუწყობს ხარჯვის ეფექტიანობას, გამჭვირვალობას, მოქალაქეთა ინფორმირებასა და ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. რა გავლენას მოახდენს სხვა სექტორებსა და სფეროებზე, ინფორმაცია მოცემული არ არის.

კახა კალაძის პროგრამაში შემოთავაზებული მართვის ავტომატიზებული სისტემები გაამარტივებს ადმინისტრაციულ წარმოებას სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის სამშენებლო ნებართვების, სოციალური დახმარებების გაცემის, მშენებლობის ზედამხედველობის, მუნიციპალური ტრანსპორტის და სხვა მხრივ. მოქალაქეებს მიეცემათ შესაძლებლობა, მათთვის გამოყოფილი ლიმიტის ფარგლებში ჩაერთონ საბიუჯეტო დაგეგმვის პროცესში და თვითონ მიიღონ გადაწყვეტილებები, რომლებიც გავლენას მოახდენს სხვადასხვა სფეროს განვითარებაზე, მოქალაქეთა ინტერესების შესაბამისად. ინტერაქტიური რუკისა და საზოგადოებრივი ცენტრების შექმნის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მუნიციპალური სერვისების მიწოდების ხარისხსა და ოპერატიულობას.

საარჩევნო პროგრამის ზეგავლენის შედარებითი შეფასება დროში 5

„კალათების“ გაანალიზების ზოგად ტენდენციას ქალაქის მმართველობის სფეროც მისდევს, რაშიც ვგულისხმობთ ინიციატივების ვადების დაზუსტების დეფიციტს. **ელენე ხოშტარიას** პოზიცია ამ მხრივ გასაგებია, რადგან კანდიდატის ძირითადი ამოცანაა ადმინისტრაციული საბიუჯეტო დანახარჯების შეკვეცა და შესაბამისად, ქალაქის მმართველობისთვის აუცილებელი ბიუროკრატიის შემცირება. მიუხედავად მინიმალისტური მმართველობის ფორმის შეთავაზებისა, პროგრამას მნიშვნელოვნად აკლია რაოდენობრივი შეფასების ელემენტები. ხარისხობრივი ანალიზის კუთხით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის პრაქტიკულად არ არის დათვლადი.

კახა კალაძის პროგრამაშიც არ არის დაკონკრეტებული ვადები. მიუხედავად იმისა, რომ მმართველი პარტიის ფილოსოფია განსხვავდება ოპოზიციის კონცეფციისგან და გულისხმობს ავტომატიზებული სისტემის შექმნას, მაინც ბუნდოვანია, რა ვადებში და რა ეტაპების გავლის შედეგად იქნება მიზანი მიღწეული. ანალიზის შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროგრამა არ არის დათვლადი, ვინაიდან ინფორმაცია მხოლოდ ხარისხობრივ კომპონენტზე მოიპოვება.

თენგიზ შერგელაშვილის პროგრამაც არ იძლევა მკვეთრად დადგენილ ვადებს. სხვა კანდიდატებისგან განსხვავებით, მისი ამოცანები ნაწილობრივ დათვლადია, იმდენად რამდენადაც არსებობს წვდომა რაოდენობრივ ინფორმაციაზე, მაგალითად, გამგეობების 10-იდან 25-მდე ზრდის სურვილი, თუმცა ხარისხობრივად აღნიშნული პოლიტიკა ანალიზს მოკლებულია.

ვადების კონტექსტში დაგეგმვის კუთხით ძირითადი სურათი უცვლელია. პროგრამების იმ ნაწილში, რომელიც მოიცავს ინფორმაციას ქალაქის მმართველობის შესახებ, არ არის დაზუსტებული დეტალური ვადები, რის ფარგლებშიც ინიციატივა უნდა განხორციელდეს.

6 ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

- ძირითადი ამოცანები, რომლებიც ზემოთ აღნიშნული „კალათის“ ანალიზისას გამოვლინდა, შემდეგია:

  > მუნიციპალიტეტის მმართველობის დეცენტრალიზაცია;
  > ბიუროკრატიის შემცირება და მისი ეფექტიანობის ზრდა;
  > ბიუროკრატიის შენახვაზე გასაწევი ხარჯების შემცირება;
  > მერიის საქმიანობისა და ადმინისტრაციული წარმოების გამჭვირვალე სისტემის ჩამოყალიბება;
  > მმართველობის ელექტრონული პლატფორმის განვითარება და მოქალაქეებისთვის მუნიციპალური სერვისებით სარგებლობის გამარტივება;
  > მართვის ავტომატიზებული სისტემების დანერგვა;
  > შემცირებული კორუფციის რისკები, შიდა კონტროლისა და ანგარიშვალდებულების ძლიერი მექანიზმების დანერგვა;
  > გადაწყვეტილებების მიღებაში, საბიუჯეტო დაგეგმვის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის მდგრადი სისტემის შექმნა;
  > ფუნქციურ ანალიზზე დაფუძნებული ოპტიმიზებული ადმინისტრაცია.

- კანდიდატთა პროგრამებში შემოთავაზებული კონცეპტუალური მოსაზრებები სრულად არ მოიცავს მართვის ყველა ასპექტს, მაგალითად: მართვის ორგანიზაციულ სტრუქტურას, საშტატო რიცხოვნობას, მართვის სტილს (მმართველობა ადმინისტრაციული სამსახურებით თუ კერძო სექტორის დახმარებით, ე.წ. PPP მოდელი), ასევე არ არის შეფასებული არსებული სტრუქტურა, მისი ძლიერი და სუსტი მხარეები.
- რეკომენდებულია, კანდიდატებმა მოიცვან მართვის ყველა ასპექტი და ახალი ხედვის ჩამოყალიბებისას გაითვალისწინონ ქალაქის მმართველობის წინაშე მდგარი გამოწვევები, იხელმძღვანელონ არსებული სტრუქტურის ფუნქციური ანალიზითა და კონკრეტული სტატისტიკური მონაცემებით. ასევე, განსაზღვრონ კონკრეტული პრობლემები, მიზნები, ამოცანები, განხორციელების გზები, შედეგები და შედეგების შეფასების ინდიკატორები.
- აუცილებელია, ქალაქის მართვის მნიშვნელოვნების ადეკვატური ანალიზი. კანდიდატებმა, რომელთაც აღნიშნული „კალათა“ გამოტოვეს, კონკრეტული წინადადებები უნდა შეიმუშაონ სწორედ ამგვარ ანალიტიკურ პლატფორმაზე დაყრდნობით და წარმოადგინონ შემდეგ არჩევნებზე.

საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა

1 ზოგადი შეფასება

1.1. პროგრამის პრიორიტეტები

ელენე ხოშტარიას ამ „კალათის“ რამდენიმე პრიორიტეტი აქვს დასახელებული; მათ შორის: ინფრასტრუქტურული ხარჯების უფრო ეფექტიანად ხარჯვა, რაც შესაძლებელი იქნება ნეპოტიზმის ნიშნით ბიუროკრატიის ზრდისა და არაკვალიფიციურობის აღმოფხვრის შედეგად თანხების დაზოგვის გზით; ისტორიული უბნების რეაბილიტაცია და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება მესაკუთრეების ხელშეწყობის მიზნით, რათა მათ წამოიწყონ ბიზნესი და შექმნან ახალი სამუშაო ადგილები; ახალი სარეკრეაციო სივრცეების მოწყობა, არსებულის რეკონსტრუქცია და ცენტრალური პარკის გაშენება; ახალი ხიდებისა და ესტაკადების მშენებლობა, ამ და სხვა ინფრასტრუქტურული მშენებლობის მიმდინარეობისას და მისი დასრულების შედეგად სამუშაო ადგილების შექმნა; საფეხმავლო სივრცეების მოწესრიგება, რასაც მოჰყვება ამ არეალში ახალი მცირე ბიზნესის წამოწყება; სატვირთო რკინიგზის გადატანა და ყოფილი ინდუსტრიული ტერიტორიების, ე.წ. „ბრაუნფილდების“ გამოყენება სხვადასხვა დანიშნულებით; გამოთავისუფლებულ ტერიტორიებზე სხვადასხვა დანიშნულების მშენებლობების უზრუნველყოფა და სამუშაო ადგილების გაჩენა.

ზაალ უდუმაშვილისთვის პრიორიტეტია თბილისის უსაფრთხო და კომფორტულ ქალაქად ქცევა, რაც, მისი აზრით, თავისთავად ნიშნავს ბიზნესის სტიმულირებას და ინვესტორების წახალისებას. იგი პრიორიტეტებს შორის ასევე ასახელებს რკინიგზის დედაქალაქიდან მთლიანად გადატანას, გამოთავისუფლებულ ტერიტორიაზე დასაქმების ზონებისა და შესაძლებლობების შექმნას. მისი დაპირებები მოიცავს ავარიული შენობების რეაბილიტაციას, სახურავებისა და ლიფტების შეკეთების ჩათვლით და ამორტიზებული შენობების ეტაპობრივად ჩანაცვლებას. ასევე გეგმავს თბილისის ისტორიულ ნაწილში მრავალსართულიანი მშენებლობების შეზღუდვას, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კონსერვაციას და მათ რეაბილიტაციას, ისევე როგორც საზოგადოებრივი ზედამხედველობის ეფექტიანი მექანიზმის შექმნას.

კახა კალაძისთვის პრიორიტეტულია შემდეგი საკითხები: თბილისის მიწათმოწყობის გენერალური გეგმის შემუშავება და დამტკიცება; ქაოსური და უსახური მშენებლობების აღკვეთა; ავარიული და ძველი შენობების ჩანაცვლების კონცეფცია; ქალაქის უბნების თანაბარი განვითარება; თბილისის ისტორიული ნაწილის რეაბილიტაცია; თბილისის იერსახისთვის ერთიანი სტილის შემუშავება; ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოების გაგრძელება. იგი ასევე აპირებს თბილისის აგლომერაციულ დონეზე განხილვას და შესაბამისი სტრატეგიის დასახვას, რუკის შემუშავებას.

თენგიზ შერგელაშვილის პრიორიტეტებია: ცენტრისა და გარეუბნების თანაბარი განვითარება; ქალაქში მოხუცების, ბავშვების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ფეხით მოსიარულეთათვის კომფორტული გარემოს შექმნა; საგზაო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია და სატრანსპორტო კვანძების ოპტიმიზაცია (იგულისხმება ახალი საგზაო ობიექტების შექმნაც); ქალაქის მიწათსარგებლობის

სრულიად ახალი გენერალური გეგმის მიღება (ამჟამად განიხილება გეგმა, რომელიც, კანდიდატის აზრით, არასრულყოფილია); სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგიის განვითარება; გარემოსდაცვითი ექსპერტიზის ჩატარება, რათა თბილისი იქცეს ევროპის ერთ-ერთ ყველაზე მწვანე ქალაქად; მონიტორინგისა და საზოგადოებრივი ზედამხედველობის ეფექტიანი მექანიზმის შემუშავება; მერიის მიერ თბილისის განვითარების ინსტიტუტის ჩამოყალიბება; კადრების ოპტიმიზაცია; ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი და შესრულების სისწრაფე.

კახა კუკავა აღნიშნავს რეგიონებში არსებულ რთულ სიტუაციას. მდგომარეობის გამოსწორებისა და პერიფერიებისადმი ყურადღების გაზრდის მიზნით თბილისის დეურბანიზაციის მოწოდებით გამოდის.

1.2. შედეგების შეფასების გაზომვადი ინდიკატორების არსებობა

რამდენად რეალურია მერობის კანდიდატთა დაპირებები, ამის დონეს გაზომვადი ინდიკატორების არსებობა განსაზღვრავს. ამ მიმართულებით **ელენე ხოშტარიას** პროგრამა საკმაოდ ამბივალენტურია. ერთი მხრივ, კანდიდატის ისეთი ინიციატივების დათვლა, როგორიც არის გადასახადის 10 პროცენტით შემცირება, გრანტების გაცემა კერძო სექტორისთვის, 308 მილიონი ლარის ოპტიმალური მენეჯმენტი, სარეკრეაციო სივრცეების მოწყობა, შეუძლებელია, ვინაიდან კრიტერიუმებზე ინფორმაცია მხოლოდ ნაწილობრივია და მოიცავს ხარისხის ელემენტებს. მეორე მხრივ, აღნიშვნის ღირსია შემდეგი ინიციატივები: რკინიგზის გადატანა, რაც წელიწადში 6750 სამუშაო ადგილს ქმნის, ხოლო 20 ჰექტარზე ცენტრალური პარკის გაშენება - 500 სამუშაო ადგილს წელიწადში. ეს პროექტები ნაწილობრივ დათვლადია, ვინაიდან შეიცავს ინფორმაციას რაოდენობის შესახებ. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაში ბუნდოვანია, რა გზითაა შესაძლებელი აღნიშნული მაჩვენებლების მიღწევა და რა ანალიზის საფუძველზე ვიღებთ კონკრეტულ რიცხვებს.

ზაალ უდუმაშვილის პროგრამა გაზომვადი ინდიკატორების დეფიციტს განიცდის. ამოცანები ფორმულირებულია ზოგადი ტერმინებით, პრაქტიკულად არც რაოდენობრივ მაჩვენებლებს შეიცავს და არც ხარისხობრივს. ნარატივი უფრო ლოზუნგების ფორმას იღებს და არ ეყრდნობა სტატისტიკურ ან ექსპერტულ ანალიზს.

გაზომვადი ინდიკატორები არც **თენგიზ შერგელაშვილის** პროგრამაშია. ინფრასტრუქტურის „კალათა“ მეტისმეტად ზოგად ამოცანებს სახავს. გაზომვის რაოდენობრივ და ხარისხობრივ ინდიკატორებს მოკლებულია კანდიდატის პროექტები თბილისის განვითარების ინსტიტუტის შექმნისა და საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმის შემუშავების შესახებ. კანდიდატების - ზაალ უდუმაშვილისა და თენგიზ შერგელაშვილის პრიორიტეტების დათვლა შეუძლებელია.

ანალიზიდან გამოჩნდა, რომ გაზომვის ინდიკატორების არსებობის საკითხი არ არის დამოკიდებული იმაზე, კანდიდატი ხელისუფლებაშია თუ ოპოზიციაში. შესაბამისად, **კახა კალაძის** პროგრამაც არადათვლადია. მმართველი გუნდის კანდიდატს კონკრეტული ამოცანები აქვს დასახული. მაგალითად: სოფელ დიღმის კანალიზაციის მოწესრიგების საკითხი, გუდიაშვილის საფეხმავლო-სამუზეუმო ქუჩის განვითარება, ორბელიანის მოედნისა და მიმდებარე ქუჩების, მშრალი ხიდის, 9 მარტისა და დედაენის ბაღის, ქვემო კალას, კოტე აფხაზის (ლესელიძის) ქუჩის, ზემო კალას, ფიროსმანის, კარგარეთელისა და კონსტიტუციის ქუჩების,

სულხან-საბა ორბელიანისა და ინგოროყვას ქუჩების რეაბილიტაცია. თუმცა აღნიშნული ამოცანების მიღწევის გზები საკმაოდ ბუნდოვანია და არც ის ჩანს, რას ეფუძნება მისი ამოცანები. მიუხედავად კონკრეტიკის მაღალი დონისა, პროგრამა ხასიათდება შედეგების შეფასების გაზომვადი ინდიკატორების დეფიციტით.

შესავალ ნაწილში უკვე ითქვა და აქაც გვინდა აღვნიშნოთ, რომ **ალექსანდრე ელისაშვილი** და **გიორგი ვაშაძე** თავ-თავის პროგრამებში ინფრასტრუქტურის განვითარების ნაწილს ყურადღებას არ უთმობენ. **კახა კუკავას** ინფრასტრუქტურის „კალათაც" საკმაოდ ლაკონიურია და მხოლოდ დეურბანიზაციას მოიცავს. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არცერთი კანდიდატის პროგრამაში არ არის ისეთი ინდიკატორები, რომელთა გაზომვა შესაძლებელი იქნებოდა.

კანდიდატთა საარჩევნო პროგრამების პრიორიტეტები და მათი შეფასება 2

როგორც **ელენე ხოშტარია** აღნიშნავს, ყველა ადმინისტრაციის პერიოდში, დედაქალაქის განვითარებას თან სდევს არაკვალიფიციურად ჩატარებული სამუშაოები. მერიაში დასაქმებულთა რაოდენობა ბევრად აღემატება ევროპის დედაქალაქების მერიებში დასაქმებულთა რაოდენობას. კანდიდატს საჭიროდ მიაჩნია სამუშაოთა კვალიფიკაციის უკეთესი მონიტორინგი, აგრეთვე ბიუროკრატიული აპარატისა და მისი ხარჯების შემცირება.

თბილისის ისტორიული უბნების რეაბილიტაცია მეტად აქტუალურია და გადაუდებელიც, თუმცა ამ საკითხისადმი მიდგომა მხოლოდ ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნის კუთხით ცალმხრივია და შეიძლება სახიფათოც კი იყოს. ასეთი უბნები, უპირველეს ყოვლისა, უნდა განიხილებოდეს სოციალური გარემოსადმი ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების მიხედვით. საცხოვრებელი გარემოს გაჯანსაღების კონცეპტუალური მიდგომა ითხოვს განახლების ფაქიზ გზას, რაც ასევე საინტერესო იქნება ტურიზმისთვის და, იმავდროულად, ხელს შეუწყობს მოსახლეობას მცირე ბიზნესის წამოწყებაში; თუმცა ეს უნდა ხდებოდეს ისეთი ქალაქგანვითარებითი ხერხებისა და საკანონმდებლო მექანიზმების გამოყენებით, რომლებიც მინიმუმამდე შეამცირებს ჯენტრიფიკაციის შესაძლებლობას, სოციალური შემადგენლობის ცვლილების საფრთხეებს, გამორიცხავს ფუნქციურ დანიშნულებასა და გამოყენებას შორის დისბალანსს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხოლოდ ტურიზმის ხელშეწყობაზე ორიენტირებულმა მიდგომამ შეიძლება გამოიწვიოს უბნების კომერციალიზაცია, ძირითადი საცხოვრებელი ფუნქციის სხვა ფუნქციებით შეცვლა, ადგილობრივი, ძირძველი მოსახლეობის უფრო შეძლებული ფენით ჩანაცვლება, ისეთი ფუნქციების მოჭარბება, რაც საცხოვრებელ გარემოს მნიშვნელოვანწილად დაუკარგავს მის ძირითად დანიშნულებას გადატვირთულობის, ხმაურის, ფასების მკვეთრი ზრდის ან სხვა თანამედევი მიზეზების გამო. ეს პრობლემები უკვე არსებობს თბილისის ზოგიერთ განახლებულ უბანში, სადაც ამგვარი ფაქტორები არ გაუთვალისწინებიათ.

ახალი სარეკრეაციო სივრცეების მოწყობა და არსებულის რეაბილიტაცია მისასალმებელია. თუმცა უცნაურია, რომ ამ პროექტებთან დაკავშირებით ყურადღება მახვილდება მხოლოდ სამუშაო ადგილების შექმნაზე. უპირველესი მიზანი უთუოდ უნდა იყოს გარემოს გაჯანსაღებაზე ზრუნვა, გამწვანების მასშტაბის ზრდა. ორივე კომპონენტი თბილისში კატასტროფულად დაბალ ნიშნულზეა. ასეთ პირობებში შექმნილი სამუშაო ადგილები დროებითია როგორც მშენებლობის პროცესში, ისე მოვლა-პატრონობის დროს. ახალი სარეკრეაციო სივრცეების გაჩენა და არსებულის განვითარება აუმჯობესებს საცხოვრებელ გარემოს, დადებითად აისახება ჰაერის ხარისხზე, მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, აუმჯობესებს ქალაქის მიმზიდველობას საცხოვრებლად, დასათვალიერებლად და ინვესტიციების მოსაზიდად. მწვანე სივრცეების სიმრავლე ამცირებს ტემპერატურას ზაფხულის ცხელ დღეებში ნიადაგის მიერ აბსორბირების საშუალებით, ასევე ნალექების დროს ქალაქის სანიაღვრე სისტემაში წყლის რაოდენობას. დაბინძურებული გარემო საშიშია ყველასთვის, იქნება ის ვიზიტორი, ინვესტორი თუ ადგილობრივი მკვიდრი, სერიოზულ ზიანს აყენებს ჯანმრთელობას და აქვეითებს მოსახლეობის შრომისუნარიანობას. შესაბამისად, მწვანე სივრცეების განვითარებას მოაქვს არაერთი სიკეთე, პროგრამაში კი აქცენტი მხოლოდ სამუშაო ადგილებზეა.

ნახსენებია ახალი ხიდებისა და ესტაკადების მშენებლობა, მაგრამ აქცენტი აქაც გადატანილია სამუშაო ადგილებზე, რომლებიც იქმნება მხოლოდ მშენებლობის პროცესში, ესე იგი, დროებითი და მოკლევადიანი მოვლენაა. თუმცა არ შეიძლება ასეთი ინფრასტრუქტურის შენება მხოლოდ იმიტომ, რომ ის დროებით სამუშაო ადგილებს ქმნის. საჭიროა კონკრეტული წინადადებების დასაბუთება უპირველესად ქალაქგეგმარებითი და სატრანსპორტო საჭიროებებიდან გამომდინარე. ხიდებისა და ესტაკადების მშენებლობა ინფრასტრუქტურის განვითარებად შეიძლება შეფასდეს გარკვეულ შემთხვევებში. მტკვრის ორივე სანაპიროს შორის კავშირების გასაუმჯობესებლად გარკვეულ ადგილებში ხიდების აშენება საჭიროა, თუმცა ქალაქში ესტაკადების მოწყობა მსოფლიო გამოცდილებით უკვე დიდი ხანია მავნე მოვლენად არის შეფასებული და წარსულის, მე-20 საუკუნის 60-70-იანი წლების პრაქტიკად განიხილება - იგი აყალიბებს ადამიანის მიმართ არაკომფორტულ ქალაქურ გარემოს, აძნელებს ფეხით მოსიარულეთა გადაადგილებას, ამახინჯებს ვიზუალურ აღქმას. შედეგად, მცირდება ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილი სივრცეები, შესაბამისად, ფეხით მოსიარულეთა და ველოსიპედისტთა რაოდენობაც იკლებს, ზარალდება ისეთი მცირე ბიზნესი, რომლისთვის სასიცოცხლოა მიმზიდველი გარემო - კაფეები, რესტორნები, მაღაზიები და ა.შ. რაც უფრო მეტია გზა და ესტაკადა, მით უფრო იზრდება სატრანსპორტო დატვირთვა - ასეთია საერთაშორისო ქალაქგანვითარებაში დამკვიდრებული თანამედროვე აქსიომა. ამიტომაც ეს მიდგომა არათუ მოაგვარებს ე.წ. საცობების პრობლემას, არამედ აუარესებს მდგომარეობას. ასეთი გადაწყვეტილებების მიღება დასაშვებია მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში, კონკრეტული ადგილმდებარეობის გათვალისწინებით - ქალაქის პერიფერიაში, საცხოვრებელი და საზოგადოებრივი ტერიტორიებისგან მოშორებით; და ისიც მაშინ, თუ არ მოიტანს ჩამოთვლილ უარყოფით შედეგებს, რაც კვლევებითა და კომპლექსური შეფასებებით უნდა დადგინდეს. ამ საკითხისადმი მიდგომა უნდა განიხილებოდეს ურბანული მობილობისა და ქალაქის სატრანსპორტო პოლიტიკის ჭრილში.

პროგრამაში ნახსენები სატვირთო რკინიგზის გადატანა და გამოთავისუფლებული ტერიტორიების განვითარება თბილისისთვის მეტად აქტუალური საკითხია. აქ საინტერესო იქნებოდა კანდიდატის მოსაზრების გაგება სამგზავრო რკინიგზაზეც, რომლის შენარჩუნებაც ქალაქისთვის უმნიშვნელოვანესია. უცნობია, რა გათვლებს ეყრდნობა მოყვანილი ციფრები საცხოვრებელი, საოფისე და სავაჭრო ფართების შექმნის შესახებ, არსებობს თუ არა ამ კონკრეტულ ციფრებზე მოთხოვნა და რამდენად რეალურია მათი ათვისება.

უფუნქციოდ დარჩენილი ინდუსტრიული საწარმოების ტერიტორიების, ე.წ. „ბრაუნფილდების“ რეგენერაცია, მათი გამოყენება სარეკრეაციო, საზოგადოებრივი, საცხოვრებელი და კომერციული დანიშნულებებით აუცილებელია იმისთვის, რომ ქალაქი სწორი მიმართულებით განვითარდეს. მაგრამ საინტერესოა ვიცოდეთ, როგორ აპირებს კანდიდატი ამის განხორციელებას - „ბრაუნფილდების“ აბსოლუტური უმრავლესობა კერძო საკუთრებაშია, რაც შეიძლება პრობლემას წარმოადგენდეს ამ ტერიტორიების დაგეგმვისა და რეგენერაციის დროს.

ზაალ უდუმაშვილის პრიორიტეტი - უსაფრთხო და კომფორტული ურბანული გარემო, ნებისმიერი ცივილიზებული და თანამედროვე ქალაქის აუცილებელი პირობაა. სხვანაირი ქალაქის არსებობა წარმოუდგენელიც კია. პირობა, რომ თბილისი ასეთ ქალაქად უნდა იქცეს, თავისთავად იმის აღიარებაა, რომ იგი ასეთი არ არის. თუმცა არ არის ნახსენები, რა მიაჩნია მას ამ მხრივ პრობლემებად (გამონაბოლქვი, სამშენებლო მტვერი, ტროტუარებზე პარკირებული მანქანები, დაუცველი სამშენებლო მოედნები, შემოკავებული საზოგადოებრივი სივრცეები და ა.შ.) და რა ნაბიჯებს გადადგამს ამის მისაღწევად (აკრძალვები, შეზღუდვები, საჯარიმო სანქციები და ა.შ.).

მუნიციპალური სახსრებიდან ყოველწლიურად 50 მილიონის გამოყოფა ავარიული სახლების რეაბილიტაციისთვის რთული შესაფასებელია, რადგან არ არის მოყვანილი სხვა მონაცემები - ავარიული სახლების რაოდენობა, ავარიულობის ხარისხი, ჩასატარებელი სამუშაოების ტიპი, რა ნაწილს ეყოფა ეს თანხა და ა.შ. კარგი იქნებოდა, ამ მიზნით გამოყოფილი კონკრეტული თანხის ოდენობის გარდა დაზუსტებულიყო, რა მექანიზმებით მოხერხდება სახურავების ან ლიფტების შეკეთება - მერიის ძალებით, ამხანაგობების ჩამოყალიბების ხელშეწყობით თუ მოსახლეობის თანამონაწილეობით; რა პრინციპების მიხედვით შეირჩევიან ბენეფიციარები; რა პერიოდით აპირებს კანდიდატი ამგვარი დახმარებების გაწევას.

ამორტიზებული კორპუსების ჩანაცვლების გეგმას არ ახლავს კონკრეტიკა: რომელი შენობები იგულისხმება, ქალაქის რა ადგილებში და რა მიდგომები იქნება გამოყენებული როგორც ფინანსური, ისე ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით.

ასევე ზოგადია მიდგომა ისტორიული უბნებისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების მხრივ. არ ჩანს, თუ რა კონკრეტული ნაბიჯებია გადასადგმელი საამისოდ, რას გულისხმობს ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება, რა როლი ენიჭება ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებსა და საჭიროებებს. ასევე ბუნდოვანია, რა იგულისხმება საზოგადოებრივი ზედამხედველობის ეფექტიანი მექანიზმის შემუშავებაში. ზოგადად კი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისადმი ყურადღება, რაც გამოიხატება საკონსერვაციო და სარეაბილიტაციო სამუშაოებით, ასევე მაღალსართულიანი მშენებლობების შეზღუდვა, დადებითად იმოქმედებს ძველი უბნების განვითარებაზე. ეს ნაბიჯები საჭიროა კულტურული მემკვიდრეობის მოვლის, დაცვის, განვითარებისა და ავთენტურობის შესანარჩუნებლად, რაც კიდევ უფრო გაზრდის ქალაქის ისტორიული ნაწილის მიმზიდველობას. ყოველივე ეს კი წაადგება ადგილობრივ მცხოვრებლებს, ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ უბნების მდგრადი განვითარებისთვის აუცილებელია კომპლექსური და სწორი ქალაქგეგმარებითი და ეკონომიკური მიდგომების გამოყენება - ამით თავიდან იქნება აცილებული სოციალური და ფინანსური უარყოფითი შედეგები, რაც შეიძლება მოჰყვეს არასწორ და მოკლევადიან ეფექტზე გათვლილ ღონისძიებებს.

დედაქალაქიდან რკინიგზის მთლიანად გადატანა საკმაოდ ნეგატიური შედეგების მომტანია, რაც ქალაქგეგმარებისა და ყოფილი ინდუსტრიული ტერიტორიების გამოყენების სფეროებში მსოფლიო ბანკისა და აზიის განვითარების ბანკის ექპერტებმაც აღნიშნეს და სამგზავრო რკინიგზის შენარჩუნების აუცილებლობას გაუსვეს ხაზი. მისი ქალაქიდან გატანა გამოიწვევს სერიოზულ პრობლემებს საზოგადოებრივი სატრანსპორტო ქსელების გამართულობისა და მათი განვითარების მხრივ. სერიოზულად დაზარალდება ქალაქში სხვადასხვა უბანს შორის კავშირები, გართულდება ერთი ადგილიდან მეორე ადგილამდე მისვლა. გამოცდილების თანახმად, სატვირთოსთან ერთად სამგზავრო რკინიგზის გადატანას საკმაოდ ნეგატიური შედეგები მოსდევს. გაძნელდება ქალაქის ცენტრში მოხვედრა და მის ორ ბოლოში მდებარე სადგურებიდან ქალაქის ცენტრისკენ მკვეთრად მოიმატებს სატრანსპორტო ნაკადი, რაც კიდევ უფრო გააუარესებს ისედაც მძიმე სიტუაციას გზების გადატვირთულობის მხრივ. ეს ნიშნავს კიდევ უფრო მეტ გამონაბოლქვს და გაურესებულ ეკოლოგიურ მდგომარეობას. სარკინიგზო ტრანსპორტი ეკოლოგიურად ბევრად უფრო სუფთაა და მსოფლიოში ყველა ქალაქი ცდილობს ასეთი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ხელშეწყობას. თბილისზე გამავალი სარკინიგზო ხაზი ხელსაყრელად აკავშირებს ქალაქის ნაწილებს და ყოფილ ინდუსტრიულ ტერიტორიებს, ე.წ. „ბრაუნფილდებს“. ძალიან დიდია მათი პოტენციალი ქალაქის მომავალი განვითარებისთვის და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მათ შორის არსებული სარკინიგზო კავშირი, რომლის გამოყენება შეიძლება ქალაქის შემოგარენისა და გარეუბნების დამაკავშირებელი საქალაქო ელექტროტრანსპორტის განსავითარებლად. იგი მეტად ხელსაყრელად უერთდება ქალაქის მეტროს ორივე ხაზს ცენტრალურ სადგურზე და უკვე არსებული ამ ქსელის შენარჩუნება აუცილებელია დედაქალაქისთვის. სამგზავრო სარკინიგზო ხაზის შენარჩუნება არანაირად ხელს არ უშლის დიდუბე-ნაძალადევში არსებული დანარჩენი სარკინიგზო ინფრასტრუქტურისგან (სატვირთო ხაზი, სამეურნეო ნაგებობები, სარკინიგზო ჩიხები, ამორტიზებული და წყობიდან გამოსული შემადგენლობების სადგომები და ა.შ.) ტერიტორიების გამოთავისუფლებას და მათ განვითარებას. საამისოდ საკმარისია მცირე ფართი, დაახლოებით 5 ჰა მთლიანი 70-80 ჰა ფართობიდან. კარგი სარკინიგზო კავშირების არსებობა მხოლოდ და მხოლოდ ხელს შეუწყობს დანარჩენი არეალის განვითარებას, გაზრდის ამ ადგილების მიმზიდველობას, გააიოლებს აქ მოხვედრას. სამგზავრო სარკინიგზო ხაზის შენარჩუნება არის ჯანსაღი და მდგრადი სატრანსპორტო ქსელის არსებობის, მისი კიდევ უფრო განვითარების წინაპირობა მთელი ქალაქის მასშტაბით, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს ეკოლოგიაზე, ეკონომიკურ მიმზიდველობაზე, საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და საქმიანი ფუნქციების გამართულობაზე.

ასევე მიუღებელია ავტომაგისტრალის მშენებლობის იდეა, რაც უკვე ნახსენებმა საერთაშორისო ექსპერტებმაც მკაფიოდ აღნიშნეს. თანამედროვე ქალაქგანვითარებაში ქალაქის ცენტრალურ ნაწილებში ავტომაგისტრალებს აღარ აშენებენ გასული საუკუნის 70-80-იანი წლებიდან; პირიქით, ცდილობენ ბევრი მათგანის დემონტაჟს, რადგან: ავტომაგისტრალს თან ახლავს დიდი ხმაური, აბინძურებს ჰაერს, ირგვლივ ქმნის არამიმზიდველ გარემოს და იწვევს მიმდებარე არეალების ურბანულ დეგრადაციას, აყალიბებს ადამიანისთვის არაკომფორტულ გარემოს, რასაც საბოლოოდ მოჰყვება ამგვარი ადგილებისადმი გაუცხოება. ასეთ არეალებში ეცემა კერძო საკუთრების ფასი, იქ არ ვითარდება მცირე ბიზნესი ადამიანების ნაკლებობის გამო. ქალაქში ავტომაგისტრალის მშენებლობა მიუღებელია აგრეთვე იმის გამოც, რომ დიდ ადგილს იკავებს; არადა, იდეა გულისხმობს ტერიტორიის გამოთავისუფლებას და მის გამოყენებას სხვადასხვა დანიშნულებით. სამგზავრო ხაზის შენარჩუნებას სჭირდება უფრო ნაკლები ფართი. გარდა ამისა, ავტომაგისტრალი ბევრად უფრო მტკივნეულად ყოფს ქალაქს ორ ნაწილად და მასზე განივი კავშირების დამყარება ბევრად უფრო რთულია (თუ

შეუძლებელი არა), ვიდრე სამგზავრო რკინიგზის უფრო ვიწრო დერეფანში. ასევე ვერ მოგვარდება ე.წ. საცობების პრობლემა - ავტომაგისტრალი ქმნის უფრო დიდ საავტომობილო ნაკადს, „ძაბრისებურად“ მიმართავს მას სხვა ქუჩებზე, რომლებიც არ არის გათვლილი ამ დატვირთის მისაღებად და გასატარებლად.

კახა კალაძის პროგრამის აღწერა იწყება იმის აღნიშვნით, რომ „დამუშავდება და დამტკიცდება თბილისის მიწათმოწყობის გენერალური გეგმა“. აღსანიშნავია, რომ აქ პრინციპული შეცდომაა, რადგან გამოყენებულია სიტყვა „მიწათმოწყობა“. დოკუმენტს ჰქვია - „მიწათსარგებლობის (და არა მიწათმოწყობის) გენერალური გეგმა“. მიწათსარგებლობის გეგმა არის პროფესიული ტერმინი ქალაქგეგმარებით სფეროში და განსაზღვრავს ურბანული ტერიტორიების ფუნქციებსა და ზონებს, ადგენს განვითარების სახეობებსა და მიმართულებებს. მიწათმოწყობა კი მოიცავს მიწის რესურსების მართვას როგორც დასახლებულ, ისე დაუსახლებელ ტერიტორიებზე, მათი მდგომარეობისა და მდებარეობის აღწერას, ტყისა და წყლის რესურსების მოხმარებასა და დაცვას, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით მიწის ნაკვეთების რაციონალური გამოყენების ორგანიზებას.

უნდა ითქვას, რომ თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავება, უფრო ზუსტად კი მის განახლებაზე მუშაობა, უკვე მთავრდება - მიწათსარგებლობის გენგეგმა უკვე განიხილება მერიაში და ხარვეზების გამოსწორების შემდეგ საკრებულო დაამტკიცებს მას.

მისასალმებელია ქალაქში ქაოსური განაშენიანების აღმოფხვრის დაპირება. ამის ერთ-ერთი წინაპირობა არის სწორედ მიწათსარგებლობის გენგეგმის მიხედვით ქალაქის განვითარება და სხვა შესაბამისი ქალაქგეგმარებითი წესების დახვეწა, შემუშავება და დაცვა. თუმცა ბუნდოვანია, თუ რას გულისხმობს უსახური განაშენიანების პრობლემის მოგვარება ან კიდევ, ქალაქის მასშტაბით შენობის ფასადის იერსახის სტანდარტების დადგენა. ამ თვალსაზრისით გარკვეული უნივერსალური მითითები შეიძლება სახიფათოც იყოს, ერთი მხრივ, სტილისტური ერთფეროვნების და, მეორე მხრივ, არასასურველი ინტერპრეტაციების გამო. ეს დაპირება მოითხოვს მეტ კონკრეტიკას. ასეთი მოთხოვნები უნდა არსებობდეს ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კუთხით, არ შეიძლება მათი უნიფიცირება, რადგან კონკრეტულ მოცემულობას კონკრეტული სტანდარტი უნდა მიესადაგოს. ფასეული და საინტერესო არქიტექტურის შესაქმნელად საჭიროა კომპლექსური მიდგომები, მათ შორის: პროფესიული განათლების, სამშენებლო მასალების ხარისხის კონტროლის, სამშენებლო მონიტორინგისა და პროფესიული ლიცენზირების მხრივ.

დადებითად შეიძლება შეფასდეს კეთილმოწყობისა და გამწვანების, სამშენებლო უსაფრთხოებისა და ეკოლოგიური სტანდარტების გამკაცრება. კარგია, თუმცა ზოგადია დაპირება მშენებლობის კოეფიციენტის გაცემის გამკაცრების შესახებ. აქ იგულისხმება მიწის ნაკვეთის განაშენიანების კოეფიციენტი, რომელიც დადგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებით.

დადებითია დაპირება საჭიროებისამებრ ავარიული და ძველი შენობების რეაბილიტაციის ან ჩანაცვლების შესახებ. რეაბილიტაცია უთუოდ საჭიროა, განსაკუთრებით ქალაქის ისტორიული ნაწილის. მოსახლეობის, კერძო სექტორისა და ქალაქის განვითარების ინტერესების ჰარმონიული დაცვა მართლაც საჭირო და აუცილებელია, თუმცა რას მიიჩნევს კანდიდატი ქალაქის განვითარების ინტერესად, აქ არ ჩანს. რეაბილიტაციისა და ჩანაცვლების გეგმები უცილობლად უნდა იძლეოდეს ინფორმაციას, რა მიდგომებით აპირებს კანდიდატი მათ განხორციელებას და რას განიხილავს პრიორიტეტებად. მხოლოდ ამის

საფუძველზე შეიძლება შეფასდეს მისი მიდგომები საბინაო, სოციალური და ნაშენი მემკვიდრეობის დაცვის კუთხით. ერთიანი გეგმის მიხედვით ქალაქის ისტორიული უბნების განვითარება სწორი მიდგომაა და დასახელებულია კიდეც დაგეგმილი სარეაბილიტაციო სამუშაოები ქუჩების მიხედვით.

მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით ქალაქის ყველა უბნის თანაბარი განვითარების სურვილი, რა თქმა უნდა, სწორი პოზიციაა. „განვითარდება მულტიცენტრები ქალაქის სხვადასხვა უბანში“ – ამაში იგულისხმება ქალაქის სხვადასხვა ნაწილის პოლიცენტრული განვითარება, რაც დადებითი განზრახვაა.

დადებითი სიახლეა მერობის კანდიდატის მხრიდან ქალაქის აგლომერაციული მასშტაბით გააზრება და ამ კუთხით განვითარების სტრატეგიის განსაზღვრა.

გაუგებარია, რას ნიშნავს „თბილისის იერსახის ერთიანი სტილი“. ქალაქის იერსახე ყალიბდებოდა და ყალიბდება სხვადასხვა პერიოდის მრავალფეროვანი განაშენიანებითა და ბუნებრივი ლანდშაფტის გათვალისწინებით. როგორც პროგრამაშია ნახსენები, „ერთიან სტილში“ იგულისხმება წარწერები, აბრები, შრიფტი, ვიტრინების დიზაინი და სხვა სტანდარტები, ანუ, სავარაუდოდ, სარეკლამო აბრებისა თუ წარწერების რეგულირება და მათი განთავსების წესების დადგენა. ეს, ცხადია, მისასალმებელი ინიციატივაა, თუმცა ფორმულირება არასწორი და დამაბნეველია.

ასევე დადებითია დაპირება, გაგრძელდეს ქალაქის კეთილმოწყობა და საინჟინრო ინფრასტრუქტურის სრულყოფა-რეაბილიტაცია. ნახსენებია ენერგომომარაგება, გაზმომარაგება, წყალმომარაგება, განათება და კონკრეტულ უბანში კანალიზაციის სისტემის მოწყობა.

თენგიზ შერგელაშვილი აპირებს, ხელი შეუწყოს კერძო სექტორს და მოსახლეობას შესთავაზოს მასტიმულირებელი ღონისძიებების პაკეტი უბნებში მუნიციპალური სერვისებისა და სხვადასხვა საზოგადოებრივი ფუნქციის (ბიზნესი, საბანკო, სპორტული, გასართობი) განვითარებისთვის. გარეუბნებისა და ცენტრის პარალელური განვითარება სწორი მიდგომაა. პოლიცენტრული განვითარების მიდგომას ითვალისწინებს დასამტკიცებელი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმაც.

ძალზე მნიშვნელოვანი და აქტუალურია, რომ ქალაქი ყველასთვის იყოს კომფორტული, ასაკისა და შესაძლებლობის მიუხედავად; ამ კონტექსტში კარგი იქნებოდა ველოსიპედით მოსარგებლეთა ხსენებაც. ქალაქის კეთილმოწყობა მისი თითოეული მოსახლისთვის, ქუჩაში მოძრაობის ორგანიზება ყველა მონაწილისთვის თანამედროვე ქალაქის დაგეგმვისა და განვითარების აუცილებელი ნაწილია. ეს უნდა ხდებოდეს დემოკრატიული მიდგომისა და თანასწორი საზოგადოების პრინციპების დამკვიდრებით.

სატრანსპორტო პრობლემების მოგვარების დაპირება შეიცავს სწორ მიმართულებებს, თუმცა ზოგადია. მაგალითად, გაუგებარია, რას გულისხმობს ახალი საგზაო ობიექტების შექმნა. მიდგომებიდან გამომდინარე, ეს შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი შედეგების მომტანი. საჭიროა მეტი კონკრეტიკა უფრო ღრმა ანალიზისთვის. მეტი საგზაო ობქქტის შექმნა, რაც ალბათ გულისხმობს მეტ საავტომობილო გზებს, როგორც უკვე აღინიშნა, არასწორი მიდგომაა საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით. ამ საკითხისადმი მიდგომა საჭიროა ურბანული მობილობისა და ფართო ქალაქგემარებითი კუთხით.

მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში გათვალისწინებული და ინტეგრირებული უნდა იყოს სოციალური და ეკონომიკური ასპექტებიც. მიწათსარგებლობის გენერალურმა გეგმამ მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება მოიცვას სოციალურ-

ეკონომიკური საკითხები ან ხელი შეუწყოს ამ მხრივ არსებული სტრატეგიის განვითარებას. სივრცითი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის არსებობა, რა თქმა უნდა, საჭიროა. შესაძლებელია როგორც ამგვარი ცალკე დოკუმენტის არსებობა, ისე ქალაქის განვითარების სტრატეგიაში ამ სფეროს ასახვა. მიწათსარგებლობის გეგმაში ამ საკითხების ინტეგრირება ან მსგავსი დოკუმენტების არსებობა, მათი მოცულობა და საკითხების დაფარვის არეალი არ არის ჩამოყალიბებული აუცილებელი რიგითობით - ქალაქები ინდივიდუალურად წყვეტენ, რა დოკუმენტების ერთობლიობით წარიმართება განვითარება, რა მასშტაბის იქნება თითოეული ასეთი დოკუმენტი და როგორ განაწილდება მათში საკითხები. ახალი მიწათსარგებლობის გენერალური დოკუმენტის მომზადებაზე დაპირება გაუგებარია იმ ფონზე, როდესაც მასზე მუშაობა ახლახან დამთავრდა და მის მომზადებაზე მილიონობით ლარი დაიხარჯა. მუნიციპალიტეტს შემუშავებული უნდა ჰქონდეს გენგეგმაში ხარვეზების აღმოფხვრის, შესწორებების შეტანისა და დახვეწის მექანიზმები.

არასერიოზულია დაპირება იმის შესახებ, რომ თბილისი ევროპის ერთ-ერთ ყველაზე მწვანე და ეკოლოგიურად სუფთა ქალაქად იქცევა. ევროპის ყველაზე მწვანე ქალაქებში ერთ სულ მოსახლეზე 30-იდან 120 კვ.მ.-მდე გამწვანებული ტერიტორია მოდის, თბილისში ეს მაჩვენებლი 3 კვ.მ.-ის ფარგლებშია. უახლოეს მომავალში ამ მაჩვენებლის მნიშვნელოვანი ზრდა არარეალურია ქალაქის მჭიდრო განაშენიანების გამო და მისი 10 კვ.მ.-მდე გაზრდაც კი მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ თეორიულად დავუშვებთ, რომ სარკინიგზო ინფრასტრუქტურის ინდუსტრიული ტერიტორიების დიდი ნაწილი გამწვანებას დაეთმობა. ეს მაჩვენებელიც კი ვერ მიაახლოებს თბილისს ევროპის ყველაზე მწვანე ქალაქებს, ხოლო ეკოლოგიური სისუფთავე მნიშვნელოვანწილად სხვა ისეთ ფაქტორებზეც არის დამოკიდებული, როგორიცაა ავტომობილების გამონაბოლქვი, ბენზინში ტყვიის შემცველობა და ა.შ. ასეთი საკითხების რეგულირება აღემატება მუნიციპალიტეტის პრეროგატივას და სახელმწიფო დონეზე წყდება.

დადებითია ზედამხედველობისა და მონიტორინგის მექანიზმების გაუმჯობესებაზე დაპირება, ასევე რეგულარული ანგარიშვალდებულების ინიციატივა. გენგეგმისგან გადახვევის აკრძალვის დაპირებაც ლოგიკურია. გენგეგმა უნდა იყოს ქალაქის სწორი და მდგრადი განვითარების გაუმჯობესებისკენ მიმართული დოკუმენტი და მისგან ნებისმიერი გადახვევა - დაუშვებელი. ქალაქის იერსახეს ამახინჯებს და მოქალაქეების პირობებს აუარესებს ის, რომ არ არსებობს ურბანული განვითარების სხვა დოკუმენტები თუ წესები, ხოლო რაც არსებობს - არასრულყოფილია და მორგებულია ცალკეულ ინტერესებს. გენგეგმა კი შედარებით ზოგადი სახის სახელმძღვანელოა. ჩამოთვლილი პრობლემების მოსაგვარებლად აუცილებელია ამ დოკუმენტებსა და რეგულაციებზე მუშაობა, მკაცრი სტანდარტების დაწესება.

კანდიდატი აპირებს შექმნას მუნიციპალური ინსტიტუტი, რომლის კომპეტენციაში თავს მოიყრის: თბილისის ისტორიის კვლევისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების პრობლემატიკა; ქალაქის სოციალური და ეკონომიკური განვითარების დაგეგმვა; მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, ტრანსპორტის, მშენებლობისა და ქალაქის ფუნქციონირების სხვა საკითხებთან დაკავშირებული სტრატეგიული და გეგმარებითი დოკუმენტების რეალიზაციის ანალიზის, შეფასების, მათი კორექტირება-შევსების რეკომენდაციის ფუნქციები. ქალაქის განვითარებისადმი კომპლექსური მიდგომა, რა თქმა უნდა, მისასალმებელია. ურბანულ პრობლემატიკაზე ამგვარი მუშაობისთვის მუნიციპალური ორგანიზაციების არსებობის პრეცედენტიც არსებობს, ისევე როგორც ეს შეიძლება ხდებოდეს სხვა კვლევითი ორგანიზაციების წიაღში. შესაძლებელია აგრეთვე ამგვარი მუშაობის გაძლიერება მერიის შესაბამის სამსახურებში ახალი ინსტიტუციების შეუქმნელადაც.

მერიაში კადრების ოპტიმიზაცია საჭიროა, რადგან საერთაშორისო მაგალითებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ შტატები აშკარად გაბერილია. თუმცა, მეორე მხრივ, ზოგიერთი მიმართულებით გასაძლიერებელია ძალისხმევა და მეტი პროფესიონალის ჩართვა, მაგალითად, ქალაქგეგმარებითი საკითხების შემუშავებისა თუ გადაწყვეტისას.

ინფრასტრუქტურული პროექტების უფრო მოკლე ვადაში განსახორციელებლად, კანდიდატი გვპირდება ორ და სამცვლიანი სამუშაო გრაფიკის დაწესებას, თუმცა ამის დანერგვა სამშენებლო საქმიანობაში მიუღებელია, მით უმეტეს იმ შემთხვევაში, როცა მშენებლობის პროცესი არღვევს ირგვლიც მცხოვრებთა სიმყუდროვეს, ხელს უშლის მათ ჯანსაღი ცხოვრების წესითა და ნორმალური რიტმით ცხოვრებას, განსაკუთრებით საღამოს და ღამის საათებში.

თენგიზ შერგელაშვილი ძალზე აქტუალურ საკითხზე ამახვილებს ყურადღებას. იგი გვთავაზობს გაანგარიშებულ კონცეფციას საცხოვრებელი სახლების ენერგოეფექტიანობასთან დაკავშირებით. მას მოჰყავს ფინანსური გათვლები, წარმოადგენს სახსრების მოზიდვის გზებს, აზუსტებს მათ ოდენობას. მისი მიზანია კომპანიებს წაუყენონ მშენებარე ობიექტების ენერგოეფექტიანობის მოთხოვნები - ცენტრალიზებული გათბობისა და ცხელი წყლის სისტემების დანერგვა და ჩანაცვლება, თბოსაიზოლაციო სამუშაოების ჩატარება. მისასალმებელია ამ საკითხისადმი ყურადღება: ენერგოეფექტიანობა უმნიშვნელოვანესი საკითხია როგორც ფინანსური დანახარჯების შემცირების, ისე ენერგორესურსების დაზოგვის მხრივ, რაც, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს ეკოლოგიასა და კლიმატის ცვლილებაზე. დადებითია ახალმშენებლობებისთვის ცენტრალიზებული გათბობის, გაგრილებისა და ცხელი წყლის სისტემებზე მოთხოვნების წაყენების იდეა და მოსაზრებები არსებული შენობების ენერგოეფექტიანობის გაზრდაზე. ეს მიდგომები ასევე გააუმჯობესებს შენობების იერსახეს, რადგან ცენტრალიზებული სისტემების არსებობისას აღარ იქნება საჭირო შენობის კედლებზე ინდივიდუალურად ჰაერის კონდიცირების დანადგარების მონტაჟი. პროგრამაში მოცემულია ფინანსების მოზიდვის გზები და განსახორციელებელი სამუშაოების გრაფიკიც.

კახა კუკავა აღნიშნავს, რომ ყურადღება აკლია საქართველოს რეგიონების პატარა ქალაქებს და საჭიროა მათ განვითარებაზე ზრუნვა. ეს ნამდვილად ასეა, თუმცა ამ პრობლემის მოგვარებას იგი თბილისის დეურბანიზაციაში ხედავს. ტერმინი - „დეურბანიზაცია“ ამ შემთხვევაში არ არის გამართლებული. სავარაუდოდ, იგი გულისხმობს დედაქალაქიდან ყურადღების გადატანას რეგიონებში ქალაქების გაძლიერებაზე. ამას იგი აპირებს თბილისის ადმინისტრაციული დაწესებულებებისგან განტვირთვით და საცხოვრებელ მშენებლობებზე მორატორიუმის დაწესებით. აღსანიშნავია, რომ თბილისის მერობის კანდიდატი არ ახდენს ფოკუსირებას თბილისის პრობლემებზე. ასევე არ არის დაკონკრეტებული, თბილისიდან რომელი და რა დონის მმართველობის ადმინისტრაციული დაწესებულებების გადატანას გულისხმობს იგი. საცხოვრებელი ფუნქციის მქონე მშენებლობებზე მორატორიუმის დაწესება არ შეიძლება შეფასდეს დადებითად, მით უმეტეს, რომ უცნობია, რა დროით აპირებს კანდიდატი ამ შეზღუდვას. ეს გადაწყვეტილება გამოიწვევს საბინაო ფასების მკვეთრ ზრდას, რაც ხელმიუწვდომელს გახდის საცხოვრებელს მოსახლეობის ფართო მასებისთვის. მოსაზრებას არ ამყარებს არსებული მდგომარეობის კვლევა და სამომავლო პროგნოზები სოციალური და ეკონომიკური თვალთახედვიდან.

საარჩევნო პროგრამების მსგავსი პრიორიტეტები და ძირითადი განსხვავებები 3

ელენე ხოშტარიას და **ზაალ უდუმაშვილის** პრიორიტეტებია რეკრეაციული ზონებისა და მწვანე არეალების განვითარება-შექმნა. ელენე ხოშტარია ცენტრალური პარკის შექმნის დაპირებას იძლევა. ზაალ უდუმაშვილი, ისევე როგორც ელენე ხოშტარია, რკინიგზის გადატანასა და გამოთავისუფლებული ტერიტორიების განვითარებას გეგმავს. თუმცა ელენე ხოშტარიას პროგრამაში მხოლოდ სატვირთო რკინიგზაა ნახსენები და იგი ასევე ზოგადად სხვა „ბრაუნფილდების“ განვითარების აუცილებლობასაც უსვამს ხაზს, მაშინ როდესაც ზაალ უდუმაშვილი გულისხმობს როგორც სატვირთო, ისე სამგზავრო რკინიგზას.

ზაალ უდუმაშვილი, ელენე ხოშტარია და **კახა კალაძე** საუბრობენ ისტორიული უბნებისა და ავარიული სახლების რეაბილიტაციაზე - კახა კალაძე კონკრეტულ და მიმდინარე პროექტებს ასახელებს, ხოლო ელენე ხოშტარია სარეაბილიტაციო უბნების ჩამონათვალს გვთავაზობს. იგი ასევე ძირითად ყურადღებას ამახვილებს სამუშაო ადგილების შექმნაზე. **კახა კალაძე** და **თენგიზ შერგელაშვილი** ახსენებენ თბილისის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმას. კახა კალაძე ამ გეგმის საბოლოო დასრულების, ხოლო თენგიზ შერგელაშვილი ახალი გეგმის საჭიროებაზე საუბრობს. ორივე კანდიდატი ასევე ხაზს უსვამს ქალაქის პოლიცენტრიული და თანაბარი განვითარების საჭიროებას მის ყველა ნაწილში. ელენე ხოშტარია, ზაალ უდუმაშვილი და თენგიზ შერგელაშვილი აპირებენ საგზაო ინფრასტრუქტურის, გზებისა და ესტაკადების მშენებლობას. კადრების ოპტიმიზაცია აუცილებლად მიაჩნიათ თენგიზ შერგელაშვილს და ელენე ხოშტარიას; ეს უკანასკნელი ასევე ნეპოტიზმის ნიშნით გაზრდილ ბიუროკრატიას და არაკვალიფიციურობასაც ეხება. ზაალ უდუმაშვილი და თენგიზ შერგელაშვილი აპირებენ შეიმუშაონ საზოგადოებრივი ზედამხედველობის მექანიზმები, ორივესთვის პრიორიტეტულია უსაფრთხო და კომფორტულ გარემოზე ზრუნვა. ზაალ უდუმაშვილი არ აზუსტებს, რას გულისხმობს ასეთ გარემოში, თენგიზ შერგელაშვილი კი აკონკრეტებს - მისთვის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნა ნიშნავს ფეხით მოსიარულეების, მოხუცების, ბავშვებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ქალაქის ადაპტირებას. იგი მასშტაბურ ეკოლოგიურ კვლევასთან ერთად ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგიის შემუშავების აუცილებლობასაც ხედავს; შესაბამისად, მიზნად ისახავს შექმნას მუნიციპალური ინსტიტუცია, რომელიც იმუშავებს ქალაქის დაგეგმვისა და განვითარების საკითხებზე. კახა კალაძე აპირებს დედაქალაქი აგლომერაციულ მასშტაბში განიხილოს მცხეთასთან, რუსთავთან და გარდაბანთან კავშირების გააზრებით, მეტი ყურადღება მიაქციოს მუნიციპალიტეტში შემავალ სოფლებს.

კახა კუკავა, თუკი მას მერად აირჩევენ, ურბანული განვითარების თბილისიდან რეგიონებში გადანაცვლებას აპირებს, მაგრამ არაფერს აკონკრეტებს. გარდა ამისა, უცნობია ისიც, როგორ შეძლებს დედაქალაქის მუნიციპალური დონის გათვალისწინებით საერთო-სახელმწიფოებრივი მასშტაბის საკითხის გადაჭრას.

4 პროგრამული პრიორიტეტები და მათი გავლენა სხვადასხვა სფეროებზე

ინფრასტრუქტურის „კალათა“, ისევე როგორც პროგრამების სხვა სექტორები, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ისეთ სფეროებზე, როგორიცაა: თბილისის ეკონომიკური პოლიტიკა, ქალაქის მართვა, გარემოს დაცვა და საცხოვრისი. აღნიშნული „კალათის“ მეორე თავში განვიხილეთ ინფრასტრუქტურული პროექტების ძირითადი კორელაცია ჩამოთვლილ სფეროებთან.

დიდ ყურადღებას იმსახურებს ისეთი პრიორიტეტი, როგორიცაა: მშენებლობებისადმი ენერგოეფექტიანობის მოთხოვნების წაყენება, მათში ცენტრალიზებული გათბობისა და ცხელი წყლის სისტემების დანერგვა და ჩანაცვლება, თბოსაიზოლაციო სამუშაოების ჩატარება. ენერგოეფექტიანობა უმნიშვნელოვანესი საკითხია როგორც ფინანსური დანახარჯების შემცირების, ისე ენერგორესურსების დაზოგვის მხრივ, რაც, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს ეკოლოგიასა და კლიმატის ცვლილებაზე.

ქალაქიდან სატვირთო რკინიგზის გადატანის პროექტი პირდაპირ გავლენას მოახდენს, ერთი მხრივ, გარემოზე, რამდენადაც შესაძლებელი იქნება გამოთავისუფლებული სივრცის ნაწილის ათვისება გარემოს გაჯანსაღებისა და გამწვანებისთვის; მეორე მხრივ, არ არის გამორიცხული, ამ ტერიტორიამ ბიძგი მისცეს ქალაქის ეკონომიკურ ზრდას (ელენე ხოშტარია, ზაალ უდუმაშვილი).

მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას ქალაქის მიწათსარგებლობის სრულიად ახალი გენერალური გეგმის როლს სოციო-ეკონომიკურ სექტორებზე. თუმცა, მიუხედავად ამ ინტერაქციისა, საჭირო იქნება კონკრეტულად სფეროზე ორიენტირებული სტრატეგიის განვითარება.

როგორც სხვა „კალათების“ გაანალიზების დროსაც გამოჩნდა, ხშირ შემთხვევაში კანდიდატები ქალაქის ბიუჯეტის განაწილებისას არ გამოირჩევიან თანამიმდევრულობით. ერთი მხრივ, კანდიდატები ბიუჯეტის შემცირებაზე საუბრობენ, მეორე მხრივ, ყურადღებას ამახვილებენ სოციალური პროექტების ზრდაზე; ამასთან ერთად, ამომრჩეველს ძვირადღირებული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას ჰპირდებიან. ურთიერთმიმართების ასეთი ფორმა ბუნებრივად უკავშირდება სანდოობას. თუ საკითხს ამ კუთხით გავაანალიზებთ, მაშინ ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სხვა სექტორებზე.

ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები 5

- საცხოვრებელი გარემოს გაჯანსაღებისადმი მიდგომა მოითხოვს ფაქიზი განახლების გზას. კომპლექსური და ფრთხილი მიდგომა ხელს უწყობს ტურიზმის განვითარებას, მცირე ბიზნესის წამოწყებას. პოლიტიკის იმპლემენტაციის პროცესში გასათვალისწინებელია ჯენტრიფიკაციისა და სოციალური შემადგენლობის ცვლილების საფრთხე.
- კანდიდატების ერთი ნაწილის პრიორიტეტი, რომელიც მტკვრის ორივე სანაპიროს შორის კავშირების გაუმჯობესებას გულისხმობს, გარკვეულ ადგილებში საჭიროა, თუმცა ქალაქში ესტაკადების მოწყობა მსოფლიო გამოცდილებით უკვე დიდი ხანია მავნე მოვლენად არის შეფასებული. ქალაქის მერიას ამ მიმართულებით პოლიტიკის განხორციელებამდე საკითხის კომპლექსური ანალიზი მოუწევს.
- აქტუალურია „ბრაუნფილდების" ათვისების საკითხი. რეკომენდაციის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღნიშნული პოლიტიკის გატარებამდე ქალაქის მერმა საკითხი სიღრმისეულად უნდა შეისწავლოს - პროგრამების გაანალიზებისას აშკარად გამოჩნდა, რომ კანდიდატთა დიდ უმრავლესობას არ გაუთვალისწინებია კერძო საკუთრებაში არსებული „ბრაუნფილდების" ფაქტორი.
- უნდა აღინიშნოს, რომ მიუღებელია ავტომაგისტრალის მშენებლობის იდეა, რასაც სხვადასხვა საერთაშორისო ინსტიტუციის მაღალი რანგის ექსპერტებიც აღნიშნავენ. ქალაქის ცენტრალურ ნაწილებში ავტომაგისტრალების აშენება მიზანშეუწონელია, რადგან აძლიერებს ხმაურს, აბინძურებს ჰაერს, ირგვლივ ქმნის არამიმზიდველ გარემოს და შედეგად, იწვევს მიმდებარე არეალების ურბანულ დეგრადაციას.
- მისასალმებელია ქალაქში ქაოსური განაშენიანების აღმოფხვრის დაპირება. ამის ერთ-ერთი წინაპირობა სწორედ მიწათსარგებლობის გენგეგმის მიხედვით ქალაქის განვითარება და სხვა შესაბამისი ქალაქგეგმარებითი რეგულაციების დახვეწა, შემუშავება და დაცვაა.

ურბანული მობილობა

ᲖᲝᲒᲐᲓᲘ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ 1

ალექსანდრე ელისაშვილი მობილობის პრობლემებად ასახელებს საცობებს, პარკირებას და საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაუმართაობას. მისთვის პრიორიტეტია არა ახალი გზების აშენება, არამედ ეფექტიანი მუნიციპალური საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის შექმნა. კანდიდატი აპირებს გაზარდოს მეტროპოლიტენის რესურსი და ამ გზით ხელი შეუწყოს ავტომანქანების რიცხვის კლებას. სატრანსპორტო სისტემას მოწყვეტილ უბნებში, მისი აზრით, საჭიროა ტრამვაის ხაზების მოწყობა. ავტობუსები პრიორიტეტულ მარშრუტებს უნდა ემსახურებოდეს, ხოლო სამარშრუტო მიკროავტობუსებმა უნდა გადაინაცვლოს პერიფერიაში და მოგვიანებით სრულად ჩანაცვლდეს. კანდიდატის მიზანია 4 წლის განმავლობაში ყოველდღიურად 100000 მანქანით ნაკლები მანქანა მოძრაობდეს ქალაქში. იგი საუბრობს მანქანებისგან ტროტუარების გამოთავისუფლებასა და „სითი-პარკთან“ ხელშეკრულების გაუქმების აუცილებლობაზე. ამის მაგივრად, ალექსანდრე ელისაშვილი აპირებს ტენდერის გზით შეარჩიოს ახალი კომპანია, რომელსაც დაეკისრება მიწისზედა და მიწისქვეშა პარკინგების შექმნის ვალდებულება.

ელენე ხოშტარია თავის პროგრამაში ახსენებს ახალი ხიდებისა და ესტაკადების მშენებლობას, აგრეთვე თბილისი-რუსთავის დამაკავშირებელი მაგისტრალის მშენებლობას ქალაქის აგლომერაციის ლოჯისტიკური ფუნქციის გასაძლიერებლად. ყურადღება მახვილდება ამ პროექტების განხორციელებისას შექმნილ სამუშაო ადგილებზეც.

ზაალ უდუმაშვილის დაპირებები მოიცავს საზოგადოებრივი ტრანსპორტის ავტოპარკის განახლებას, მეტროს მოდერნიზაციას და ახალი ვაგონების დამატებას გამტარუნარიანობის გასაზრდელად. იგი ასევე აპირებს საბაგირო გზების, როგორც ტრანსპორტის განვითარებას და არა მხოლოდ ტურისტული მიზნით მის გამოყენებას. მისი აზრით, საჭიროა თბილისის მუნიციპალიტეტში შემავალ სოფლებში ახალი მარშრუტების დანიშვნა და ავტობუსების რაოდენობის გაზრდა. ზოგიერთ უბანში იგი გეგმავს ტრამვაის ხაზის გაყვანას, ზოგადად საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარებას და ადაპტირებული ინფრასტრუქტურის შექმნას. კანდიდატი ასევე გეგმავს მიწისქვეშა და მიწისზედა გადასასვლელების მოწესრიგებას, ახლების მშენებლობას, ასევე „ზებრა“ გადასასვლელებისა და საფეხმავლო ბილიკების მოწყობას. ზაალ უდუმაშვილი აპირებს ააშენოს ესტაკადები, ხიდები, გვირაბები და ახალი ავტომაგისტრალი, რათა ქალაქი საცობებისგან განიტვირთოს. კანდიდატს აუცილებლობად მიაჩნია ერთიანი სატრანსპორტო გეგმის შემუშავება.

კახა კალაძე აპირებს, შეიმუშაოს სატრანსპორტო პოლიტიკის კონცეფცია, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ახალი სამარშრუტო სქემა და განაახლოს გადახდის სისტემა, გააუმჯობესოს მეტროს, ავტობუსებისა და მიკროავტობუსების მომსახურების ხარისხი, მოაწესრიგოს ტაქსების სექტორი, განავითაროს საბაგირო და წყლის ტრანსპორტი ტურისტული მიზნებისთვის. კანდიდატი აპირებს მოაგვაროს პარკირების სისტემასთან დაკავშირებული პრობლემები, განახორციელოს

მასშტაბური სამუშაოები საგზაო ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად, შექმნას კომფორტული პირობები ფეხით მოსიარულეებისა და ველოტრანსპორტის გადაადგილებისთვის.

თენგიზ შერგელაშვილი ურბანული მობილობის საკითხისადმი კომპლექსური მიდგომის აუცილებლობაზე ამახვილებს ყურადღებას და საჭიროდ მიიჩნევს ქალაქში გადასაადგილებლად უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნას ყველასთვის - ქვეითებისთვის, ველოსიპედით გადაადგილების მოყვარულებისა და ავტომფლობელებისთვის, საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის; ცხადია, ხელსაყრელი პირობების შექნას ბავშვების, მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების გადასაადგილებლადაც. მისი თქმით, პრობლემები კომპლექსურია და მათი მოგვარება წარმოუდგენელია მხოლოდ საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებით. იგი აპირებს მერიაში შექმნას ინტერაქტიური ვებგვერდი, რომლის მეშვეობითაც მერიის სამსახურები და მოსახლეობა ერთად მოახდენენ პრობლემების იდენტიფიცირებას და მათზე რეაგირებას. თენგიზ შერგელაშვილი აპირებს პარკირების ერთიანი სისტემისა და სტრატეგიის შექმნას, რომელიც გულისხმობს პარკირების ზონებად დაყოფის შემოღებას, საფასურის დაწესებას ადგილის, დროისა და ავტომობილის ტიპის მიხედვით. კანდიდატს სურს პარკირებისა და სამანქანო მოძრაობისგან გაათავისუფლოს ძველი თბილისის ქუჩები და ეს ისტორიული ადგილები კიდევ უფრო მიმზიდველი გახადოს ადგილობრივებისა და ტურისტებისთვის. ქალაქის ამ ნაწილში იგი ასევე „დაბალსიჩქარიანი ქუჩების“ პრინციპის დანერგვას აპირებს, რაც ხელს შეუწყობს ველოინფრასტრუქტურის განვითარებას. მისი თქმით, „სითი-პარკი“ ან ჩაეწერება ამ საერთო სქემაში, ან მასთან შეწყდება ხელშეკრულება თუნდაც სასამართლოს მეშვეობით და მაღალი დანახარჯების საფასურად, რადგან ქალაქის ყოფითი გარემო უფრო პრიორიტეტულია. კანდიდატი აპირებს ავტობუსების პარკის განახლებას ბიუჯეტის სახსრებით, სესხებითა და გრანტებით, მიკროავტობუსების მარშრუტების გადახედვას და მათი სამოძრაო არეალების შემცირებას. გეგმავს ერთიანი საბილეთო და სხვადასხვავადიანი სააბონენტო სისტემების შემოღებას მგზავრობის საშუალო საფასურის შესამცირებლად. თენგიზ შერგელაშვილს სურს, შეიმუშაოს ტრამვაის ხაზების გაყვანის ათწლიანი დეტალური გეგმა, ოთხ წელიწადში ააშენოს და აამოქმედოს 11 კმ ტრამვაის ხაზი, რომელიც მნიშვნელოვანი სატრანზიტო დერეფნის როლს შეასრულებს. იგი ასევე აპირებს სატრანსპორტო დანიშნულებით საბაგირო გზების განვითარებას. კანდიდატი საუბრობს ახალი საგზაო ობიექტების შექმნაზე, სატრანსპორტო კვანძების ოპტიმიზაციაზე და ამ კუთხით ევროპული ქალაქების გამოცდილების გამოყენებაზე. მის პროგრამაში სათანადო ადგილი უკავია ასევე ტაქსების რეგულირებას, მათ რეგისტრაციასა და ერთიან სისტემაში მოქცევას, გამოძახების სისტემით ქალაქის ქუჩებში ცარიელი ტაქსების მოძრაობის მინიმუმამდე შემცირებას, შემდეგ ეტაპზე კი ტაქსების სულ მცირე 10 000 ჰიბრიდული ავტომობილით ჩანაცვლებას.

კახა კუკავას პროგრამაში ლაპარაკია ავტობუსებისა და მიკროავტობუსების ჩანაცვლებასა და მუნიციპალიტეტის მიერ ახალი მეტროს სადგურების მშენებლობაზე. იგი პირობას დებს, ყველა ადმინისტრაციული შენობა, მიწისქვეშა და მიწისზედა გადასასვლელები ადაპტირდეს შშმ პირთათვის პანდუსების მეშვეობით. ასევე ყველა შუქნიშანი უნდა აღიჭურვოს ხმოვანი სიგნალით მხედველობაშეზღუდულთა უსაფრთხო გადაადგილებისთვის.

გიორგი ვაშაძე გეგმავს საზოგადოებრივი ელექტროტრანსპორტის განვითარებას, უსაფრთხო გზებისა და გადასასვლელების მოწყობას, საფეხმავლო ქუჩებისა და ველობილიკების განვითარებას, ვერტიკალური პარკირების სისტემის შემოღებას, ევროპული სტანდარტის ურბანული განვითარების უზრუნველყოფას. მისი დაპირებაა ასევე პანდუსებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.

კანდიდატთა საარჩევნო პროგრამების პრიორიტეტები და მათი შეფასება 2

ალექსანდრე ელისაშვილი პრობლემად ასახელებს ქალაქში მოძრავი ტაქსების, კერძო ავტომობილების, სამარშრუტო მიკროავტობუსებისა და ავტობუსების რაოდენობას. მისი აზრით, ახალი გზების მშენებლობა ვერ გადაჭრის საცობებისა და საგზაო-სატრანსპორტო გადატვირთულობის პრობლემებს. ეს კიდევ უფრო გაართულებს ამ მხრივ არსებულ მდგომარეობას. აუცილებელია ეფექტიანი საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის დანერგვა. მისასალმებელია კანდიდატის მიერ მეტროს რესურსის შესწავლა და ციფრებით არგუმენტირებული საუბარი გადაყვანილ მგზავრთა რაოდენობის გაზრდის შესახებ, რაც, მისი თქმით, ხელს შეუწყობს ქალაქში მანქანების რაოდენობის კლებას. რა თქმა უნდა, გამართული საზოგადოებრივი სატრანსპორტო სისტემა უფრო მეტ ადამიანს უბიძგებს, ისარგებლოს მისით და უარი თქვას საკუთარი მანქანის ყოველდღიურ გამოყენებაზე. თუმცა, ამ მხრივ კომპლექსური მიდგომაა საჭირო (მთლიანი სატრანსპორტო ქსელის გამართულობა, ფასიანი ავტოპარკირება და ა.შ.) და მხოლოდ მეტროს შემადგენლობების დამატება ავტომატურად შესაბამისი რაოდენობის ავტომობილების კლებას არ ნიშნავს. უნდა დავეთანხმოთ ალექსანდრე ელისაშვილს, რომ განვითარებული საზოგადოებრივი ტრანსპორტი ნაკლები ყოველდღიურად მოძრავი პირადი ავტომობილი და ნაკლები გამონაბოლქვია.

პოზიტიურად შეიძლება შეფასდეს საერთო საქალაქო სატრანსპორტო ქსელიდან მოწყვეტილ უბნებში ტრამვაის - ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის განვითარება, ისევე როგორც ძირითადი და პრიორიტეტული ხაზების ავტობუსებით მომსახურება, ხოლო სამარშრუტო მიკროავტობუსების ჯერ პერიფერიულ უბნებში გადატანა, ხოლო პერსპექტივაში მათი გაუქმება. ეს ნამდვილად ხელს შეუწყობს მოძრაობის განტვირთვას. მნიშვნელოვანია ტროტუარებზე მანქანების პარკირების პრობლემის აღნიშვნა. კანდიდატის აზრით, საამისოდ საჭიროა „სითი-პარკთან“ ხელშეკრულების გაუქმება და ამ მომსახურებისთვის ახალი კომპანიის შერჩევა. აღსანიშნავია, რომ ტროტუარზე პარკირების უფლება აღნიშნულ კომპანიას მერიის თანხმობით მიეცა და შესაბამისად, აკრძალვასაც მერიის გადაწყვეტილება სჭირდება. აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ ნახსენები არ არის სხვა აუცილებელი ისეთი ზომების საჭიროება, როგორიცაა: ჯარიმები, ფასიანი საათობრივი პარკირება, პარკირების ზონირება ქალაქის მასშტაბით და ა.შ. აუცილებელია ღონისძიებების კომპლექსი პარკირების სისტემის ეფექტიანობის მისაღწევად.

ელენე ხოშტარია ხიდებისა და ესტაკადების მშენებლობას გეგმავს, რაც მობილობის პრობლემას კი არ მოაგვარებს, არამედ კიდევ უფრო დაამძიმებს არსებულ მდგომარეობას. ახალი ხიდები გარკვეულ ადგილებში საჭიროა, თუმცა ქალაქში ესტაკადების მოწყობა მსოფლიო გამოცდილებამ უკვე დიდი ხანია უკუაგდო, როგორც წარსულის, მე-20 საუკუნის 60-70-იანი წლების პრაქტიკა და მავნე მოვლენა. დიდი ავტომაგისტრალები თუ ესტაკადები ქმნის არაკომფორტულ ქალაქურ გარემოს, აძნელებს ფეხით მოსიარულეთა გადაადგილებას, ამახინჯებს ვიზუალურ აღქმას. შედეგად, მცირდება საფეხმავლო სივრცეები, ფეხით მოსიარულეთა და ველოსიპედისტთა რაოდენობა და ზარალდება ისეთი

მცირე ბიზნესი, რომლისთვის სასიცოცხლოა მიმზიდველი გარემო - კაფეები, რესტორნები, მაღაზიები და ა.შ. საერთაშორისო ქალაქგანვითრებაში უკვე აქსიომაა, რომ მეტი გზა და ესტაკადა უფრო მეტ მანქანას იზიდავს და ზრდის ქალაქის სატრანსპორტო დატვირთვას. შესაბამისად, ეს მიდგომა არათუ აგვარებს საცობების პრობლემას, არამედ აუარესებს მდგომარეობას. ასეთი გადაწყვეტილებების მიღება დასაშვებია მხოლოდ ქალაქის პერიფერიულ უბნებში, საცხოვრებელი უბნებისა და საზოგადოებრივი ტერიტორიებისგან მოშორებით.

თბილისი-რუსთავის მაგისტრალის მშენებლობა კარგი იქნება ორ ქალაქს შორის მიმოსვლის გასაუმჯობესებლად და მგზავრობის დროის შესამცირებლად. პოზიტიურად შეიძლება შეფასდეს ორივე ქალაქის აგლომერაციულ ჭრილში განხილვაც, თუმცა ეს საკითხი პირდაპირ არ უკავშირდება თბილისის ფარგლებში მობილობის პრობლემატიკას.

ზაალ უდუმაშვილის დაპირება მოძველებული მუნიციპალური ავტობუსების პარკის განახლებაზე საჭირო ინიციატივაა. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები, მაგრამ ეს პროცესი გასაგრძელებელია და სამუშაოს მოცულობის უფრო მეტი წილი ჯერ კიდევ წინ არის. ასევე პოზიტიურია მეტროს მოდერნიზებაზე, სადგურების განახლებასა და ახალი შემადგენლობების დამატებაზე ზრუნვის პირობა. მისასალმებელია ტურისტული დანიშნულების გარდა საბაგირო გზების, როგორც გადაადგილების საშუალების, განვითარება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პრიორიტეტული უნდა გახდეს გაუქმებული საბაგიროების რეაბილიტაცია თბილისის სხვა უბნებშიც და არა მხოლოდ ქალაქის ისტორიულ ნაწილში. პოზიტიურ შეფასებას იმსახურებს იდეა ტრამვაის შესახებ ქალაქის გარკვეულ ნაწილებში, თუმცა ზოგადია, კანდიდატი არც მარშრუტებს აკონკრეტებს და არც ვადებს.

მისასალმებელია თბილისის ერთიანი სატრანსპორტო გეგმის შემუშავების წინადადებაც. საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარებაზე ზრუნვა სწორი მიმართულებაა, რამაც უნდა უზრუნველყოს საგზაო მოძრაობის განტვირთვა და მოქალაქეებისთვის კომფორტის შექმნა.

ზაალ უდუმაშვილი თავის პროგრამაში ამ მიმართულების საპირისპირო ნაბიჯების გადადგმას აპირებს, კერძოდ, ესტაკადებისა და ავტომაგისტრალის მშენებლობას. თბილისში ავტომაგისტრალის მშენებლობის იდეა მიუღებელია და ამას საერთაშორისო ექსპერტებიც აღნიშნავენ. თანამედროვე ქალაქგანვითარებაში ქალაქის ცენტრალურ ნაწილებში ავტომაგისტრალებს კატეგორიულად აღარ აშენებენ გასული საუკუნის 70-80-იანი წლებიდან; პირიქით, ხდება მათი დემონტაჟი, რადგან ხმაურთან, ჰაერის დაბინძურებასა და არამიმზიდველ გარემოსთან ერთად, იწვევს მიმდებარე არეალების ურბანულ დეგრადაციას, მოსახლეობას უქმნის არაკომფორტულ გარემოს, უჩენს მას გაუცხოების შეგრძნებას ასეთი ადგილების მიმართ და უბიძგებს იქიდან გადასახლებას. ასეთ არეალებში ეცემა კერძო საკუთრების ფასები და არ ვითარდება მცირე ბიზნესი ადამიანური რესურსის ნაკლებობის გამო. გარდა ამისა, ავტომაგისტრალი მტკივნეულად ყოფს ქალაქს ორ ნაწილად და მასზე განივი კავშირების დამყარება ძალზე რთულია. ასევე, ეს არ განტვირთავს ქუჩებს საცობებისგან, რადგან ავტომაგისტრალი ქმნის უფრო დიდ საავტომობილო ნაკადებს და „ძაბრისებურად“ მიმართავს მათ სხვა ქუჩებზე, რომლებიც არ არის გათვლილი ამ დატვირთვების მისაღებად და გასატარებლად. ავტომაგისტრალის აშენება უკიდურესად დაამძიმებს ქალაქის ცენტრში ისედაც მძიმე მდგომარეობას, გააუარესებს ეკოლოგიურ ფონს და გაართულებს საერთო მობილობის სურათს, განსაკუთრებით ფეხით მოსიარულეებისა და ველოსიპედებისთვის.

არ შეიძლება პოზიტიურად შეფასდეს მიწისქვეშა და მიწისზედა გადასასვლელების აშენება. თანამედროვე ქალაქგანვითარებით პრაქტიკაში ეს მიუღებელია, უფრო მეტიც, დასავლეთის ქალაქებში ამას პრაქტიკულად არასოდეს აკეთებდნენ. მიწისქვეშა გადასავლელებს აწყობდნენ ძირითადად საბჭოთა კავშირის ქალაქებში. თანამედროვე ქალაქის ერთ-ერთი პირობაა მისი კომფორტულობა ფეხით მოსიარულეებისთვის და ხშირი „ზებრა“ გადასასვლელების მოწყობა მიწის დონეზე. მიწისზედა ხიდებზე ასვლა შეუძლებელია მოხუცების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა და მშობლებისთვის ბავშვის გორგოლაჭებიანი ეტლით. იგივე შეიძლება ითქვას მიწისქვეშა გადასასვლელებზე, სადაც ღამის საათებში ჩასვლა სერიოზულ დისკომფორტს უქმნის ქალებს, ბავშვებს.

მთლიანობაში, ზაალ უდუმაშვილის დაპირებები შეიცავს ურბანული მობილობის როგორც სწორ, ისე მცდარ ხედვებს. მას არ გააჩნია ერთიანი კონცეფცია, მისი მიდგომები ხშირად ურთიერთგამომრიცხავია.

კახა კალაძის დაპირებაა სატრანსპორტო პოლიტიკის კონცეფციის შექმნა. ქალაქის განვითარებისა და ყოველდღიური ცხოვრებისთვის ასეთი დოკუმენტი აუცილებელია და ის უკვე არსებობს. თბილისის მდგრადი ურბანული ტრანსპორტის სტრატეგია 2015 წელს მომზადდა აზიის განვითარების ბანკის საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში და 15-წლიან და სამეტაპიან სამოქმედო გეგმას მოიცავს. თუმცა ამ სტრატეგიის განხორციელება ჯერ არ დაწყებულა.

დადებითია საზოგადოებრივი ტრანსპორტის სრულყოფილი სამარშრუტო სქემის შემუშავების ინიციატივა, რამაც საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობა უნდა გახადოს ხელმისაწვდომიც და კომფორტულიც. მისასალმებელია ავტობუსების პარკის განახლება თანამედროვე, ადაპტირებული და ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტით, ისევე როგორც გაჩერებების განახლება და დამატება. თუმცა არ არის დაკონკრეტებული, რომ ქალაქს ახლანდელისგან განსხვავებით ავტობუსების რა რაოდენობა მოემსახურება.

დადებითია აგრეთვე ინიციატივა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მართვისა და მგზავრობის საფასურის გადახდის შესახებ. თუმცა იგი ზოგადია, არ არის დეტალურად ახსნილი, რა მოდელებს გულისხმობს ეს იდეა. ასევე პოზიტიური, მაგრამ ზოგადი დაპირებაა მეტროპოლიტენის, ავტობუსებისა და მიკროავტობუსების მომსახურების გაუმჯობესების შესახებ. არ არის დაკონკრეტებული, რა ხარვეზებს ხედავს ამ მხრივ კანდიდატი.

ამავე დროს, მერობის კანდიდატი იძლევა პირობას მიკროავტობუსების პარკის განახლებაზეც. ამის მაგივრად, გამართლებული იქნებოდა ქალაქისთვის საჭირო რაოდენობის ავტობუსებით უზრუნველყოფა და მიკროავტობუსების მთლიანად ჩანაცვლება. მიკროავტობუსების განახლება და დატოვება ვერ შეფასდება სწორ ნაბიჯად საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარების, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და სატრანსპორტო განტვირთვის მხრივ. ხარჯები უნდა მოხმარდეს ავტობუსების პარკის განახლებასა და საჭირო რაოდენობით უზრუნველყოფას.

მეტროპოლიტენის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია გადაუდებელი და დადებითი ინიციატივაა, თუმცა ბუნდოვანია მეტროს ახალი ხაზების დაპროექტების დაპირება, როდესაც პარალელურად არ არის ნახსენები ამ ხაზების მშენებლობა, რაც, რა თქმა უნდა, უზარმაზარ თანხებთან არის დაკავშირებული და არსებული მუნიციპალური სახსრებით ასეთი მასშტაბური პროექტის განხორციელება შეუძლებელია.

ტაქსების სექტორის მოწესრიგება იმგვარად, რომ შეიქმნას ტაქსის მძღოლებისთვისაც მომგებიანი სისტემა და მოხერხდეს მომხმარებელზე ორიენტირებული სტანდარტების

დაცვაც, ზედაპირულია. არ არის ახსნილი, თუ რა მექანიზმებითა და გზებით ესახება კანდიდატს ამ პრობლემის მოგვარება, არ ჩანს მკაფიოდ ჩამოყალიბებული მიდგომა. აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ ქმედითი ნაბიჯების გადადგმა აუცილებელია.

პოზიტიურია ახალი საბაგირო გზების განვითარების დაპირების იდეა, თუმცა სასურველი იქნებოდა, თუ კანდიდატი ამომრჩეველს გააცნობდა, ქალაქის რა ადგილებში ხედავს ამის საჭიროებას. კარგია, თუ ამაში იგულისხმება არსებული, მაგრამ დღეს უფუნქციო საბაგირო ხაზების აღდგენა, ეს მისასალმებელი განზრახვაა. კატეგორიულად უნდა გამოირიცხოს ახალი საბაგიროების მშენებლობა თბილისის ისტორიულ ნაწილში. ეს მნიშვნელოვნად აზიანებს მის მხატვრულ-ესთეტიკურ აღქმას და მსგავსი საინჟინრო-ტექნიკური ნაგებობები არ ესადაგება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პრიორიტეტებს.

მტკვარზე წყლის ტრანსპორტის განვითარება ტურისტული მიზნებისთვის, ცხადია, მოსაწონი იდეაა, მაგრამ იგი ვერ შეფასდება მობილობის მნიშვნელოვან ნაწილად - ეს ხომ მხოლოდ ტურისტული თვალსაზრისით წაადგება ქალაქს. კარგი იქნება მტკვრის უფრო მეტად სატრანსპორტო საშუალებად გამოყენება, მაგალითად, ე.წ. წყლის ავტობუსების დანერგვა, რომლებიც მდინარით გადაიყვანენ მგზავრებს და ექნებათ გაჩერებები. ეს მიღებული პრაქტიკაა მსოფლიოს მრავალ ქალაქში და ეხმარება ტრანსპორტისგან გზების განტვირთვას.

ძნელია შეფასდეს დაპირება რამდენიმე ახალი სატრანსპორტო დერეფნის შესახებ. გაუგებარია, რას გულისხმობს „სატრანსპორტო დერეფანი" და რა კონცეფციით განვითარდება ის: არსებული კავშირების რეორგანიზებითა და გაძლიერებით თუ ახალი სატრანსპორტო კავშირების დამყარებით. არ ჩანს, როგორ წარმოუდგენია კანდიდატს ამ სატრანსპორტო დერეფნებში ავტომობილებისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობა.

რა თქმა უნდა, მისასალმებელია გვირაბებისა და ხიდების რეაბილიტაციის დაპირება, ისევე როგორც თბილისის შემოგარენში არსებულ სოფლებს შორის დამაკავშირებელი გზების მშენებლობა. მეორე მხრივ, სიღრმისეულად უნდა შეფასდეს, რა არის პრიორიტეტები და მთავარი გამოწვევები ქალაქისთვის, რასაც უნდა მოხმარდეს სახსრები. თბილისისთვის ასევე საჭიროა მტკვრის ორივე მხარის დამაკავშირებელი დამატებითი ხიდი, რომელიც კომფორტული იქნება არა მხოლოდ ავტოტრანსპორტისთვის, არამედ ფეხით მოსიარულეებისა და ველოსიპედებისთვისაც.

კატეგორიულად მიუღებელია ქალაქის ცენტრალურ ნაწილებში ესტაკადების აშენების იდეა. თანამედროვე მსოფლიო პრაქტიკამ ამ მიდგომაზე უკვე რამდენიმე ათეული წელია უარი თქვა, რადგან ეს ვერ აგვარებს ქალაქის მჭიდროდ განაშენიანებულ ტერიტორიებზე სატრანსპორტო საცობებისა და გამტარუნარიანობის პრობლემებს. მოწინავე ქალაქგეგმარებაში აქსიომაა: რაც უფრო ბევრია გზა, მით უფრო მეტ ავტომობილს უყრის თავს, მეტად იტვირთება ქუჩები და, იმავდროულად, ფეხით მოსიარულეებისთვის იქმნება არასახარბიელო გარემო, მახინჯდება იერსახე, მცირდება მიმზიდველობა, როგორც ესთეტიკურად, ისე ეკონომიკურად, ყალიბდება ადამიანისგან გაუცხოებული და ფსიქოლოგიურად ნეგატიური გარემო.

დადებითად შეიძლება შეფასდეს პარკირების სისტემის გაუმჯობესების დაპირება, თუმცა ამ პრობლემას ვერ მოაგვარებს მხოლოდ მიწისქვეშა თუ მიწისზედა საპარკინგო ინფრასტრუქტურა. საჭიროა კომპლექსური მიდგომა და, რაც მთავარია, საათობრივი საპარკინგო სისტემის შემოღება, ქალაქის საპარკინგო ზონებად დაყოფა. ადგილობრივი მოსახლეობისთვის საცხოვრებელი უბნების მიხედვით შეღავათიანი პარკინგის შეთავაზება, პარალელურად, საზოგადოებრივი

ტრანსპორტის განვითარება და ა.შ. აშკარად ჩანს, რომ დეკლარირებული დაპირება მეტისმეტად ზოგადია.

აქტუალური და დადებითი დაპირებაა ტროტუარების კეთილმოწყობა ფეხით მოსიარულეებისთვის და ინფრასტრუქტურის განვითარება ველოსიპედისთვის. ეს კიდევ უფრო გაზრდის ქალაქის მიმზიდველობას და გააუმჯობესებს გარემოს ფეხით მოსიარულეთათვის, როგორც ადგილობრივების, ისე ტურისტებისთვის.

ასევე დადებითი იდეაა საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესება და ავტოსაგზაო შემთხვევების შესახებ მონაცემთა შეგროვების სისტემის დანერგვა გზებზე უსაფრთხოების გაზრდისთვის.

თენგიზ შერგელაშვილს აბსოლუტურად სწორი მიდგომა აქვს მობილობის პრობლემებისადმი. იგი კარგად ხედავს საკითხის კომპლექსურობას და მის მოსაგვარებლად პარალელურ რეჟიმში გადასადგმელ ნაბიჯებსაც სწორად იაზრებს. მისასალმებელია ქუჩაში მოძრაობის ყველა მონაწილისთვის თანაბარუფლებიანი პირობების შექმნის სურვილი და ფეხით მოსიარულეებისთვის, ველოსიპედისთვის, ყველა ასაკისა და ფიზიკური შესაძლებლობების მქონე პირთათვის კომფორტული პირობების შექმნა. სწორია მისი მოსაზრებები პარკირების მართვის, ზონირების და დროის მიხედვით რეგულირების შესახებ. უთუოდ დადებითია ქალაქის ისტორიულ ნაწილში ავტომოძრაობისა და პარკირების შეზღუდვის, აგრეთვე ე.წ. დაბალსიჩქარიანი ქუჩის იდეა. ჯანსაღი პოზიციაა „სითი-პარკთან" დაკავშირებითაც - ის ან გაიზიარებს ქალაქში პარკირების საკითხის მიმართ მერიის პოლიტიკას, ან მასთან გაწყდება ხელშეკრულება, თუნდაც სასამართლოსა და ფულადი კომპენსაციის გადახდის ხარჯზე, რადგან ქალაქის ყოფითი გარემო უფრო პრიორიტეტულია.

კანდიდატს აღელვებს მოუწესრიგებელი სანიაღვრე სისტემა, რომელიც უხვნალექიანობის დროს სერიოზულად აფერხებს ასევე სატრანსპორტო მოძრაობას ქალაქის გარკვეულ უბნებზე.

კანდიდატის სწორი მიდგომაა ავტობუსების პარკის მთლიანი განახლება და შევსება, მათი ეკოლოგიური სისუფთავისა და კომფორტულობის სტანდარტების დამკვიდრება, მოძრაობის სქემებისა და მარშრუტების გაუმჯობესება. მისასალმებელია მიკროავტობუსების შემცირების დაპირება და ერთიანი ეფექტიანი საბილეთო სისტემის შექმნის იდეაც.

მოსაწონია ტრამვაის ხაზების განვითარების დაპირება. საბაგირო გზების აღდგენა და განვითარება ზოგიერთი უბნისთვის აუცილებელია, თუმცა კანდიდატის პროგრამაში არ არის დაკონკრეტებული, თუ სად შეიძლება ამის განხორციელება. პრიორიტეტული უნდა იყოს ამჟამად უმოქმედო საბაგიროების აღდგენა და უნდა გამოირიცხოს მათი გაჩენა ქალაქის ისტორიულ ნაწილში. სატრანსპორტო კვანძების ოპტიმიზაცია საჭიროა, თუმცა არ არის დაკონკრეტებული, რას გულისხმობს ახალი საგზაო ობიექტების შექმნა. კონკრეტული გადაწყვეტებიდან გამომდინარე, ამას შეიძლება ჰქონდეს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგები. მოცემულია მოსაზრებები ფინანსების მოზიდვისა და განსახორციელებელი სამუშაოების გრაფიკის შესახებ.

სწორია ხედვა ტაქსების საკითხის რეგულირებისა და მოწესრიგების შესახებ. დადებითად შეიძლება შეფასდეს კომპლექსური მიდგომები ტაქსების უსაფრთხოებისა და კომფორტის სტანდარტების ურთიერთშესაბამისობის შესახებ, მათ მიერ გადატვირთული ქუჩების გამოთავისუფლების გზებზე, ეკოლოგიურად უფრო სუფთა მანქანებით ჩანაცვლებაზე, შეიძლება ითქვას, რომ თენგიზ შერგელაშვილმა წარმოადგინა საუკეთესოდ ჩამოყალიბებული და დეტალიზებული

მიდგომები ქალაქში მობილობის საკითხის მიმართ.

კახა კუკავას მოსაზრება, სამარშრუტო მიკროავტობუსები მთლიანად ჩაანაცვლოს ავტობუსებით, რა თქმა უნდა, სწორია. იგი აპირებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დააფინანსოს ახალი მეტროს სადგურების მშენებლობა, თუმცა არ აკონკრეტებს, რა სახსრებით. მეტროს ახალი გვირაბების გაყვანა და სადგურების მშენებლობა ძალზე დიდ დანახარჯებთან არის დაკავშირებული, რისი საშუალებაც თბილისის ბიუჯეტს არ გააჩნია. იგი ასევე არ აკონკრეტებს, რამდენი ახალი სადგურის მშენებლობას მოიცავს მისი გეგმა.

მისასალმებელია ადმინისტრაციული დაწესებულებების ადაპტირება შშმ პირებისთვის. კარგია ამგვარი დაპირება მიწისქვეშა და მიწისზედა გადასასვლელებთან დაკავშირებითაც. რასაკვირველია, ეს ხშირად ტექნიკურ სიძნელეებს და ხარჯებს ნიშნავს, მაგრამ ზოგ შემთხვევაში აუცილებელია. უფრო ადვილია და საჭიროც მიწის დონეზე „ზებრა" გადასასვლელების მოწყობა ფეხით მოსიარულეთა კომფორტისთვის. თუმცა კახა კუკავას მოსაზრებები მობილობასთან დაკავშირებით მწირია და არაკომპლექსური.

გიორგი ვაშაძე ამომრჩეველს ჰპირდება საზოგადოებრივი ელექტროტრანსპორტის განვითარებას. ეს უთუოდ სწორი ნაბიჯი იქნება, მაგრამ კანდიდატი არ აკონკრეტებს, რომელ ელექტროტრანსპორტს გულისხმობს. უსაფრთხო გზები და გადასასვლელები უდავოდ პრობლემაა ქალაქში და კარგია, რომ მერობის კანდიდატი ამაზე ფიქრობს, თუმცა დაპირება აქაც ზოგადია და უცნობია, როგორ უდგება უსაფრთხოების საკითხს იგი და როგორი გადასასვლელები მიაჩნია მას უსაფრთხოდ. ვერტიკალური პარკირების შესახებ მისი დაპირებაც ასევე ზოგადია და არ ჩანს, დიდ საზოგადოებრივ ავტოფარეხებს გულისხმობს თუ ქუჩისპირა რამდენიმეადგილიან სადგომებს, რაც არცთუ მიმზიდველია ვიზუალურად. იგი მიზნად ისახავს აგრეთვე პანდუსების მოწყობასა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებას შშმ პირებისთვის, რაც პოზიტიურია. გიორგი ვაშაძის მოსაზრებები მობილობასთან დაკავშირებით ზოგადია და არ მოიცავს ღონისძიებების ფართო სპექტრს. გაუგებარია, რას გულისხმობს ტერმინი „ევროპული სტანდარტების ურბანული განვითარება". ურბანული განვითარება თავის თავში მრავალ დისციპლინას მოიცავს და რაიმე ერთიანი სტანდარტები არავის შეუმუშავებია, მათ შორის არც ევროპის ქვეყნებში. არსებობს საერთაშორისო პრაქტიკის გამოცდილება და მრავალმხრივი თანამედროვე მიდგომები მდგრადი ურბანული გარემოს ჩამოსაყალიბებლად ადგილობრივი პრობლემატიკის, კონკრეტული პირობებისა და სხვა მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით.

2.1. შედეგების შეფასების გაზომვადი ინდიკატორები

პროგრამების ანალიზი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას, შეფასების პერსპექტივიდან გაიზომოს მისი განხორციელების ალბათობა.

გაანალიზების შედეგად გამოვლინდა, რომ კანდიდატთა ნაწილმა წარმოადგინა ისეთი პროექტები, რომელთა გაზომვა შეიძლება. მაგალითისთვის გამოდგება **ალექსანდრე ელისაშვილის** მეტროს 7 შემადგენლობის დამატების პროექტი, რომელიც, პროგრამის თანახმად, დღის განმავლობაში გადაყვანილი მგზავრების რაოდენობას 500 000-მდე გაზრდის. ასევე გაზომვადია 4 წელიწადში 400 000 მანქანის ამოღების გეგმა. მართალია, ოპოზიციურ კანდიდატს გამარჯვების შემთხვევაშიც გაუჭირდება მსგავსი პროექტებისთვის სახსრების მოზიდვა, მაგრამ მისი გეგმები გაზომვადია. ალექსანდრე ელისაშვილისგან განსხვავებით, **გიორგი ვაშაძის** პროგრამა არ გამოირჩევა გაზომვადი ინდიკატორებით. კანდიდატი

მობილობის მიმართულებით მხოლოდ ზოგად პოლიტიკურ განსაზღვრებებს აყალიბებს. მობილობის მიმართულებით გაზომვადი პროგრამა არც **ელენე ხოშტარიას** გააჩნია, რომლისთვისაც რკინიგზის გადატანა ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია და ამით ქალაქში მობილობის პრობლემა განეიტრალდება. აშკარაა, რომ კანდიდატს საკითხი სიღრმისეულად არ შეუსწავლია, შესაბამისად, რთულია რაიმე გაზომვად ინდიკატორებზე ვისაუბროთ.

ზაალ უდუმაშვილი კონკურენტებისგან განსხვავებით აყალიბებს ნაწილობრივ გაზომვად პროგრამას. ისეთი კონკრეტული შეთავაზებები, როგორიც არის 7 ახალი ესტაკადა, 3 ხიდი, 2 გვირაბი და ახალი ავტომაგისტრალი, შეგვიძლია მხოლოდ ნაწილობრივ გაზომვად კრიტერიუმებად განვიხილოთ, ვინაიდან პროგრამაში ნაჩვენები არ არის ამ მიზნების მისაღწევი გზები. ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ოპოზიციურ კანდიდატს მასშტაბური პროექტების განსახორციელებლად ცენტრალური მთავრობის ხელშეწყობის იმედი მაინცდამაინც არ უნდა ჰქონდეს. შესაბამისად, პროექტების რეალურობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. წინა კანდიდატებისგან განსხვავებით, **თენგიზ შერგელაშვილს** კონკრეტული წარმოდგენა აქვს ქალაქის განტვირთვასთან დაკავშირებით. თუმცა ისეთი კონკრეტული ბიუჯეტირება, რომელიც კანდიდატის პროგრამაშია მოცემული, ძნელი წარმოსადგენი და რეალობის განცდას მოკლებულია - ოპოზიციურ კანდიდატს ფონდების მოზიდვა და ბიუჯეტის ზრდა გაუჭირდება. პროგრამა შეგვიძლია დავახასიათოთ როგორც გაზომვადი, თუმცა კიდევ ერთხელ უნდა ითქვას მკაფიოდ, რომ ის რეალობას აცდენილია.

კახა კალაძე ირიბად აღიარებს, რომ უნდა გააგრძელოს წინამორბედი მერის პოლიტიკა, შესაბამისად, პროგრამის ეს ნაწილი არ მოიცავს კონკრეტიკას და დათვლილი ინდიკატორების სიჭარბეს. **კახა კუკავას**, წინა კანდიდატების დიდი ნაწილის მსგავსად, არ გააჩნია სტრატეგიული ხედვა, თუ როგორ წარმოუდგენია ისეთი პოლიტიკის იმპლემენტაცია, რომელიც შედეგსაც მოიტანს და რომლის გაზომვაც შესაძლებელი იქნება. კუკავას შემოთავაზება ლოზუნგურ ხასიათს ატარებს და რაციონალური დანახარჯისა თუ ბენეფიტის ანალიზს მოკლებულია.

3 საარჩევნო პროგრამების მსგავსი პრიორიტეტები და ძირითადი განსხვავებები

კანდიდატების უმრავლესობა თავიანთ დაპირებებში ყურადღებას ამახვილებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაუმჯობესების აუცილებლობაზე, რაც გულისხმობს ავტობუსების პარკის განახლებას და გაზრდას, მარშრუტების დამატებას. აქ ზაალ უდუმაშვილი თბილისის მუნიციპალიტეტში შემავალ სოფლებთან დამაკავშირებელ ავტობუსებს გულისხმობს. კონკრეტულად მეტროს მოდერნიზაციასა და რესურსის გაზრდაზე საუბრობენ ალექსანდრე ელისაშვილი, ზაალ უდუმაშვილი, კახა კალაძე, ხოლო კახა კუკავა ახალი მეტროს სადგურების მშენებლობასაც აპირებს. ზოგიერთ უბნებში ტრამვაის განვითარება საჭიროდ მიაჩნიათ ალექსანდრე ელისაშვილს, ზაალ უდუმაშვილს და თენგიზ შერგელაშვილს, გიორგი ვაშაძე

ზოგადად ელექტროტრანსპორტის განვითარებას აპირებს, თუმცა არ აკონკრეტებს - როგორ. სამარშრუტო ტაქსების შეზღუდვა ან მომავალში მათი სრული გაუქმება სურთ ალექსანდრე ელისაშვილს, თენგიზ შერგელაშვილსა და კახა კუკავას. პარკირების საკითხის მოგვარებაზე საუბრობენ ალექსანდრე ელისაშვილი, კახა კალაძე და თენგიზ შერგელაშვილი. ალექსანდრე ელისაშვილს „სითი-პარკთან" ხელშეკრულების გაუქმება მიაჩნია აუცილებლად, კახა კალაძე ზოგადად პარკირების მოწესრიგების პირობას დებს, ხოლო თენგიზ შერგელაშვილის აზრით, „სითი-პარკი" ან დაექვემდებარება პარკირების სისტემაზე მის კომპლექსურ მიდგომას, ან მას მერია უნდა დაემშვიდობოს თუნდაც მაღალი ფინანსური ხარჯების საფასურად. ვერტიკალური პარკირების დანერგვას აპირებს გიორგი ვაშაძე. თბილისის უბნების დასაკავშირებლად საზოგადოებრივი ტრანსპორტის სახით საბაგირო გზების აღდგენა და განვითარება საჭიროდ მიაჩნიათ კახა კალაძეს, ზაალ უდუმაშვილსა და თენგიზ შერგელაშვილს. ფეხით მოსიარულეთა და ველოსიპედით მოსარგებლეთათვის კომფორტის შექმნასა და ინსფრასტრუქტურის მოწყობაზე ამახვილებენ ყურადღებას კახა კალაძე, გიორგი ვაშაძე და თენგიზ შერგელაშვილი. თენგიზ შერგელაშვილი უფრო ვრცლად აყალიბებს თავის მოსაზრებებს, რომელთა მიხედვითაც ქალაქი კომფორტული უნდა იყოს გადასაადგილებლად - ფეხით, საზოგადოებრივი ტრანსპორტით, ველოსიპედით და ამას უნდა გრძნობდეს ყველა მოქალაქე: ბავშვები, ხანდაზმულები, შშმ პირები. ასევე შშმ პირებისთვის ქუჩების, გადასასვლელებისა და შენობებში შესასვლელების ადაპტირებას აპირებენ ზააალ უდუმაშვილი, კახა კუკავა და გიორგი ვაშაძე. ტაქსების რეგულაცია საჭიროდ მიაჩნიათ კახა კალაძეს და თენგიზ შერგელაშვილს. ორივე კანდიდატი, მერობის შემთხვევაში, აპირებს ასევე სატრანსპორტო სტრატეგიისა თუ კონცეფციის შემუშავებას, ისევე როგორც ერთიანი საზოგადოებრივი ზედამხედველობის დანერგვას. კახა კალაძის გეგმა მოიცავს მართვის ერთიანი სისტემის შექმნას, ხოლო თენგიზ შერგელაშვილის იდეაა ინტერაქტიური ვებრგვერდის ამოქმედება. ეს ორი კანდიდატი ამავე დროს ერთიანი გადახდის სისტემის შემოღებასაც ისახავს მიზნად. კახა კალაძე ახსენებს საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, ხოლო თენგიზ შერგელაშვილი - საგზაო ობიექტების დამატებას. ტურიზმის ხელშეწყობისთვის კახა კალაძე წყლის ტრანსპორტის განვითარების ინიციატივით გამოდის. ესტაკადებისა და ხიდების მშენებლობა პრიორიტეტულია ელენე ხოშტარიასა და ზაალ უდუმაშვილისთვის. ეს უკანასკნელი ავტომაგისტრალის გაყვანას გეგმავს ქალაქში, ხოლო ელენე ხოშტარიასთვის მნიშვნელოვანია ავტომაგისტრალის მშენებლობა რუსთავის მიმართულებით. უსაფრთხო გადასასვლელებზე საუბრობს გიორგი ვაშაძე, ხოლო ზაალ უდუმაშვილი აპირებს როგორც მიწისქვეშა, ისე მიწისზედა და მიწის დონეზე „ზებრა" გადასასვლელების მოწყობას. თენგიზ შერგელაშვილი ისტორიული უბნების არაერთ ქუჩაზე საავტომობილო მოძრაობის აკრძალვას ემხრობა.

პროგრამული პრიორიტეტები და მათი გავლენა სხვადასხვა სფეროებზე 4

მობილობის „კალათის“ ფარგლებში პროგრამული პრიორიტეტები ვრცლად მიმოვიხილეთ მეორე თავში. კანდიდატების დიდი ნაწილი ყურადღებას ამახვილებს ახალი ესტაკადებისა და ავტომაგისტრალების შენებაზე, რაც ნეგატიურად უნდა შეფასდეს - ასეთი პრიორიტეტი ნეგატიურ კორელაციაშია გარემოს დაცვასთან და ეკონომიკურ „კალათასთან“. როგორც უკვე აღინიშნა, ქალაქებში მასშტაბური ესტაკადებისა და ავტომაგისტრალების მშენებლობა ხმაურისა და გამონაბოლქვის ალბათობას ზრდის, რაც ცალსახად ნეგატიურად აისახება საცხოვრებელ გარემოზე. გარდა ამისა, თავს იჩენს კერძო საკუთრების გაუფასურების მომენტი, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა. ესტაკადების ბუნებიდან გამომდინარე, მის მიმდებარე ტერიტორიაზე ძალიან დაბალია რაიმე ბიზნესის წამოწყების ან უკვე არსებულის განვითარების ალბათობა. იმავდროულად, იკლებს ადგილის მიმზიდველობა, რაც პირდაპირპროპორციულად აისახება კერძო საკუთრების ფასებზეც.

კანდიდატების პროგრამების ანალიზის შედეგად, ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხად გამოიკვეთა ეკოლოგიურად სუფთა ავტოპარკების ჩამოყალიბება (თუმცა ყველა კანდიდატი არ საუბრობს მასზე). კანდიდატები, სამწუხაროდ, ამ პრიორიტეტული საკითხის მოგვარებისთვის აუცილებელ დროს არ აკონკრეტებენ და არც ფინანსურ გათვლებს გვთავაზობენ. შესაბამისად, სათუო ხდება მათი განხორციელებაც. თუმცა ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ ეს და მსგავსი პროექტები დადებით კორელაციაშია გარემოს დაცვასთან.

კანდიდატთა დიდი ნაწილი ყურადღებას უთმობს ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის დანერგვას. მეტროპოლიტენის გაფართოება, ტრამვაისა და საბაგირო გზების განვითარება, ერთი მხრივ, მნიშვნელოვნად პოზიტიურ კავშირშია ეკონომიკასთან, ვინაიდან მათ ხშირ შემთხვევაში ტურისტული დატვირთვა ეძლევა. ამასთან მნიშვნელოვანია მათი პოზიტიური კორელაცია გარემოს დაცვის „კალათასთან“. ქალაქის სივრცეში გამონაბოლქვისგან თავისუფალი ტრანსპორტის განვითარება იმ ალტერნატიულ დანახარჯს შეამცირებს, რაც დაზიანებული გარემოს აღდგენას ხმარდება.

5 საარჩევნო პროგრამის ზეგავლენის შედარებითი შეფასება დროში

მობილობის „კალათის“ დროში შეფასების ქვეთავს ისეთივე პრობლემები ახასიათებს, როგორიც სხვა „კალათების“ ანალიზს. კანდიდატთა პროგრამები ან არ მოიცავს დროით ანალიზს (ბიუჯეტი თუ პროექტების განხორციელება მოცემულია კონკრეტული ვადების გარეშე), ან ყოველი ასეთი მცდელობა რეალობას მოწყვეტილია. კანდიდატთა ნაწილი 10-წლიან გეგმებს სახავს, თუმცაღა მერობის ვადა მხოლოდ 4 წელიწადს მოიცავს. ფინანსური კუთხით საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ოპოზიციის იმ კანდიდატების პოლიტიკის შეთავაზება, რომელთაც დამატებითი სახსრების მოძიება აქვთ გადაწყვეტილი, პოპულისტურ ელფერს იძენს - პროგრამაში ცენტრალურ მთავრობასთან კოლაბორაციის არავითარი მექანიზმი არ არის ნაჩვენები.

კანდიდატებს ოპოზიციიდან თუ მმართველი გუნდიდან არ აქვთ გააზრებული კონკრეტული პროექტების კომპლექსურობა, შესაბამისად, დროში მათი გაწერის საჭიროებასაც ვერ ხედავენ. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მმართველი პარტიის კანდიდატს ოპონენტებისგან განსხვავებით უკეთესად მიუწვდება ხელი შიდა ინფორმაციაზე, მაგრამ მაინც არ გააჩნია კონკრეტულ დროში გაწერილი პროექტები.

საბოლოოდ, უნდა ითქვას შემდეგი: ძალზე რთულია გაზომვა ამ სფეროში, ვინაიდან იგი დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, რომელთა გათვლაც შეუძლებელია ან დამოკიდებულია სხვა გარე ფაქტორებსა და სექტორებზე. ამიტომაც არის, რომ მერობის კანდიდატები ამას ვერც გვთავაზობენ.

6 ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

- მერობის კანდიდატებს მობილობის მიმართულებით კონკრეტული დროითი თუ ფინანსური ანალიზის საშუალება არ გააჩნიათ.
- პროგრამების უმრავლესობაში ისეთი მისასალმებელი პროექტების გვერდით, მაგალითად, როგორიც არის ეკოლოგიურად სუფთა ავტოპარკების, ტრამვაის, საბაგირო გზების დანერგვა და მეტროს გაფართოება, გვხვდება მოძველებული და არაეფექტიანი პროექტები - ავტომაგისტრალებისა და ესტაკადების მშენებლობის იდეა.

- რეკომენდაციის სახით უნდა ითქვას, რომ მნიშვნელოვანია, მერობის კანდიდატებს ჰქონდეთ შესაბამისი ცოდნა და მოსაზრებები ქალაქში მობილობის მიმართულებებზე. მნიშვნელოვანია ასევე, დარგის ექსპერტებთან კონსულტაციის შედეგად პოლიტიკურმა პარტიებმა და/თუ კანდიდატებმა შექმნან ჰარმონიული პროგრამები. აუცილებლად საჭიროა პრობლემების ყოვლისმომცველი გააზრება და არა ზედაპირული მსჯელობა პოპულარულ თემებზე.
- მისასალმებელია, რომ 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინა პერიოდში მობილობის საკითხები, ადრინდელთან შედარებით, უფრო აქტიურად განიხილებოდა. სასურველია, ამგვარი ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდეს.

საცხოვრებელი

ზოგადი შეფასება 1

ელენე ხოშტარია თავის საარჩევნო პროგრამაში პრობლემებად ასახელებს ავარიული საცხოვრებელი ფონდის და დაუმთავრებელი საცხოვრებელი მშენებლობების საკითხებს. კანდიდატი ასევე ეხება რკინიგზის სიახლოვეს განლაგებულ სახლებს, რომლებზეც ვიბრაცია ზემოქმედებს. მისთვის მწვავეა ისტორიულ უბნებში საცხოვრებელი სახლებისა და ე.წ. „ხრუშჩოვკების“ ამორტიზებულობის პრობლემა.

ზაალ უდუმაშვილი ე.წ. „ხრუშჩოვკების“ ეტაპობრივი ჩანაცვლების მექანიზმად მერიას, მოსახლეობასა და ინვესტორს შორის სამმხრივ პარტნიორობას აღიქვამს. ავარიული სახლების რეაბილიტაციისთვის კანდიდატი ბიუჯეტიდან ყოველწლიურად 50 მილიონ ლარს გამოყოფს. კანდიდატი საჭიროდ მიიჩნევს უსახლკაროთა მუნიციპალური თავშესაფრის გაფართოებას, ახალი სახლების მშენებლობას, რაც შეიძლება მათთვის ქირის გადახდაზე უფრო ხელსაყრელი იყოს.

თენგიზ შერგელაშვილი ყურადღებას ამახვილებს ავარიული სახლების საკითხზე და მათ ჩასანაცვლებლად სპეციალური პროგრამის შემუშავებას აპირებს. პროექტის განხორციელების პროცესში აუცილებლად გასათვალისწინებელია გეგმარებით-არქიტექტურული მოსაზრებები და მოსახლეობის მიმართ სამართლიანი დამოკიდებულება. კანდიდატი ძველი უბნების რეაბილიტაციას განიხილავს ეკონომიკურ ჭრილში და სურს, კულტურული მემკვიდრეობა სარგებლის მომტან წყაროდ აქციოს. კანდიდატი შენობების ენერგოეფექტიანობის პროგრამის განხორციელებასაც გეგმავს.

კახა კალაძე ავარიული და ძველი შენობების რეაბილიტაცია-ჩანაცვლების კონცეფციის შემუშავებას გეგმავს, ცხადია, მოსახლეობისა და კერძო სექტორის ინტერესების ჰარმონიული დაცვით. კანდიდატი აპირებს, სოციალურად დაუცველთა და ავარიული სახლების ბინადართა ბინის ქირით უზრუნველყოფა ეტაპობრივად ჩაანაცვლოს ბინათმშენებლობაზე გაწეული ხარჯით. სახელისუფლებო კანდიდატს აღნიშნული პოლიტიკა საცხოვრებელზე ხელმისაწვდომობის პრობლემის გადაჭრის უფრო ეფექტიან გზად ესახება.

გიორგი ვაშაძეს თბილისის ცენტრალური უბნების გადატვირთულობის გამო აუცილებლად მიაჩნია პერიფერიების ათვისება. მისი იდეაა თბილისის ზღვასა და აეროპორტს შორის მსოფლიოში პირველი ბლოკჩეინ-ქალაქის, ნიუ-სითის აშენება, რომლის საცხოვრებელ ფუნქციებს არ ახსენებს და მხოლოდ საქმიანი თუ საოფისე დანიშნულებით შემოიფარგლება.

2 კანდიდატთა საარჩევნო პროგრამების პრიორიტეტები და მათი შეფასება

ელენე ხოშტარია აღნიშნავს, რომ ბიუროკრატიული პროცესებისა თუ სხვა შეზღუდვების გამო ადამიანები ვერ ახერხებენ ავარიული სახლების რეაბილიტაციას ან ჩანაცვლებას. ეს შეზღუდვები იქნებ არსებობს, თუმცა კონკრეტულად რა შეზღუდვებს გულისხმობს, არ ჩანს. გარკვეული მოთხოვნები აუცილებელი ქალაქმშენებლობითი რეგულაციების ნაწილში, ცხადია, დადგენილია. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ ავარიული სახლების სარეაბილიტაციოდ ან გასამაგრებლად, რაც დიდ ხარჯებს უკავშირდება, მოსახლეობისთვის უპირველეს წინაღობას წარმოადგენს ეკონომიკურ და ფინანსურ სახსრებზე შეზღუდული ხელმისწვდომობა. აქედან გამომდინარე, მისასალმებელია კანდიდატის ინიციატივა საბიუჯეტო სახსრებით გაგრძელდეს ამ სამუშაოების წარმოება. აქ ასევე სასურველია ამ მიზნით წინადადებების შემუშავება იმისთვის, რომ მობინადრეებს ფინანსებზე ხელი უფრო იოლად მიუწვდებოდეთ. ზოგადი მოსაზრება, რომ სამშენებლო ბიზნესსა და ფინანსურ ინსტიტუტებთან ერთად შემუშავდეს სტიმულირების პროგრამა, საჭიროებს მეტ დეტალიზაციას, კონკრეტულად რა მექანიზმები აქვს მხედველობაში კანდიდატს, რადგან ამაზეა დამოკიდებული შეფასება, მრავალმხრივი ეკონომიკური და სოციალური გავლენა პოზიტიურია თუ ნეგატიური.

ელენე ხოშტარიას მოსაზრება რკინიგზის გადატანის შემდეგ გამოთავისუფლებულ ტერიტორიაზე საცხოვრებელი უბნების განვითარების შესახებ არ ითვალისწინებს საცხოვრებელი საკითხებისადმი მუნიციპალიტეტის მიდგომას, რადგან კანდიდატი ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ ინვესტორებზე. ამიტომ რკინიგზის გადატანის ინიციატივა არ მოიცავს საბინაო პრობლემების მთელ სპექტრს და შესაბამისად, პრობლემას ვერ მოაგვარებს.

მისასალმებელია მისი დაპირება ისტორიული უბნების სრული რეაბილიტაციის შესახებ, თუმცა ეს დაპირება არ არის გამყარებული კონკრეტიკით, ფინანსურ-ეკონომიკური გათვლებით და არც დროშია გაწერილი. ძნელად წარმოსადგენია მერობის ერთ ვადაში თბილისის ისტორიული უბნების სრული რეაბილიტაცია, როგორც ეს პროგრამაშია ნახსენები.

მიზნობრივი პროგრამების ამოქმედება შეიძლება დადებით ნაბიჯად შეფასდეს, თუმცა მნიშვნელოვანია კანდიდატმა მკაფიოდ დაასახელოს მიმართულებები, რომლებსაც პროგრამა დაეფუძნება. გაურკვეველი პოზიცია არ იძლევა ეფექტიანობის ანალიზის, ბენეფიტებისა თუ რისკების გამოთვლის საშუალებას. პროგრამაში ნახსენები პროექტი - „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე", სხვადახვა ეტაპზე მიდგომებით განსხვავდებოდა. მაგალითად, სახლების სრული გამოსყიდვა მოსახლეობისგან და რეაბილიტაციის შემდეგ გასხვისება, მკვეთრად ცვლის როგორც სოციალურ შემადგენლობას, ისე უბნებში საცხოვრებელი ფუნქციის კომერციული ფუნქციებით ჩანაცვლებას. ყოველივე ეს სიცოცხლისა და არამატერიალური ავთენტურობისგან გარემოს „სტერილიზაციას" იწვევს.

პოზიტიურად შეიძლება შეფასდეს ისტორიული უბნებისადმი კანდიდატის მიდგომა, რაც ითვალისწინებს ქალაქმშენებლობითი და არქიტექტურული რეგულაცია-

პარამეტრების დადგენას საიმისოდ, რომ რეაბილიტაციის პროცესი ჯანსაღად წარიმართოს.

ქალაქის იმ უბნებში, სადაც ძირითადად ინდივიდუალური სახლებია რთული საცხოვრებელი პირობებით, სერიოზულ საფრთხეებს შეიცავს ქალაქგეგმარებითი კუთხით და შეიძლება გაუთვალისწინებელ და ძნელად სამართავ სიტუაციაში გადაიზარდოს.

ზაალ უდუმაშვილი მიზნად ისახავს ე.წ. „ხრუშჩოვკების“ ეტაპობრივ ჩანაცვლებას ინვესტორებს, მერიასა და მოსახლეობას შორის პარტნიორობის საფუძველზე. ამ საკითხისადმი ერთგვაროვანი მიდგომა გაუმართლებელია. ყველა ეს შენობა არ მოითხოვს მთლიან ჩანაცვლებას. მათი გარკვეული ნაწილი მართლაც ძლიერ ამორტიზებულია, მაგრამ არის ისეთებიც, რომლებსაც რეაბილიტაცია სჭირდება. საკითხი შესწავლასა და ჩარევის დონეების მიხედვით დიფერენციაციას მოითხოვს. მაგალითად, ყოფილი აღმოსავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე ასეთ შენობებს ძირეული სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა - შეიცვალა შიდა გეგმარება და გაფართოვდა ბინები, გამოიყო საერთო სარგებლობის საზოგადოებრივი სივრცეები, შეიცვალა ფასადები და გადახალისდა, გამოიცვალა კარ-ფანჯრები, ლიფტები, გაყვანილობა, კიბეები და ა.შ. ამ საკითხში უაღრესად ფრთხილი მიდგომაა საჭირო, რადგან მთლიანად კერძო სექტორზე მინდობა, მისი ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებით, შეიძლება შეიცავდეს საფრთხეებს. კერძოდ, დანგრეული შენობების ადგილას, ფინანსური მიზანშეწონილობიდან და მიწის ფასიდან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, გაჩნდეს უფრო დიდი ან მაღალი ახალი საცხოვრებელი შენობები, რაც შეცვლის გარემოს. ამგვარი მიდგომა კომპლექსური კვლევისა და ქალაქგეგმარებითი მიდგომების გარეშე სახიფათოა. განაშენიანებისა და მოსახლეობის გაზრდილი სიმჭიდროვის შედეგად შეიძლება დადგეს მრავალი პრობლემა, რაც აისახება ურბანული ცხოვრების ხარისხის დაქვეითებაში. ხშირად მოსახლეობას ურჩევნია ადგილზე გაიუმჯობესოს საცხოვრებელი პირობები, ვიდრე შეიცვალოს ბინადრობის ადგილი, რაც ხშირად ქალაქის ნაკლებად მიმზიდველ და დაბალფასიან არეალებში გადასვლას ნიშნავს. საჭიროა შემუშავდეს ისეთი მიდგომები, რომლებიც მაქსიმალურად ხელს შეუწყობს მოსახლეობის ძველ ბინებში დარჩენას და ქალაქგეგმარებითი პარამეტრების დაცვით საცხოვრებელი გარემოს ადგილზევე გაჯანსაღებას. შენობა შეიძლება დაინგრეს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც ტექნიკური მდგომარეობა საშიშია უსაფრთხოების მხრივ.

კანდიდატი პრობლემათა შორის ასახელებს მუნიციპალური თავშესაფრის საკითხს. ამგვარი ყურადღება მისასალმებელია, რადგან, როგორც იგი აღნიშნავს, საჭიროა ფიქრი პირობების გაუმჯობესებასა და ახალი თავშესაფრის აშენებაზე. დადებითი მოსაზრებაა მუნიციპალური სახსრებით მიუსაფარი მოქალაქეებისთვის საცხოვრებელი სახლის აშენება, თუმცა შეიძლება პარალელურად მათთვის ბინის ქირით უზრუნველყოფა შენარჩუნდეს. დასავლეთის ქვეყნებში ამგვარი სუბსიდირება სხვადასხვა მექანიზმით ხორციელდება.

თენგიზ შერგელაშვილი ავარიული კორპუსების ჩანაცვლების პროგრამასთან დაკავშირებულ პროცესებში კერძო სექტორისა და მოქალაქეების ჩართვას გეგმავს. დამაბნეველია „სახლები და კორპუსები“, რადგან ერთგან სახლებზეა საუბარი, მეორე შემთხვევაში - კორპუსებზე და გაუგებარია, მხოლოდ მრავალბინიანი საბჭოთა დროის კორპუსები იგულისხმება თუ სხვა ტიპის საცხოვრებელი შენობები. პრობლემისადმი ინტერესის არსებობა პოზიტიურად შეიძლება შეფასდეს, თუმცა საჭიროა დიფერენცირებული მიდგომები. ყველა ავარიული საცხოვრებელი კორპუსი თუ სახლი ჩანაცვლებას არ ექვემდებარება. ბევრი მათგანი მხოლოდ გამაგრებით, სარეაბილიტაციო და სხვა ტიპის სამუშაოს

მოითხოვს. ჩასანაცვლებელი შენობების რაოდენობა დასადგენია, ამასთან, შესასწავლია, რა ხარისხით არის საჭირო ჩარევა. დადებითად შეიძლება შეფასდეს კანდიდატის მოსაზრებები „მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინების“, „არქიტექტურული განაშენიანების შენარჩუნების“ შესახებ, თუმცა უცნობია, რას გულისხმობს „შენარჩუნება“. ეს ფორმულირება დასახვეწია. ზოგადად, ავარიული შენობების პრობლემზე ყურადღების გამახვილება მისასალმებელია, მაგრამ დაპირებები საკმაოდ ზედაპირულია. არ არის დაზუსტებული ასეთი შენობების რაოდენობა, მათი ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით რანჟირება და ადგილმდებარეობა. არც მათი ეტაპობრიობაა განსაზღვრული. დადებითია მოსახლეობასთან სამართლიანი დამოკიდებულების შენარჩუნების პირობა. თუმცა კარგად გასააზრებელია, რა მექანიზმების მეშვეობით შეიძლება შესთავაზო მათ ახალი ბინები და გასარკვევია, როგორია მოსახლეობის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. მოსახლეების გადაყვანა მათი საცხოვრებელი ადგილიდან სხვაგან მრავალ პრობლემას უკავშირდება და, რაც მთვარია, გაუმართლებელ მიდგომებს შეიძლება მოჰყვეს სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ნეგატიური ცვლილებები და ჯენტრიფიკაციის პროცესი. პოზიტიურად შესაფასებელია კანდიდატის პოზიცია საბინაო საკითხებში მერიის გადამწყვეტი როლის შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ ავარიული სახლების პრობლემის მოსაგვარებლად მერია გამოიყენებს არაფულად სახსრებს, მოსაკრებლის გაუქმებას, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ მიწებს. თუმცა არ არის გამორიცხული, წარმოიშვას არასასურველი პროცესები, განსაკუთრებით მაშინ, თუ მოსახლეობის სხვა საცხოვრებელ ადგილებში გადაყვანა მასობრივ ხასიათს მიიღებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, არცთუ იშვიათად მობინადრეები ამჯობინებენ ადგილზე საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, ვიდრე ბინის გამოცვლას. ეს კი, ხშირ შემთხვევებში, კერძო სექტორის ეკონომიკური დაინტერესებიდან გამომდინარე, არსებული საცხოვრებელი ადგილებიდან ნაკლებად მიმზიდველ და დაბალფასიან, ქალაქის უფრო პერიფერიულ ტერიტორიებზე გადასვლას ნიშნავს; განსაკუთრებით იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალურ საკუთრებაში ძალზე მცირეა მიწის რესურსი, უმეტესად - ქალაქის ნაკლებად მიმზიდველ რაიონებში. ცენტრალურ ნაწილში მუნიციპალურ მფლობელობაში ცოტაა მიწის ნაკვეთები, მათზე მოთხოვნა საკმაოდ დიდია და კომერციული ინტერესიც, შესაბამისად, მაღალი.

უდავოდ პოზიტიურია ძველი უბნების რეაბილიტაციის სურვილი და ეკონომიკური თვალსაზრისით მათი გამოცოცხლება. თუმცა ამ დაპირებას არ ახლავს ფინანსურ-ეკონომიკური გაანგარიშება, ეტაპობრიობა და დროის პარამეტრები. უკიდურესად რთული წარმოსადგენია თბილისის ძველი უბნების სრული რეაბილიტაცია მერობის ერთ ვადაში. უცნობია, რა ეკონომიკური და ფინანსური მექანიზმებით უნდა წარიმართოს ეს პროცესი. ისევ და ისევ, ამ საკითხისადმი არასწორმა მიდგომებმა და მხოლოდ ეკონომიკურ ასპექტებზე ფოკუსირებამ, შეიძლება გამოიწვიოს არასასურველი სოციალურ-ეკონომიკური ძვრები, ისტორიული უბნების გადამეტებული კომერციალიზაცია, სოციალური შემადგენლობის ცვლილება, ძველ უბნებს გამოაცალოს ისტორიული, სოციალური და კულტურული ფასეულობა. ამ ნეგატიურ პროცესებს ჯენტრიფიკაცია ეწოდება და მისი თავიდან არიდება აუცილებელია. ძველი უბნების რეაბილიტაცია უნდა მიმდინარეობდეს ფაქიზი განახლების მეთოდებით, ეს ხანგრძლივი პროცესი მოითხოვს მულტიდისციპლინურ პროფესიულ მიდგომებს, ადგილობრივ პროცესებში მოსახლეობის აქტიურ მონაწილეობას მათი ინტერსების გასათვალისწინებლად და დასაცავად.

კახა კალაძე აპირებს შექმნას ძველი და ავარიული სახლების რეაბილიტაცია-ჩანაცვლების კონცეფცია. ამ პროცესში, მისი თქმით, მოსახლეობისა და კერძო სექტორის ინტერესები ჰარმონიულად უნდა იყოს დაცული. ამგვარი კონცეფციის საჭიროება მნიშვნელოვანია, ვინაიდან მხოლოდ დასახული სტრატეგიის

მიხედვით უნდა ხორციელდებოდეს მნიშვნელოვანი პროექტები. განსაკუთრებული კრიტერიუმებით უნდა შეფასდეს საცხოვრებელი ფონდი და მხოლოდ ამის შემდეგ განისაზღვროს ჩარევის საჭიროება თუ ფორმა. სახელისუფლებო კანდიდატი გამორჩეულ ყურადღებას უთმობს ამ პროცესებში ქალაქის ურბანული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინტერესებს შორის ბალანსის დაცვას.

კახა კალაძე ყურადღებას ამახვილებს სოციალურად დაუცველ მოქალაქეებზე. იგი აპირებს, გააგრძელოს ბინის ქირით მათი უზრუნველყოფა, მაგრამ გეგმავს ამგვარი მიდგომის ეტაპობრივად ჩანაცვლებას ბინათმშენებლობაზე გაწეული ხარჯით. თუ რა სქემებით წარიმართება მოსახლეობის ამ ჯგუფისთვის ბინათმშენებლობა, უფრო მეტ კონკრეტიკას საჭიროებს. საერთაშორისო პრაქტიკაში ამის სხვადასხვა მექანიზმი არსებობს და შესარჩევია ოპტიმალური მოდელი ადგილობრივი სოციალურ-ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე.

გიორგი ვაშაძე ქალაქის პერიფერიულ ტერიტორიაზე, თბილისის ზღვასა და აეროპორტს შორის კრიპტოინვესტიციებით მსოფლიოში პირველი ბლოკჩეინ-ქალაქის - ნიუ-სითის აშენების იდეას გვთავაზობს. კანდიდატის თქმით, ქალაქი იმუშავებს მზის ენერგიაზე და მას მოემსახურება მხოლოდ ელექტროტრანსპორტი. მთლიანად განახლებად ენერგიაზე მომუშავე ქალაქის აშენების მცდელობის პრეცედენტი უკვე არსებობს - ეს არის მასდარ-სიტი დუბაის მახლობლად, თუმცა ეს პროექტი ჯერჯერობით დაუსრულებელი და არასრულყოფილია. კანდიდატი აპირებს ყველა თბილისელს დაურიგოს კრიპტო-აქცია. ამას გარდა, უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქის პერიფერიის აუთვისებელი ტერიტორიის განვითარება უკიდურესად უარყოფით მოვლენად არის შეფასებული საერთაშორისო ქალაქგანვითარებაში სხვადასხვა მიზეზის გამო. ამას სუბურბანიზაცია ეწოდება და მისი თავიდან არიდება თანამედროვე პრაქტიკის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია. ახალი დასახლება არ წყვეტს ქალაქის განაშენიანებულ ნაწილში არსებული პრობლემების უმეტესობას, მეტიც, ხშირ შემთხვევაში წარმოშობს ახალს. გარდა ამისა, გიორგი ვაშაძე ახალ ქალაქს არ ანიჭებს საცხოვრებელ ფუნქციას; შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კანდიდატი საცხოვრებელი „კალათის" შექმნის პროცესში თემას მნიშვნელოვნად ასცდა, ვინაიდან პროგრამა არ მოიცავს საცხოვრებელთან და საბინაო საკითხებთან დაკავშირებულ მოსაზრებებს.

3 საარჩევნო პროგრამების მსგავსი პრიორიტეტები და ძირითადი განსხვავებები

ყველა კანდიდატი, რომლებმაც საცხოვრებელ საკითხზე თავ-თავის ხედვა წარმოადგინეს, ყურადღებას ამახვილებს ავარიული სახლების რეაბილიტაციასა და ჩანაცვლებაზე. ძირითადად, ასეთი სახლები ისტორიულ უბნებშია და, ცხადია, კანდიდატებიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ თბილისის ძველი უბნების რეაბილიტაციას. **ელენე ხოშტარია** რკინიგზის მიმდებარე საცხოვრებელ უბნებსა და მიტოვებულ მშენებლობებზე საუბრობს, ხოლო **ზაალ უდუმაშვილი** ე.წ. „ხრუშჩოვკების" ჩანაცვლებას აპირებს. ეს უკანასკნელი და **კახა კალაძე** მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის თემასაც ეხებიან.

ამის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ საცხოვრებლის საკითხი არ არის კომპლექსურად გააზრებული. ის ბევრად უფრო ფართოა, ვიდრე ეს პროგრამებშია წარმოდგენილი; გარდა ამორტიზებული საბინაო ფონდისა და სოციალურად დაუცველთათვის გარკვეულ ღონისძიებებზე საუბრისა, რაც, რა თქმა უნდა მნიშვნელოვანი და აუცილებელია, ვერ ვხედავთ საბინაო პოლიტიკის ფართო თვალთახედვას. არ არის ჩამოყალიბებული, როგორ წარმოუდგენიათ სამომავლოდ საცხოვრებელზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა თუ ხელშეწყობა. არ გვხვდება ამ მიმართულებით ფინანსურ, საგადასახადო და სხვა რეგულაციებზე მოსაზრებები, არ გვთავაზობენ მომავალში სოციალური საცხოვრებლის განვითარების იდეას, რაც დასავლეთის პრაქტიკულად ყველა განვითარებულ ქვეყანაშია დანერგილი. ეს საკითხები მართალია ცენტრალურ სახელისუფლო დონეზე უნდა იხილებოდეს, თუმცა შესაძლებელია გარკვეული ნაბიჯების მუნიციპალურ დონეზეც გადადგმა და საკითხების ინიცირება ცენტრალურ დონეზე განსახილველად.

საბინაო პოლიტიკის შემუშავება მთავრობის კომპეტენცია და პრეროგატივაა. ეს ხდება სტრატეგიის, კანონმდებლობისა და პროგრამების უზრუნველყოფით, რომლებსაც პირდაპირი ან ირიბი გავლენა აქვთ საცხოვრებლის მიწოდებასა და ხელმისაწვდომობაზე, საცხოვრებლის სტანდარტებსა და ურბანულ დაგეგმარებაზე. კანონმდებლობის მეშვეობით, არსებული რესურსები, საგადასახადო პოლიტიკა და საბინაო პოლიტიკა გავლენას ახდენს საბინაო ფასებსა და ხელმისაწვდომობაზე, ისევე როგორც ადეკვატური ქირავნობის ბაზრის არსებობაზე. საცხოვრებლის პოლიტიკას შედეგად მოაქვს ინვესტიციები სოციალურ საცხოვრებელში, დახმარება სხვადასხვა ტიპის ქირით საცხოვრებელზე ან საგადასახადო მიდგომები ქირით საცხოვრებლის უზრუნველყოფის მიზნით კერძო სექტორის წახალისებაში.

4 პროგრამული პრიორიტეტები და მათი გავლენა სხვადასხვა სფეროებზე

საცხოვრებელი პროექტების შექმნის „კალათა“ ერთგვარად ინფრასტრუქტურული პროგრამის ნაწილს წარმოადგენს, შესაბამისად, მნიშვნელოვანწილად ისეთივე ინტერაქციას ავლენს სხვა სექტორებთან, როგორითაც ინფრასტრუქტურული პროექტები გამოირჩევა. საცხოვრებელი სფერო დიდწილად დამოკიდებულია ისეთ სექტორებზე, როგორიცაა: თბილისის ეკონომიკური პოლიტიკა, ქალაქის მართვა, გარემოს დაცვა და ინფრასტრუქტურა. ჩვენი ანალიტიკური მიმოხილვის მეორე თავში უკვე შევეხეთ ჩამოთვლილ სფეროებთან საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფის პროექტების ძირითად ინტერაქციებს.

მნიშვნელოვანი ინტერაქცია გამოვლინდა ძველი უბნების რეაბილიტაციასა და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელს შორის. მეორე თავში უკვე ითქვა, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით მერიის მხრიდან რეაბილიტაციის პროგრამის წამოწყებამ შესაძლოა ერთგვარი მულტიპლიკაციის ეფექტი გამოიწვიოს და ეკონომიკური ცვლადები ზრდისკენ მიმართოს.

საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფის პოლიტიკა პირდაპირ და პოზიტიურ კორელაციაშია სოციალურ „კალათასთან“, რამდენადაც მოიცავს სოციალურად არცთუ დალხინებული მოსახლეობის მხარდაჭერას, მცხოვრებთა ბინის ქირით უზრუნველყოფას და გრძელვადიან პერსპექტივაში მათი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებას.

საცხოვრებელი ფართების პროექტების ზრდა შესაძლოა ნეგატიურ კორელაციაში აღმოჩნდეს ქალაქის მართვის კომპონენტთან, იმიტომ რომ ეს კომპონენტი გაზრდილ ბიუროკრატიულ გადასახადებს გულისხმობს. საბოლოო შედეგით კი ჩამოთვლილი პროექტების ალტერნატიულ დანახარჯს წარმოადგენს.

საარჩევნო პროგრამის ზეგავლენის შედარებითი შეფასება დროში 5

საცხოვრებელი პოლიტიკის წინასაარჩევნო პროექტები მეორე თავში დეტალურად არის აღწერილი, თუმცა მნიშვნელოვანია გამოვყოთ ამოცანის დროში გაწერის ასპექტი.

ელენე ხოშტარიას დაპირება ისტორიული უბნების სრული რეაბილიტაციის შესახებ არ არის გამყარებული კონკრეტიკით, ფინანსურ-ეკონომიკური გათვლებით და არც დროა მითითებული. როგორც უკვე აღვნიშნეთ, რთული წარმოსადგენია მერობის ერთ ვადაში ქალაქის ისტორიული უბნების სრული რეაბილიტაცია. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამების აღწერის რეკომენდაციაში კონკრეტული ინიციატივების დროითი ცვლადით შემოსაზღვრა მნიშვნელოვან კრიტერიუმად დასახელდა, კანდიდატმა ამ მიმართულებით კონკრეტიკისგან თავი შეიკავა. ამ პრობლემას **თენგიზ შერგელაშვილიც** ეხება, თუმცა დაპირებას, ტრადიციულად, არ ახლავს ფინანსურ-ეკონომიკური გაანგარიშება, ეტაპობრიობა და დროში ხედვა. ასევე უცნობია, რა ეკონომიკური და ფინანსური მექანიზმებით აპირებს კანდიდატი ამ პროცესის წარმართვას.

ტენდენციას აგრძელებს **თენგიზ შერგელაშვილის** პროექტი ავარიული შენობების პრობლემის მოგვარების შესახებ. ამ მიმართულებით დაპირებები საკმაოდ ზედაპირულია. არ არის მოცემული შენობების ზუსტი რაოდენობა, მათი ტექნიკური მდგომარეობის მიხედვით რანჟირება და მდებარეობები. გარდა ამისა, კანდიდატს არ აქვს აღწერილი, თუ როგორ უნდა წარიმართოს პროცესი და რა ვადებში უნდა აღმოიფხვრას ეს პრობლემა სრულად. **ზაალ უდუმაშვილის** „ხრუშჩოვკების“ დანგრევის და მათ ადგილზე ახალი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის პროექტიც ანალოგიური პრობლემის წინაშე დგას.

კახა კალაძის ორი დომინანტი პროექტი - ავარიული და ძველი შენობების რეაბილიტაციისა და ჩანაცვლების კონცეფცია და სოციალურად დაუცველი ან ავარიული სახლების ბინადართა ბინის ქირით უზრუნველყოფა - ნაწილობრივ მოიცავს ფინანსურ ელემენტს, თუმცა ვადები აქაც ბუნდოვანია.

გიორგი ვაშაძის ბლოკჩეინ-ქალაქის იდეა, თავის მხრივ, კონტექსტიდან გამომდინარე უკვე წარმოადგენს მაღალი რისკის შემცველ ამბიციურ პროექტს,

თუმცა ამას ერთვის ის ფაქტორიც, რომ ეს წინადადება მეტისმეტად დაშორებულია რეალობას და კონკრეტულ დროით დიაპაზონშიც ვერ იქნება გაწერილი.

როგორც ეს სხვა „კალათების“ შემთხვევაში გამოჩნდა, ვადების კონტექსტში დაგეგმვის კუთხით ძირითადი სურათი უცვლელია. კანდიდატთა უმრავლესობას არ აქვს წარმოდგენილი დეტალური ვადები, რის ფარგლებშიც უნდა განხორციელდეს ინიციატივები.

6 ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

- მოსაზრება, რომ სამშენებლო ბიზნესსა და ფინანსურ ინსტიტუტებთან ერთად შემუშავდება საცხოვრებელი ობიექტების მშენებლობის სტიმულირების პროგრამა, საჭიროებს მეტ დეტალიზაციას, კონკრეტულად რა მექანიზმები აქვს მხედველობაში კანდიდატს, რადგან ამაზეა დამოკიდებული შეფასება და ისიც, მრავალმხრივი ეკონომიკური და სოციალური გავლენები პოზიტიურია თუ ნეგატიური.
- პოზიტიურად შეიძლება შეფასდეს ისტორიული უბნებისადმი კანდიდატთა მიდგომები, რაც ითვალისწინებს ქალაქმშენებლობითი და არქიტექტურული რეგულაციებისა თუ პარამეტრების დადგენას, რათა რეაბილიტაციის პროცესი ჯანსაღად წარიმართოს.
- „ხრუშჩოვკებთან“ მიმართებით საჭიროა შემუშავდეს ისეთი მიდგომები, რომლებიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს მოსახლეობის ადგილზე დარჩენას, ორიენტირებული იქნება საცხოვრებელი გარემოს ადგილზე გაჯანსაღებაზე ქალაქგეგმარებითი პარამეტრების დაცვით. ასეთი სახლები მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება დაინგრეს.
- ავარიული სახლების რეაბილიტაციის პროცესი მოსახლეობისა და კერძო სექტორის ინტერესების ჰარმონიულობით უნდა წარიმართოს. ამისთვის საჭიროა ერთგვარი სტრატეგიული კონცეფციის შექმნა, რომლის მიხედვითაც უნდა ხორციელდებოდეს ასეთი ტიპის მნიშვნელოვანი პროექტები.

გარემოს დაცვა

ზოგადი შეფასება 1

1.1. პროგრამის პრიორიტეტები

გარემოს დაცვის „კალათის“ შეფასებისას აშკარაა, რომ აღნიშნული სფერო, განსხვავებით სხვა „კალათებისგან“, ინფორმაციული სიმწირით გამოირჩევა. თუმცა, მიუხედავად არასისტემური აღწერისა, შესაძლებელია გამოიკვეთოს კონკრეტული პრიორიტეტები, რომლებზეც მეტ-ნაკლებად ყველა პოლიტიკური აქტორი ლაპარაკობს. ზოგადი ანალიზიდან ჩანს, რომ კანდიდატები პასუხობენ ქალაქში არსებულ გამოწვევებს და საუბრობენ ერთიანი ურბანული ეკოსისტემის შექმნის აუცილებლობაზე. პროგრამების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა ისეთი კონკრეტული პრიორიტეტული მიმართულებები, როგორიც არის:

- კეთილმოწყობა და სარეკრეაციო ზონების მოწყობა;
- ქიმიური და ბიოგენური ტოქსიკური ელემენტებით ჰაერის დაბინძურების არგუმენტით ქალაქში მშენებლობის რეგულაციები;
- მუნიციპალური და კერძო სატრანსპორტო საშუალებების რეგულაციები;
- ნარჩენების მართვის სისტემის შექმნა.

აღსანიშნავია, რომ ჩამოთვლილ თემებზე სხვადასხვა პოლიტიკურ აქტორს განსხვავებული აქცენტები აქვს. შესაბამისად, ზოგიერთი კანდიდატის პროგრამაში ერთიანი ურბანული გეოეკოსისტემის ესა თუ ის კომპონენტია მიჩნეული პრიორიტეტულად და, როგორც წესი, ყველაზე მეტად აქცენტირებულიც. შესაბამისად, აღნიშნულ პროგრამებში განსხვავებული კატეგორიულობით არის გამახვილებული ყურადღება ქალაქში და მასთან უშუალოდ მიმდებარე ტერიტორიებზე გარემოს ამა თუ იმ გეოეკოლოგიურ პრობლემაზე.

1.2. პროგრამის მიზანი

თემატიკის სპეციფიკიდან გამომდინარე ცხადი ხდება, რომ გარემოს დაცვის „კალათის“ ძირითადი მიზანია ქალაქში არსებული გარემოს დაბინძურებისა და პრობლემური ეკოლოგიური სისტემის კომპლექსური ანალიზი და მოგვარება. კანდიდატები ამომრჩეველს სთავაზობენ როგორც მოკლევადიან მყისიერ პროექტებს, ისე გრძელვადიან კომპლექსურ გეგმას არსებული სიტუაციიდან თავის დასაღწევად.

თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მერობის კანდიდატებს არ გააჩნიათ საკმარისი და ზუსტი ინფორმაცია ქალაქ თბილისის ახლანდელ გეოეკოლოგიურ პრობლემებზე და ეს გარემოება წარმოაჩენს მათი პროგრამების ნაკლოვანებებს. მეტი სიცხადისთვის უმჯობესია, პროგრამების მიზნები თითოეული კანდიდატის მიხედვით განვიხილოთ.

ალექსანდრე ელისაშვილის მოწოდებულ პროგრამაში ძირითადი ყურადღება ექცევა ქალაქში მწვანე სივრცეების განვითარებასა და ყოფილი ინდუსტრიული

ტერიტორიების გამოყენებით დამატებითი რეკრეაციული სივრცეების შექმნას. ასევე გამახვილებულია ყურადღება ქალაქში მშენებლობის ხარისხისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ავტოპარკის გაუმჯობესების პირობებში ჰაერის დაბინძურების კონტროლის გაძლიერების აუცილებლობაზე. უნდა ითქვას, რომ ალექსანდრე ელისაშვილის პროგრამაში „კალათებით“ წინასწარ განსაზღვრული მიმართულებები მოწოდებულია ნაწილობრივ, ხოლო ზოგიერთი საკითხი მეორდება. ამასთან, კანდიდატის პროგრამა მეტისმეტად ზოგადია, არ სახავს კონკრეტულ მოკლევადიან ან გრძელვადიან გეგმებს და ამ გეგმების მიღწევის გზებს.

გიორგი ვაშაძის მოწოდებულ პროგრამაში გარემოსდაცვითი მიმართულებები ძალიან მოკლედ არის ჩამოთვლილი, მათ აკლია სისტემურობა. პროგრამაში საუბარია თანამედროვე და ინოვაციურ მიდგომებზე, რაც თავისი არსით მისასალმებელია ქალაქის განვითარებისთვის, მისი თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით. თუმცა, იმის გამო, რომ გარემოსდაცვითი საკითხები არ არის სრულფასოვნად აღწერილი, ძნელად შესაფასებელია, თუ რა დამოკიდებულება აქვს კანდიდატს მათ მიმართ.

კახა კალაძის მიერ მოწოდებულ პროგრამაში გარემოს დაცვის მიმართულებით გამოყოფილ საკითხთა შორის მიზნად არის დასახული თბილისის საზღვრებში არსებული რეკრეაციული სივრცეების გაფართოება-გაუმჯობესება და მათი აქტიურად ათვისება. საუბარია ქალაქის ირგვლივ არსებული ტყეების სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, ქალაქის გამწვანებისა და რეკრეაციული სივრცეების მასშტაბურ განვითარებაზე, აქცენტირებულია აღდგენილი და ახლო წარსულში თბილისსა თუ მის შემოგარენში არსებული ტყეების დაცვა-შენარჩუნება. პროგრამაში ასევე ყურადღება გამახვილებულია ნარჩენების მართვის პრობლემების მიმართულებით, ხოლო ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ჩასატარებელი სამუშაოების საკითხი ზოგადად არის განხილული. პროგრამა არ იძლევა ინფორმაციას პრობლემათა მოგვარების გზების შესახებ; ასევე არ არის მოწოდებული კონკრეტული რესურსები ან/და ვადები, რის ფარგლებშიც შესაძლებელი იქნება დასახული მიზნების მიღწევა.

არასაკმარისი ინფორმაციის გამო ვერ ხერხდება **კახა კუკავას** პროგრამის სრულყოფილი ანალიზი. მის მიერ მოწოდებულ პროგრამაში გარემოსდაცვითი საკითხები მოკლედ და არასრულადაა განხილული. კანდიდატის მტკიცებით, მისი არჩევის შემთხვევაში, „ყველა ავტომანქანა აღჭურვილი იქნება კატალიზატორით, ხოლო დამონტაჟების ხარჯებს დაფარავს თვითმმართველობის ბიუჯეტი“. პროგრამაში არ არის დაზუსტებული, რამდენად ხარჯთეფექტიანი იქნება ქალაქისთვის აღნიშნული პრობლემის ასეთი გზით მოგვარება. ასევე გაურკვეველია კანდიდატის მოსაზრება პროგრამაში მოკლედ ნახსენები რეკრეაციული ზონების მოწყობისა და მათი რაოდენობის 50 პროცენტით გაზრდის შესახებ.

ზაალ უდუმაშვილის პროგრამა ეხება ყველა მიმართულებას, რაც წინასწარ იყო განსაზღვრული „კალათებით“, თუმცა განხილულ საკითხებს აკლია სიღრმისეული აღწერა. კანდიდატის პრიორიტეტულ მიმართულებებად იკვეთება ჰაერის დაბინძურების პრობლემის გამოსწორება და მწვანე სივრცეების განვითარება, მათ შორის ახალი რეკრეაციული სივრცეების შექმნა, ყოფილი ინდუსტრიული ტერიტორიების ათვისების ხარჯზე. მოკლედ არის ნახსენები „წყლის დაბინძურების კონტროლი“ და „მდინარეების კალაპოტების დასუფთავება“. წყლის სისუფთავე მნიშვნელოვანი კომპონენტია ქალაქის ეკოსისტემაში ჯანსაღი არსებობისთვის, თუმცა სუფთა წყალზე წვდომის უზრუნველყოფა კომპლექსური საკითხია და ერთი წინადადებით ამ საკითხის გამოკვეთა არ არის საკმარისი. კანდიდატი ყურადღებას ამახვილებს რეგულაციებზე, რომლებიც შეეხება მუნიციპალურ

სატრანსპორტო საშუალებებს, თუმცა, რა ფინანსური სახსრებით და რა ვადებში განხორციელდება როტაცია, ამის შესახებ პროგრამის გარემოსდაცვით სეგმენტში ინფორმაცია არ მოიპოვება.

თამაზ შერგელაშვილის მიერ მოწოდებული პროგრამის გარემოსდაცვით ნაწილში, ზემოთ ჩამოთვლილი წინასწარ შერჩეული მიმართულებებიდან, ყურადღება ძირითადად გამახვილებულია ჰაერის დაბინძურების შემცირების, სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემების გაუმჯობესებაზე, აგრეთვე მწვანე სივრცეების განვითარების საკითხზე. პროგრამაში სათანადო ყურადღება ეთმობა ნარჩენების მართვის სისტემის გასაუმჯობესებლად ღონისძიებების გატარების აუცილებლობას, საზოგადოებრივი ცნობიერების დონის ამაღლებას, გარემოს დაცვის მიმართულებით სტანდარტებისა და ნორმატიული აქტების დანერგვის საჭიროებას. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაში ეს საკითხები არ არის განხილული სიღრმისეულად, რიგ საკითხებზე აქცენტი გადატანილია ნაკლებად პრობლემურ მიმართულებებზე, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს აღნიშნულ თემებზე საკმარისი ცოდნის ნაკლებობას. ამავე კანდიდატის პროგრამაში არ არის განხილული ბუნებრივი კატასტროფების პრევენციის აქტუალური საკითხი, რომლის ჩამოყალიბებული ხედვის არსებობაზეც დამოკიდებულია ქალაქის მოსახლეობის უსაფრთხოება და ურბანული ეკოსისტემის სიჯანსაღე.

ელენე ხოშტარიას მოწოდებულ პროგრამაში, სხვა რამდენიმე კანდიდატის მსგავსად, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებას და მწვანე სივრცეების განვითარებას, რაც შესაძლებელი იქნება საავტომობილო მოძრაობის განტვირთვის, საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარების, მშენებლობებზე მკაცრი კონტროლის, სარეკრეაციო სივრცეების მოწყობისა და განვითარების გზით. საერთო ჯამში, პროგრამას აკლია ინფორმაცია ისეთ მნიშვნელოვან გარემოსდაცვით საკითხებზე, როგორიც არის ბუნებრივი კატასტროფების პრევენცია და სანიაღვრე-საკანალიზაციო სისტემების მოწესრიგება. თავის მხრივ, კანდიდატი შეეხო საკმაოდ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიც არის ნარჩენების მართვა თანამედროვე მიდგომებით, სეპარაცია-რეციკლირების პრაქტიკის დანერგვის გზით და საცხოვრებელი სახლების ენერგოეფექტიანობის უზრუნველყოფა ენერგიის დაზოგვის მიზნით. აღნიშნული მიზნები მეტ-ნაკლები კონკრეტიკით გამოირჩევა. მაგალითად, საავტომობილო გზების განტვირთვის მიზნით პროგრამა, ერთი მხრივ, გვთავაზობს მკაცრ რეგულაციებს, ქალაქის ცენტრიდან რკინიგზის გატანას და აღნიშნულ ტერიტორიაზე ავტობანის მშენებლობას, ფეხით მოსიარულეთათვის გადასასვლელების, ველობილიკებისა და საფეხმავლო სივრცეების მოწყობას. მეტიც, აღნიშნული მიმართულებით პროგრამა კონკრეტულ მიზანს სახავს: ეს არის ათი წლის განმავლობაში მუნიციპალური ტრანსპორტის სრულად გადასვლა ეკოლოგიურად სუფთა საშუალებებზე. მეორე მხრივ, ნაკლები კონკრეტიკა ვლინდება ისეთი საკითხის მიმართ, როგორიცაა ნარჩენების მართვა და ამ მიმართულებით პრობლემის მოგვარების კონკრეტულ გზებზე არაფერია ნათქვამი.

მას შემდეგ, რაც მიმოვიხილეთ თბილისის მერობის ყველა კანდიდატის კონკრეტული მიზანი გარემოს დაცვის მიმართულებით, მნიშვნელოვანია გამოვარკვიოთ, თუ რამდენად შესაძლებელია აღნიშნული დაპირებების შესრულების ან ვერშესრულების კოეფიციენტის გაზომვა.

1.3. შედეგების შეფასების გაზომვადი ინდიკატორების არსებობა

კანდიდატთა პროგრამების ანალიზი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ის უნდა იძლეოდეს ინფორმაციას არა მხოლოდ ზოგადი პრიორიტეტებისა და მიზნების შესახებ, არამედ შეფასების პერსპექტივიდან ზომავდეს, რამდენად შესაძლებელია მისი მიღწევა.

გაანალიზების შედეგად გამოჩნდა, რომ რაოდენობრივი მეთოდოლოგიით გაზომვა მონაცემთა ნაკლებობის გამო პრობლემატურია. მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული პრიორიტეტების მიხედვით ამა თუ იმ პროექტის გაზომვა შეიძლება, ზოგადი სურათი მაინც შორს არის სტანდარტიზებული ინდიკატორების ჩამოყალიბებისგან.

მაგალითებად შეიძლება მოვიყვანოთ კანდიდატთა ისეთი პროექტები, როგორიც არის: ერთ სულ მოსახლეზე არსებული 3 კვ.მ მწვანე საფარის გაზრდა 12 კვ.მ-მდე (**ალექსანდრე ელისაშვილი**); 10 წლის ვადაში ბენზინსა და დიზელზე მომუშავე მუნიციპალური ტრანსპორტის ეკოლოგიურად სუფთა საშუალებებით ჩანაცვლება (**ელენე ხოშტარია**); ჰაერის ხარისხის შემფასებელი საზედამხედველო ქსელის შექმნა, რაც მინიმუმ ხუთი სადგურის დამატებას გულისხმობს (**თენგიზ შერგელაშვილი**). ეს პროექტები მოიცავს კომპონენტებს, რომელთა დათვლაც შესაძლებელია. ამავდროულად, აღნიშნული პროექტები კანდიდატთა პროგრესულობის ერთგვარი ინდიკატორია. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ „კალათის“ ამ სეგმენტის ანალიზის დათვლა შესაძლებელია, პროექტების ხარჯთაღრიცხვა გამოკვეთილად არ არის ნაჩვენები, რაც, თავის მხრივ, დაბრკოლებაა გაზომვის პროცესში. ზოგადად რთულია თვლადი ინდიკატორების ჩამოყალიბება, სტანდარტიზაცია და პროექტის ფარგლებში განზოგადება არასრული ინფორმაციისა და ზოგ შემთხვევაში პროგრამებში საკითხის არასრულად გაანალიზების გამო. არცთუ იშვიათად, პრობლემების მოგვარების წინადადებები ლოზუნგების ფორმას იღებს, ამიტომაც კონკრეტული ხედვის, განხორციელების გზებისა და მიღებული შედეგების გაზომვა შეუძლებელია.

ზოგადი ანალიზიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გარემოს დაცვის „კალათისთვის“ შედეგების შეფასების სტანდარტიზებული გაზომვადი ინდიკატორები დეფიციტს წარმოადგენს.

2 კანდიდატთა საარჩევნო პროგრამების პრიორიტეტები და მათი შეფასება

2.1. „კალათის“ ამოცანები, განხორციელების გზები

თბილისის მერობის კანდიდატთა პროგრამებში მოცემული გარემოსდაცვითი კომპონენტების შეფასებები, მათთან დაკავშირებული საკითხების აქტუალობა და ყოვლისმომცველობა, მათი გადაჭრა-განხორციელების მიზნით შემოთავაზებული გზების გათვალისწინებით, გარკვეულწილად მოკლებულია დამაჯერებლობას. შესაბამისად, რიგ შემთხვევებში, ამ მიზნების მიღწევა ნაკლებად შესაძლებელია.

უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა კანდიდატის პროგრამაში მეტ-ნაკლებად არის წარმოდგენილი ინფორმაცია ეკოლოგიურ საკითხებზე და მითითებულია მათი მოგვარების აუცილებლობაზეც. თუმცა გარემოსდაცვითი საკითხების განხილვის დროს არცერთ კანდიდატს ჯეროვნად არ აქვს გათვლილი სიძნელეები, რასაც მათი გადაჭრისას წააწყდება ქალაქის მოსახლეობა და მმართველობა ამჟამად არსებულ პირობებში (კერძო საკუთრების საკითხი, ქალაქის ინტენსიური განაშენიანება, კვალიფიციური კადრების ნაკლებობა, ქალაქის ბიუჯეტის შესაძლებლობები და ა.შ.).

2.2. „ᲙᲐᲚᲐᲗᲐᲨᲘ“ ᲬᲐᲛᲝᲭᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲡ ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲝᲑᲐ

ორ კომპონენტზეა დამოკიდებული „კალათაში“ წამოჭრილი საკითხების აქტუალურობა. ერთი მხრივ, კონკრეტული პოლიტიკური ერთეული და მისი ლიდერი რომელიმე საკითხს წარმოაჩენენ როგორც პრობლემას. პოლიტიკური პარტია ან/და კანდიდატი შესაძლოა დაეყრდნოს სხვადასხვა წყაროს. მაგალითად, პროგრამაში ვკითხულობთ, რომ ევროპულ ქვეყნებთან შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა ერთ სულ მოსახლეზე არსებული მწვანე ნარგავების საშუალო სიდიდის დეფიციტი. მნიშვნელოვანია საერთაშორისო რეიტინგებისა და ადგილობრივი კვლევების როლიც. აღნიშნულ წყაროზე დაყრდნობით პროგრამები ადგენენ პრობლემატური საკითხების აქტუალურობის დონეს. მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია პოტენციური ამომრჩევლის პოზიცია, რომელიც, თავის მხრივ, ეხმარება პოლიტიკურ პარტიებს დაანახოს, რამდენად მნიშვნელოვანია ამ საკითხის აქტუალურობა. პროგრამებში ცალსახად ვერ ვხედავთ მითითებას იმის შესახებ, რომ კონკრეტული პროექტი ნაკარნახევია ამომრჩევლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, თუმცა ეს საკითხი დოკუმენტებს ძირითად ლაიტმოტივად გასდევს.

2.3. ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲝᲑᲐ

საარჩევნო სისტემაზე დამოკიდებულ რეჟიმებში პოლიტიკურ პარტიათა მანიფესტების ანალიზისას კანდიდატები ხშირად დგანან ისეთი ცდუნების წინაშე, როცა დანაპირების ხარისხი მისი შესრულების პირობების ასიმეტრიულია.

ალექსანდრე ელისაშვილის პროგრამა, ერთი მხრივ, მოიცავს რეალისტურობის ელემენტებს, თუმცა ძნელი სათქმელია, არსებული ბიუჯეტის პირობებში, რამდენად შეძლებდა კანდიდატი ეკოსისტემის გასაუმჯობესებელი პროექტების განხორციელებას - პროგრამაში არც ხარჯის და არც სარგებლის ანალიზი არ არის ნაჩვენები. რეალობას საგრძნობლად მოკლებულია კანდიდატ **კახა კუკავას** პროგრამის გარემოსდაცვითი სეგმენტი. პროგრამაში ყოველგვარი ხარჯთეფექტიანობის ანალიზის გარეშე ვკითხულობთ, რომ კატალიზატორების სისტემის დამონტაჟება ავტომფლობელებს ქალაქის ბიუჯეტიდან აუნაზღაურდებათ, ამასთან, სახელმწიფო შესყიდვები მხოლოდ ელექტროავტომობილებზე გამოცხადდება.

უნდა აღინიშნოს **ელენე ხოშტარიას** და **თენგიზ შერგელაშვილის** პროგრამების გარემოსდაცვითი ნაწილის თანამიმდევრულობა. თუმცა აქვე უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ რთულია სრულფასოვნად შეფასდეს, რამდენად რეალისტურია წარმოდგენილი თვალთახედვა. მით უმეტეს, რომ პროექტების ბიუჯეტთან ავთენტურობის დადგენა შეუძლებელია.

მმართველ პარტიასთან დაკავშირებულ მოლოდინებს ვერ აკმაყოფილებს **კახა კალაძის** პროგრამის გარემოსდაცვითი ნაწილი. საბიუჯეტო დანახარჯების შესახებ არსებული ინფორმაციის მიუხედავად, მანიფესტის ეს სეგმენტი მწირია. „დაინერგება ჰაერის დაბინძურების მონიტორინგის ქმედითი სისტემა", „დაიხვეწება ნარჩენების მართვისა და გადამუშავების სისტემა" - ამგვარი საპროგრამო წინადადებები ლოზუნგურ ფორმებს იღებს და დანახარჯისა თუ ბენეფიტის ანალიზს მოკლებულია. აქედან გამომდინარე, რთულია რეალისტურობის დონის ანალიზი.

ზაალ უდუმაშვილის პროგრამაში ამ სექტორის შესახებ ბევრი არაფერია ნათქვამი და, ცხადია, არც ის ჩანს, რამდენად რეალისტურია მისი პროექტის განხორციელება.

3 საარჩევნო პროგრამების მსგავსი პრიორიტეტები და ძირითადი განსხვავებები

3.1. ამოცანებისა და პრიორიტეტების მსგავსება

აღსანიშნავია, რომ 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, თბილისის მერობის კანდიდატთა წინასაარჩევნო აგიტაციის პერიოდში, გარემოსდაცვითი საკითხები საკმაოდ აქტიურად განიხილებოდა და კანდიდატთა უმრავლესობა ეკოლოგიურად ჯანსაღი ურბანული გარემოს აუცილებლობაზე საუბრობდა. ამას მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა გასულ წლებში გარემოსდაცვით საკითხებზე წარმოქმნილი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი, მათზე ამომრჩეველთა მოთხოვნა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კანდიდატთა მოწოდებულ პროგრამებში ყურადღება ძირითადად გამახვილებულია ერთსა და იმავე ან მსგავს მიმართულებებზე - ჰაერის ხარისხი, მწვანე სივრცეების მოვლის და/ან გაფართოების აუცილებლობა, მშენებლობებისა და ტრანსპორტის რეგულაციები. პროგრამებში მოცემული გარემოსდაცვითი საკითხების ლიმიტირება ძირითადად ორი მიმართულებით (ჰაერის დაბინძურება და მწვანე სივრცეების განვითარება) საკმარისი არ არის ქალაქის გარემოსდაცვით პრობლემებზე საუბრისას.

მერობის კანდიდატთა მიერ მოწოდებულ გარემოსდაცვით პროგრამებს ზოგადად აკლია მათში განხილულ გარემოსდაცვით საკითხთა სიღრმისეული აღწერა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მათი არსი და მნიშვნელობა კანდიდატებს სათანადოდ არ აქვთ გააზრებული.

3.2. ამოცანებისა და პრიორიტეტების განსხვავებები

გარემოსდაცვით საკითხებზე მერობის კანდიდატთა მოწოდებული პროგრამები სიღრმისეულად არ განსხვავდება ერთმანეთისგან. აღსანიშნავია, რომ წინასაარჩევნო პერიოდში კანდიდატები ცდილობდნენ, თავიანთი გარემოსდაცვითი კონცეფცია ჩამოეყალიბებინათ აქამდე ქალაქში არსებული გარემოსდაცვითი

პრობლემების გათვალისწინებით, ამ მიმართულებით დაგროვილი ცოდნისა და ინფორმაციის გამოყენებით. მერობის კანდიდატები სწორედ ამგვარ ინფორმაციაზე დაყრდნობით ცდილობდნენ პროგრამების შემუშავებასა და შემდეგ ქალაქის გარემოსდაცვით პრობლემებზე განცხადებების გაკეთებას. ვფიქრობთ, წინასაარჩევნოდ კანდიდატთა მზადების მსგავსი მიდგომა უნდა გაგრძელდეს და დაიხვეწოს. ამის მიღწევა კი შეიძლება გარემოსდაცვით პრობლემებზე არსებული ინფორმაციის გაანალიზებისა და მუდმივი მონიტორინგის საფუძველზე.

ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲣᲚᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲡᲤᲔᲠᲝᲔᲑᲖᲔ 4

ცნობილია, რომ ეკოლოგიური პრობლემების მოგვარება გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სექტორსა და სფეროზე. ჯანსაღი გარემო ხელს უწყობს მოსახლეობის გაჯანსაღებას, პროდუქტიულობის ზრდას, ქმნის მუშაობისთვის ესთეტიკურად და პრაქტიკულად სასიამოვნო გარემოს. საცხოვრებლად კომფორტული გარემო ხელს უწყობს ჯანსაღი ადამიანური კაპიტალის განვითარებას, რაც განაპირობებს საქალაქო ეკონომიკური და სოციალური ფუნქციების განვითარებას, მაღალკონკურენტული გარემოს შექმნას, ტურიზმის განვითარებასა და ქალაქის ზოგადი იმიჯის გაუმჯობესებას, შესაბამისად - სხვადასხვა სახის ბიზნესისა და ინვესტორებისთვის მიმზიდველი სამუშაო თუ საცხოვრებელი გარემოს შექმნას და განვითარების პროცესის მდგრადობას.

საკმარისი არ არის, რომ მერობის კანდიდატებმა პროგრამებში ყურადღება მხოლოდ პოპულარულ ეკოლოგიურ მიმართულებებზე გაამახვილონ; მათ სიღრმისეულად უნდა ესმოდეთ ურბანული ეკოლოგიური ჯაჭვის არსი და გარემოსდაცვითი საკითხების ურთიერთკავშირის მნიშვნელობა.

ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲖᲔᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ ᲓᲠᲝᲨᲘ 5

კანდიდატთა პროგრამების ნაწილში ნაჩვენებია დროითი დიაპაზონი, როგორც პრობლემის მოგვარების შემომსაზღვრელი, მაგრამ, ამის მიუხედავად, ეს დიაპაზონი არარეალისტურია. მაგალითად: ათი წელია განსაზღვრული მუნიციპალური ტრანსპორტის ეკოლოგიურად სუფთა საშუალებებზე გადასვლისთვის (**ელენე ხოშტარია**) და ოცი წელიწადი - დენდროლოგიური გეგმის შესადგენად (**ალექსანდრე ელისაშვილი**). მიუხედავად ამ ჩანასახოვანი მაჩვენებლებისა, მოწოდებულ პროგრამებში არ არის მითითებული დასახული პრობლემების გადაჭრისთვის

აუცილებლად საჭირო კონკრეტული დრო და საბიუჯეტო თანხები. ცნობილია, რომ ქალაქის მერი ოთხი წლის ვადით ირჩევა. თბილისისთვის დამახასიათებელი ზოგიერთი ეკოლოგიური პრობლემის (მაგ. მდინარე მტკვრის დაბინძურება ფეკალური წყლებით, ძლიერი წყალმოვარდნების პრობლემა, სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია და ა.შ.) მოგვარება კი დიდ ფინანსურ დანახარჯებს და საკმაოდ ხანგრძლივ დროს მოითხოვს, რაც მერობის არცერთი კანდიდატის პროგრამაში გათვალისწინებული არ არის.

6 ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

- მოწოდებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე აშკარად ჩანს, რომ გარემოსდაცვითი საკითხები პრიორიტეტულია, თუმცა ყველა კანდიდატის პროგრამაში მათ აკლია სისტემური და სიღრმისეული გააზრება. გასათვალისწინებელია, რომ ქალაქი კომპლექსური ეკოსისტემაა, ის წარმოადგენს ანთროპოგენური და ბუნებრივი გარემოს სინთეზს.
- რეკომენდაციის სახით უნდა ითქვას, რომ ქალაქის გარემოსდაცვითი საკითხების განხილვა და მართვა უნდა მიმდინარეობდეს კომპლექსურად, გარემოს ყველა კომპონენტის, მათ შორის - მეწყრული და ძლიერი წყალმოვარდნების, ფეკალური წყლების, მყარი და ქიმიური ნარჩენებისა და სხვა პრობლემების აუცილებელი გათვალისწინებით.
- მერობის კანდიდატთა მოწოდებულ პროგრამებში ძნელად შესამჩნევია სიღრმისეული განსხვავებები გარემოსდაცვით საკითხებზე, რაც, ჩვენი მოსაზრებით, ამ უაღრესად მნიშვნელოვანი კომპონენტის შესახებ არასაკმარისი ინფორმირებულობით არის გამოწვეული.
- რეკომენდაციის სახით უნდა ითქვას, რომ მერობის კანდიდატების მხრიდან გარემოსდაცვით მიმართულებებზე შესაბამისი ცოდნა და თვალთახედვის არსებობა მნიშვნელოვანია. აუცილებლად საჭიროა აგრეთვე პრობლემების ყოვლისმომცველი გააზრება და არავითარ შემთხვევაში - ზედაპირული მსჯელობა პოპულარულ თემებზე.
- მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატები სრულად იაზრებდნენ თბილისისთვის დამახასიათებელი ეკოლოგიური პრობლემების მთელ სირთულეს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ კანდიდატთა უმრავლესობა თავს არიდებს მსჯელობას ისეთ პრობლემებზე, რომელთა გადაწყვეტაც, არჩევის შემთხვევაში, განსაზღვრულ ვადებში ხელშესახებ შედეგებს არ მოიტანს. ამიტომაც საჭიროა როგორც პრობლემების გააზრება, ისე სათანადო ლიდერული მიდგომა, რაც ურთულესი ეკოლოგიური საკითხების მოგვარების ათვლის წერტილად იქცევა.
- მისასალმებელია, რომ 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინა პერიოდში გარემოსდაცვითი საკითხები, ადრინდელთან შედარებით, უფრო აქტიურად განიხილებოდა. სასურველია, ეს ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდეს.

კულტურა,
სპორტი და
ახალგაზრდობა

ზოგადი შეფასება 1

1.1. პროგრამის პრიორიტეტები

თბილისის მერობის კანდიდატებს ალექსანდრე ელისაშვილსა და კახა კუკავას საკუთარ საარჩევნო პროგრამებში არ აქვთ წარმოდგენილი თავიანთი თვალთახედვა კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საკითხებზე. შესაბამისად, უცნობია მათი პრიორიტეტები ამ მიმართულებით. ამიტომ ამ თავში წარმოდგენილია ელენე ხოშტარიას, თენგიზ შერგელაშვილის, კახა კალაძის, გიორგი ვაშაძისა და ზაალ უდუმაშვილის საარჩევნო პროგრამებში კულტურასთან, სპორტთან და ახალგაზრდობასთან დაკავშირებული ამოცანები და მათი განხორციელების გზები.

ელენე ხოშტარიას პროგრამის ამოცანები:

1. ძველი თბილისის რეაბილიტაცია;
2. საბჭოთა კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაცია და ტურისტულ ღირსშესანიშნაობად გადაქცევა;
3. სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების ფუნქციონირების გაუმჯობესება.

ელენე ხოშტარიას პროგრამული ამოცანების განხორციელების გზები: კანდიდატი ფიქრობს, რომ ძველი თბილისის რეაბილიტაციით და სხვა მრავალი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებით მრავალი კულტურული ძეგლის შენარჩუნებაა შესაძლებელი. კანდიდატის პროგრამაში განსაკუთრებით ხაზგასმულია თბილისის მასშტაბით საბჭოთა ოკუპაციის უარყოფითი მემკვიდრეობის წარმოჩენის მნიშვნელობა. ამ მიზნით იგი აპირებს იმ შენობების რეაბილიტაციას, სადაც ცხოვრობდნენ და სამსახურებრივ საქმიანობას ეწეოდნენ ქართველი ოფიცრები, საჯარო მოხელეები და ანტიკომუნისტური მოძრაობის წევრები. აღსადგენია ასევე შენობები, სადაც „ჩეკა“ ასამართლებდა საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ ქართველ აქტივისტებს. ცალკე გამოიყოფა „ჩეკას“ მაშინდელი სათავო ოფისი ინგოროყვას ქუჩაზე.

კანდიდატის აზრით, ადგილობრივი და უცხოელი ტურისტების ყურადღების მისაპყრობად აუცილებელია იმ ადგილების რეაბილიტაცია, მარკირება და მემორიალის სტატუსის მინიჭება, სადაც ხალხს მასობრივად ხოცავდნენ და აღმოჩენილია მათი საფლავები (მაგალითად, ვაკის პარკი და თბილისის გარეუბნები რუსთავის გზაზე).

კანდიდატის დათვლით, თბილისის ბიუჯეტიდან სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის განვითარებას, სპორტულ-რეკრეაციული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას 20 მილიონ ლარამდე ხმარდება. ამ თანხის დიდი ნაწილი ისევ ბიუროკრატიის შესანახად იხარჯება, ხოლო ნაწილი უბრალოდ იფლანგება მმართველი გუნდის პარტიული ღონისძიებების ჩასატარებლად და „ქართულ ოცნებასთან“ დაახლოებული ჯგუფების, მათ შორის, ძალისმიერი მეთოდების მომხრე ახალგაზრდების წასახალისებლად. „ევროპული საქართველო“ მნიშვნელოვნად შეამცირებს ბიუროკრატიულ ხარჯებს, ხოლო ძირითადი თანხით გეგმავს:

- მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მოწყობას ყოველ უბანსა და ეზოში;
- სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელის შეწყობას უნივერსიტეტებთან, სკოლებთან და ბიზნესთან მჭიდრო თანამშრომლობით;
- სამოქალაქო აქტივობისა და განათლების წახალისებას;
- სარეკრეაციო და გასართობი ზონების მოწყობას;
- ველობილიკებისა და საფეხმავლო სივრცეების მოწყობას.

აღნიშნული ამოცანების გადაჭრის პროცესში კანდიდატი აპირებს მჭიდროდ ითანამშრომლოს ბიზნესსექტორთან და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან.

ელენე ხოშტარიას პროგრამის სრულყოფილებისა და რეალისტურობის შეფასება: კანდიდატის ხედვა სრულად არ მოიცავს კულტურის სფეროში ყველა მნიშვნელოვან ასპექტს. ზოგად კონტექსტშია ნახსენები ძველი თბილისის რეაბილიტაცია. ყურადღება ძირითადად გამახვილებულია საბჭოთა წარსულთან დაკავშირებული ძეგლების მარკირებასა და რეაბილიტაციაზე. ყველა სხვა ასპექტი, კულტურასთან დაკავშირებული და მუნიციპალიტეტის კომპეტენციაში შემავალი, ყურადღების მიღმაა დატოვებული. აღნიშნული საკითხები განსაზღვრულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლით: „ადგილობრივი თვითმყოფადობის, შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება; ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ბიბლიოთეკების, საკლუბო დაწესებულებების, კინოთეატრების, მუზეუმების, თეატრების, საგამოფენო დარბაზებისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ახალი ობიექტების მშენებლობა“.

ასევე ზოგადი და არასრულყოფილია სპორტთან და ახალგაზრდობასთან დაკავშირებული საკითხები; ძირითადად ყურადღება გამახვილებულია აღნიშნული პრიორიტეტის დაფინანსების ხარვეზებზე და საკითხის პოლიტიკურ მხარეზე. პროგრამაში არ არის წარმოდგენილი დათვლადი ინდიკატორები, რომლებიც საშუალებას მოგვცემდა შეგვეფასებინა და გაგვეზომა ამ პროგრამის წარმატება.

თენგიზ შერგელაშვილის პროგრამის ამოცანები:

1. ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება ახალგაზრდებში;
2. ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური მომზადების დონის ამაღლება და მათი ჩართვა მასობრივ სპორტში;
3. ბიბლიოთეკების მოდერნიზაცია.

თენგიზ შერგელაშვილის პროგრამული ამოცანების განხორციელების გზები: კანდიდატი მიიჩნევს, რომ მომავალი თაობების ჯანმრთელობის გაუმჯობესების, მავნე ჩვევებისადმი მიდრეკილების შემცირებისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისთვის თბილისის მერიის ხელშეწყობით სპორტის გუნდურ სახეობებში შეიქმნება სასკოლო ლიგები და გაიმართება სკოლებს შორის ჩემპიონატები. ბიბლიოთეკების მოდერნიზაციის მიზნით თბილისის მერიის ბალანსზე არსებული ბიბლიოთეკები რეორგანიზაციის შედეგად გარდაიქმნება მედიათეკებად, სადაც წიგნის კითხვასთან ერთად ახალგაზრდებს ექნებათ შესაძლებლობა, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მიიღონ ის კულტურული და სულიერი საზრდო/პროდუქტი (ელექტრონული წიგნი, კინო, მუსიკა და სხვ.), რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნებისმიერი ახალგაზრდის ცხოვრებაში.

თენგიზ შერგელაშვილის პროგრამის სრულყოფილებისა და რეალისტურობის შეფასება: კანდიდატის პროგრამაში არ არის კონცეპტუალური თვალთახედვა კულტურის განვითარების მიმართულებით. სპორტი მოიცავს მხოლოდ სასკოლო

ჩემპიონატების ჩატარებას, რაც ვერ უზრუნველყოფს დასახული ამოცანების რეალიზებას; ბიბლიოთეკების მოდერნიზების გეგმა ზოგადია, თუმცა რეალისტური, შეესაბამება მუნიციპალიტეტის კომპეტენციებს და იმავდროულად, კარგად ასახავს ბიბლიოთეკების მოდერნიზების თანამედროვე ტენდენციებს. შედარებით ნაკლებად არის წარმოდგენილი დათვლადი ინდიკატორები, რომლებიც საშუალებას მოგვცემდა შეგვეფასებინა და გაგვეზომა ამ პროგრამის წარმატება.

კახა კალაძის პროგრამის ამოცანები:

1. ქალაქის ბრენდირება და შემოქმედებითი საწარმოების განვითარება;
2. ახალგაზრდული და ღია სივრცეების განვითარება;
3. ქართული ფოლკლორის პოპულარიზაცია;
4. ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია.

კახა კალაძის პროგრამული ამოცანების განხორციელების გზები: კანდიდატი საკუთარი ამოცანების რეალიზებისთვის ხელს შეუწყობს შემოქმედებითი საწარმოების შექმნასა და განვითარებას, ქალაქის ბრენდირებაში მეწარმეებისა და შემოქმედებითი სფეროს წარმომადგენლების ჩართვას, თბილისის სუვენირების პაკეტის დახვეწას, ხელნაკეთი ნივთების წარმოებას და თბილისის ქუჩების მოდერნიზებაში ახალგაზრდების ჩართვას (street art).

შექმნის შესაბამის პროგრამებს, რომელთა ფარგლებშიც თბილისი უმასპინძლებს მუსიკალურ, თეატრალურ და კინოფესტივალებს. განხორციელდება პროექტი - Tbilisi Standing Performance, რომლის ფარგლებშიც ქართული ფოკლორის პოპულარიზაციის მიზნით გაიმართება მუდმივი, ყოველდღიური წარმოდგენები ნიუ-იორკის, ვენისა და სხვა დიდი ქალაქების მაგალითზე.

ამ პროგრამების ფარგლებში შეიქმნება ახალგაზრდული ცენტრები და ღია სივრცეები თბილისის ყველა რაიონში. ახალგაზრდულ ცენტრებში გაერთიანდება შემეცნებითი, დასასვენებელი, გასართობი და მასობრივი სპორტის სივრცეები - აუზით, ფიტნესდარბაზით, დარბაზებით სპორტის სხვადასხვა სახეობისთვის, კალათბურთისა და ფეხბურთის მოედნებით. ღია სივრცეებში შესაძლებელი იქნება სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო აქტივობის დაგეგმვა, დასვენება, კულტურულ-შემოქმედებითი საღამოების, საჯარო ლექციებისა და სემინარების ორგანიზება, კომერციული ინიციატივების დაგეგმვა და განხორციელება. გლდანის რაიონში, ყოფილი რადიოქარხნის ტერიტორიაზე მოეწყობა კულტურულ-გასართობი ცენტრი - „რადიოქალაქი“, რომელიც გააერთიანებს კულტურულ, სპორტულ, საგამოფენო, გასართობ, რეკრეაციულ და კომერციულ სივრცეებს, კინოდარბაზებს, საბავშვო სათამაშო მოედნებსა და მედიათეკას. უზრუნველყოფილი იქნება სხვადასხვა სახის სასკოლო, საუნივერსიტეტო და საქალაქო პირველობების ორგანიზება.

ყველა ზომა იქნება გამოყენებული ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის ჯანსაღი ქალაქების ქსელში თბილისის გასაწევრიანებლად, რისთვისაც შეიქმნება მზრუნველი გარემო თითოეული მოქალაქისთვის, დაინერგება ჯანსაღი ცხოვრების წესი და განვითარდება ჯანსაღი ურბანული გარემო.

კახა კალაძის პროგრამის სრულყოფილებისა და რეალისტურობის შეფასება: პროგრამა მოიცავს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის თითქმის ყველა ასპექტს, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს ორგანული კანონით - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“. პროგრამის „კალათის“ პრიორიტეტების განსახორციელებლად აღწერილი ღონისძიებები რეალისტურია და შეესაბამება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელისუფლებების კომპეტენციასა და საქმიანობის ფორმებს. თუმცა აღწერილი აქტივობების შედეგები ნაკლებად დათვლადია.

ზაალ უდუმაშვილის პროგრამის ამოცანები:

1. ტურისტულად მიმზიდველი მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება;
2. ღამის ეკონომიკის განვითარება;
3. ახალგაზრდა ხელოვანთა პოპულარიზაცია და მხარდაჭერა;
4. კულტურისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის კავშირების გაძლიერება;
5. საერთაშორისო ფესტივალების დაფუძნება;
6. სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება.

ზაალ უდუმაშვილის პროგრამული ამოცანების განხორციელების გზები: კანდიდატი საკუთარი ამოცანების პრაქტიკაში რეალიზების მიზნით, გარდა „თბილისობისა“ და ახალი წლის ღონისძიებებისა, დამატებით რამდენიმე სიახლის დანერგვას გეგმავს როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ისე ტურისტებისთვის. ეს თბილისელებს მისცემს საშუალებას, გაუჩნდეთ დამატებითი შემოსავალი.

კანდიდატი შესაბამისი პროგრამის ფარგლებში ხელს შეუწყობს ქალაქში ღამის ეკონომიკის განვითარებას, რომელიც ორიენტირებული იქნება როგორც ტურისტებზე, ისე ადგილობრივ მოსახლეობაზე.

აქტიურად ითანამშრომლებს ახალგაზრდა ხელოვანებთან, როგორც მათი შემოქმედების, ისე ხელოვნების სხვადასხვა დარგის პოპულარიზაციის მიზნით.

გეგმავს თეატრებს, მუზეუმებს, ასევე სხვა კულტურის ცენტრებსა და ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის დაწესებულებებს შორის კავშირის წახალისებასა და აქტიური თანამშრომლობის უზრუნველყოფას.

თბილისი უმასპინძლებს საერთაშორისო ფესტივალებს კინოხელოვნების, მუსიკალური, მწერლობის, სახვითი ხელოვნებისა და სხვა დარგების პოპულარიზაციის მიზნით. იგეგმება კერძო სექტორის ჩართვის წახალისება აღნიშნული მიმართულებით.

სპორტული ინფრასტრუქტურა შეიქმნება განსაკუთრებით იმ რაიონებში, სადაც მშობელი მოკლებულია შესაძლებლობას, ბავშვი სახლთან ახლოს რომელიმე სპორტულ წრეზე ატაროს. აშენდება ახალი სტადიონები, ხოლო უკვე არსებული სტადიონები და სპორტული მოედნები განახლდება. შეიქმნება ახალი ველობილიკები და საფეხმავლო ბილიკები, განვითარდება ახალი ტურისტული მარშრუტები.

ზაალ უდუმაშვილის პროგრამის სრულყოფილებისა და რეალისტურობის შეფასება: პროგრამა მოიცავს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საკითხების ნაწილს, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს ორგანული კანონით - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“. პრიორიტეტების განსახორციელებლად აღწერილი ღონისძიებები რეალისტურია და შეესაბამება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელისუფლებების კომპეტენციასა და საქმიანობის ფორმებს. თუმცა აღწერილი აქტივობების შედეგები ნაკლებად დათვლადია და მეტისმეტად ზოგადი ხასიათისაა.

გიორგი ვაშაძის პროგრამის ამოცანები:

თბილისის პოლიტიკური და კულტურული ლიდერის ფუნქციის აღდგენა რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე.

გიორგი ვაშაძის პროგრამული ამოცანების განხორციელების გზები: კანდიდატს აქვს მკაფიოდ გამოხატული ამოცანა და პრიორიტეტი. გიორგი ვაშაძის აზრით:

კულტურული მემკვიდრეობა არის ჩვენი დღევანდელობა და მომავლის საფუძველი, მრავალფეროვნება და კულტურათა დიალოგი კი - უმთავრესი პრიორიტეტი; თბილისის ისტორიული ფუნქცია არის ხიდი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის; უნდა შეიქმნას თანამედროვე ხელოვნების ცენტრი, რომელიც უმასპინძლებს ბიენალეებს, გამოფენებს, კონცერტებს; თბილისი ცნობილი უნდა იყოს როგორც ევროპაში ყველაზე ბევრი საფეხმავლო ქუჩის მქონე ძველი ქალაქი; თბილისმა მთელი წლის განმავლობაში უნდა უმასპინძლოს სპორტისა და ტურიზმის სფეროში საერთაშორისო მასშტაბის ღონისძიებებს.

გიორგი ვაშაძის პროგრამის სრულყოფილებისა და რეალისტურობის შეფასება: პროგრამა მოიცავს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საკითხების მცირე ნაწილს, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს ორგანული კანონით - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“. დასმულია ერთი, მაგრამ მსხვილმასშტაბიანი პრიორიტეტი, რომლის განსახორციელებლად აღწერილი ღონისძიებები ძალიან ზოგადია და პრიორიტეტის სრულად რეალიზების მიზნებისთვის არასრულიც. თუმცა შეესაბამება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელისუფლებების კომპეტენციასა და საქმიანობის ფორმებს.

1.2. შედეგების შეფასების გაზომვადი ინდიკატორები

წინა ქვეთავში განვიხილეთ მერობის ხუთი კანდიდატის პროგრამა, რომელთა საფუძველზეც დავაჯგუფეთ პრიორიტეტები და გამოვავლინეთ ძირითადი მიმართულებები.

- ძველი თბილისის და საბჭოთა კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაცია და ტურისტულ ღირსშესანიშნაობად გადაქცევა (ელენე ხოშტარია);
- სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების ფუნქციონირების გაუმჯობესება (კახა კალაძე; ზაალ უდუმაშვილი; ელენე ხოშტარია);
- ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური მომზადების დონის ამაღლება და მათი მასობრივ სპორტში ჩართვა (კახა კალაძე; ზაალ უდუმაშვილი; თენგიზ შერგელაშვილი);
- ბიბლიოთეკების მოდერნიზაცია (თენგიზ შერგელაშვილი);
- ტურისტულად მიმზიდველი მასობრივი ღონისძიებებისა და საერთაშორისო ფესტივალების ორგანიზება (გიორგი ვაშაძე; ზაალ უდუმაშვილი);
- ღამის ეკონომიკის განვითარება (ზაალ უდუმაშვილი);
- ახალგაზრდა ხელოვანთა პოპულარიზაცია და მხარდაჭერა (კახა კალაძე; ზაალ უდუმაშვილი);
- ქალაქის ბრენდირება და შემოქმედებითი საწარმოების განვითარება (კახა კალაძე);
- ქართული ფოლკლორის პოპულარიზაცია (კახა კალაძე).

ზემოთ ჩამოთვლილი პრიორიტეტები, რომლებიც აღნიშნული „კალათის“ აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენს, გაზომვადი ინდიკატორების დეფიციტით ხასიათდება. რაოდენობრივ ჭრილში პრაქტიკულად არ არის ნახსენები არცერთი დეტერმინანტი, რომელზე დაყრდნობითაც ან წინასწარი მოკვლევა და ჰიპოთეზური დასკვნების გამოტანა შეიძლებოდეს, ან პოსტფაქტუმ ანალიზის დროს მიღწეული მიზნის ეფექტიანობის განსაზღვრაში დაგვეხმაროს. ფუნდამენტური განსხვავება არც ხარისხობრივი კუთხით ვლინდება: გაზომვის პარამეტრი შეგვიძლია განვსაზღვროთ ტერმინით - „შეუძლებელია დათვლა“, რაც გულისხმობს რაოდენობრივი კომპონენტის არარსებობას და ხარისხობრივი კომპონენტის ზოგად ტერმინებში აღწერას.

2 საარჩევნო პროგრამების მსგავსი პრიორიტეტები და ძირითადი განსხვავებები

ამ ნაწილში კანდიდატების პროგრამული ხედვები შედარებულია საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ გათვალისწინებით, კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის მიხედვით მუნიციპალიტეტის ექსკლუზიურ კომპეტენციებთან:

1. ადგილობრივი თვითმყოფადობის, შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება - კახა კალაძის პროგრამაში საუბარია ფესტივალების გამართვასა და ფოლკლორის პოპულარიზაციაზე. ფესტივალების ჩატარებაზეა საუბარი გიორგი ვაშაძის პროგრამაშიც, რომელშიც დამატებით აქცენტი გადატანილია საფეხმავლო ქუჩების მოწყობასა და თბილისის როგორც რეგიონის კულტურის ცენტრად ჩამოყალიბებაზე. ზაალ უდუმაშვილიც ყურადღებას უფრო მეტად ამახვილებს მასობრივი ღონისძიებების მოწყობასა და ხელოვანთა მხარდაჭერაზე.
2. ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია - ამ საკითხზე შედარებით კონკრეტულად, მაგრამ არასრულად და ზოგადად, საუბარია ელენე ხოშტარიას პროგრამაში. პროგრამის მიხედვით განხორციელდება საბჭოთა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მარკირება და რეკონსტრუქცია. სხვა კანდიდატებს გამოკვეთილი ხედვა ამ საკითხზე არ გააჩნიათ.
3. მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ბიბლიოთეკების, საკლუბო დაწესებულებების, კინოთეატრების, მუზეუმების, თეატრების, საგამოფენო დარბაზებისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ახალი ობიექტების მშენებლობა - ელენე ხოშტარიას პროგრამაში საუბარია სპორტულ-სარეკრეაციო ობიექტების მშენებლობასა და რეაბილიტაციაზე, ხოლო თენგიზ შერგელაშვილს აქვს მხოლოდ ბიბლოთეკების მოდერნიზაციის გეგმა. კახა კალაძის პროგრამა შედარებით მრავლისმომცველია, თუმცა ზოგადია. ზაალ უდუმაშვილის პროგრამაშიც საუბარია სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების განვითარებაზე.

3 როგრამული პრიორიტეტები და მათი გავლენა სხვადასხვა სფეროებზე

კანდიდატების ხედვები კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საკითხებზე, სხვა სფეროებზე გავლენის მოხდენის თვალსაზრისით, უმთავრესად სამი ძირითადი მიმართულებით ყალიბდება:

- ეკონომიკური განვითარება;
- ტურისტების მოზიდვა;
- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

4 საარჩევნო პროგრამის ზეგავლენის შედარებითი შეფასება დროში

პროექტების ზეგავლენის შეფასების კუთხით კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის „კალათა“ დიდად არ განსხვავდება სხვა „კალათებისგან“. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის შესავსებ ინსტრუქციაში ნათლად არის განმარტებული ინიციატივების დროში გაწერის აუცილებლობა, კანდიდატები მხოლოდ პროექტების ზოგადი აღწერით შემოიფარგლნენ და ნაკლები ყურადღება დაუთმეს მათ განსახორციელებლად საჭირო რეალური ნაბიჯების ვადების დადგენას.

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის „კალათის“ ძირითადი სურათი არ განსხვავდება სხვა პროგრამების ანალიზისგან. მიუხედავად იმისა, რომ პროექტები უფრო მეტად კონკრეტულია, ვიდრე ეს სოციალურ ან ეკონომიკურ პროგრამაში იყო განხილული, კანდიდატები მაინც არ შემოსაზღვრავენ მათ დროითი ცვლადით.

რთულია მოხდეს 4, 2, 1-წლიანი დიფერენცია აღნიშნულ „კალათაში“, ვინაიდან ინიციატივების ნაწილი - საერთაშორისო ფესტივალების დაფუძნება და ქართული ფოლკლორის პოპულარიზება - შედარებით მარტივად განსახორციელებელია, ხოლო პროექტების მეორე ნაწილი კომპლექსურ და სისტემურ მუშაობას მოითხოვს.

5 ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

- კანდიდატთა კონცეპტუალური თვალთახედვა სრულად არ მოიცავს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საკითხებს, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს ორგანული კანონით - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ და უკავშირდება მუნიციპალიტეტის საკუთარ და ნებაყოფლობით უფლებამოსილებებს. კანდიდატების მიერ დასმული ყველა პრიორიტეტი და მისი განხორციელების პროცესში გათვალისწინებული აქტივობები შეესაბამება მუნიციპალიტეტის საქმიანობის ფორმებს, ადგილობრივი მნიშვნელობისაა და განეკუთვნება ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციას. თუმცა ყველა შემთხვევაში არასრულია და ზოგადი.

- რეკომენდებულია, კანდიდატების მიერ წარმოდგენილი პროგრამები სრულად მოიცავდეს ყველა იმ საკითხსა და კომპეტენციას, რომლებიც თემების მიხედვით განსაზღვრულია ორგანული კანონით; მოიცავდეს აგრეთვე ყველა იმ აუცილებელ აქტივობას, რაც საკვანძო მნიშვნელობისაა დასახული ამოცანების შესასრულებლად.
- რეკომენდებულია, აგრეთვე, კანდიდატთა პროგრამებში წარმოდგენილი იყოს დათვლადი ინდიკატორები, რომლებიც საშუალებას მოგვცემდა, შეგვეფასებინა და გაგვეზომა შემოთავაზებული პროგრამის წარმატება.

2018

აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისათვის

შარაშიძის 7 I 0179 თბილისი, საქართველო
contact@eecmd.org I www.eecmd.org